

# **მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი**

(ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი პრაქტიკა)

თბილისი, 2014 წელი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

**EMC**

Human Rights Education and Monitoring Center



წინამდებარე კვლევა დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი. შესაძლებელია კვლევაში მოყვანილი შეხედულებები არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



ევრაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

**სარჩევი:**

<b>1. შესავალი</b>	<b>4</b>
<b>2. კვლევის შესახებ</b>	<b>6</b>
<b>3. მეთოდოლოგია</b>	<b>7</b>
<b>4. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები</b>	<b>11</b>
<b>5. ნაწილი 1: ადგილობრივი საკანონმდებლო სივრცის ანალიზი</b>	<b>20</b>
<i>თავი 1: დისციპლინური გადაცდომის სახეები და სახდელები</i>	<i>20</i>
<i>თავი 2: დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები</i>	<i>34</i>
<i>თავი 3: დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობა</i>	<i>48</i>
<i>თავი 4: მიჯნა მოსამართლის დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის</i>	<i>53</i>
<b>6. ნაწილი 2: საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა</b>	<b>64</b>
<i>თავი 1: მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტების მოკლე მიმოხილვა</i>	<i>64</i>
<i>თავი 2: დისციპლინური გადაცდომის ცნება და სახეები</i>	<i>68</i>
<i>თავი 3: დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)</i>	<i>70</i>
<i>თავი 4: დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, პროცესის მონაწილე მხარეების და სხვა დაკავშირებული პირების უფლება-მოვალეობები</i>	<i>73</i>
<i>თავი 5: დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობა</i>	<i>83</i>
<i>თავი 6: მოსამართლის იმუნიტეტი</i>	<i>85</i>
<i>თავი 7: სხვა საკითხები</i>	<i>93</i>
<b>7. ნაწილი 3: მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზი</b>	<b>96</b>
<i>თავი 1: მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკა 2012-2013 წლებში</i>	<i>97</i>
<i>თავი 2: მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზი (2005-2010 წლებში)</i>	<i>103</i>

## შესავალი

უფლება დამოუკიდებელ და სამართლიან სასამართლოზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც აღიარებულია მთელი რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტებითა თუ სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებითა და კანონებით. თუმცა, სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ერთი რომელიმე უფლების დაცვა. აღიარებულია, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო არსებითი წინაპირობაა ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>1</sup> ასევე აღიარებულია კავშირი, ერთი მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიების შესუსტებასა და მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა დარღვევების სიმძიმესა და მათ გახშირებას შორის.<sup>2</sup> ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა - და ამ მიზნით ყველა აუცილებელი ზომის მიღება - სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა.<sup>3</sup>

დამოუკიდებლობა ნიშნავს თავისუფლებას როგორც სასამართლოს გარედან მომავალი, ნებისმიერი ტიპის, არასათანადო გავლენისაგან (იქნება ეს ხელისუფლების რომელიმე შტო თუ ინტერესთა ჯგუფები), ასევე დამოუკიდებლობას თავად სასამართლოს შიგნიდან მომავალი, შესაძლო ზეგავლენებისაგან. როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითად პრინციპებშია აღნიშნული: *“[სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს] ნებისმიერი აქტორისაგან და ნებისმიერი მიზეზით ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვის, არასათანადო გავლენების, წაქეზების, ზეწოლის, მუქარის, ჩარევისაგან.”*<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ როგორც გაეროს პრინციპების, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით, სასამართლოს დამოუკიდებლობა არამხოლოდ სასამართლოს უფლება, არამედ ვალდებულებაცაა. მაგალითად, ევროსაბჭოს 2010 წლის რეკომენდაციაში აღნიშნულია:

*“სასამართლოს დამოუკიდებლობა თითოეული ადამიანისათვის უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას, ამიტომ დამოუკიდებლობა არ არის მოსამართლეებისათვის მინიჭებული პრივილეგია, არამედ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რომელიც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას - ენდონ სასამართლო სისტემას.”*<sup>5</sup>

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, The Commission on Human Rights, Resolution 1994/41 adopted at the 55th meeting of the Commission on 4 March 1994. Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies)

<sup>2</sup> The Commission on Human Rights, Resolution 1994/41 adopted at the 55th meeting of the Commission on 4 March 1994.

<sup>3</sup> იხ. მაგალითად General Comment 32, იხ. ასევე Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies)

<sup>4</sup> Basic Principles on the Independence of the Judiciary, adopted by the Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders and endorsed by General Assembly resolutions 40/32 of 29 November 1985 and 40/146 of 13 December 1985

<sup>5</sup> Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the

რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია:

*“დამოუკიდებლობა ... არ არის პერფორატოვა ან პრივილეგია, რომელიც მოსამართლეს მინიჭებული აქვს მისივე ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ დაიცვას კანონის უზენაესობის და იმ ადამიანების ინტერესები, ვინც ეძებს სამართლიანობას და აქვს მისი მიღების მოლოდინი.”<sup>6</sup>*

ამგვარად, მოსამართლის მანტია პიროვნებას არამხოლოდ უფლებებს ანიჭებს, არამედ ვალდებულებებსაც. როგორც იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის მიერ იქნა აღნიშნული, მოსამართლის როლის თანდათანობითმა ევოლუციამ განაპირობა ის, რომ მოსამართლე აღარ არის მხოლოდ “კანონის გამხმომავნებელი.” ის გარკვეულწილად, ასევე არის კანონის შემოქმედი, რაც მოითხოვს პასუხისმგებლობას და ეთიკის წესებისადმი მორჩილებას.<sup>7</sup> ამგვარად, მართალია, სასამართლო დამოუკიდებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი გარანტიაა, მაგრამ არსებობს იმის აუცილებლობაც, რომ მოხდეს მოსამართლის მხრიდან არასათანადო ქცევის პრევენცია და ამ ქცევის შირმად სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის გამოყენება.<sup>8</sup> სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ დამოუკიდებლობა დაბალანსებული იყოს მოსამართლის კანონის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებით. სასამართლო ხელისუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტიტუტი დემოკრატიული მმართველობის პირობებში უნდა იყოს ანგარიშვალდებულებული ხალხის წინაშე.<sup>9</sup>

ზემოაღნიშნული აუცილებლობა და ანგარიშვალდებულების სისტემის მიზნები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მაგალითად, კალიფორნიის მოსამართლეთა დისციპლინური კომისიის მანდატში:

*“კომისიის მანდატი მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას საზოგადოება, უზრუნველყოს სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტების აღსრულება და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის კეთილსინდისიერებისა და დამოუკიდებლობის მიმართ. იმ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის ეფექტური სისტემა, ვინც ჩაიდენს არასათანადო ქცევას, არსებითია სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისათვის.”<sup>10</sup>*

ერთი შეხედვით, ანგარიშვალდებულება და დამოუკიდებლობა შესაძლოა, ურთიერთდაპირისპირებულ კონცეფციებადაც იქნას აღქმული, თუმცა სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ ანგარიშვალდებულება აძლიერებს კიდევ სასამართლოს დამოუკიდებლობას. სასა-

---

1098th meeting of the Ministers' Deputies), Preamble

<sup>6</sup> Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies), იხ. ასევე ე.წ. შინგვის დეკლარაცია (მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ უნივერსალური დეკლარაციის პროექტი)

<sup>7</sup> European Network of Councils for the Judiciary (ENCJ) ENCJ WORKING GROUP, Judicial Ethics Report 2009-2010

<sup>8</sup> იხ. მაგალითად International Principles on the Independence and Accountability of Judges and Lawyees and Prosecutors, Practitioners Guide No.1, International Commission of Jurists.

<sup>9</sup> GUIDANCE FOR PROMOTING JUDICIAL INDEPENDENCE AND IMPARTIALITY, Office of Democracy and Governance Bureau for Democracy, Conflict, and Humanitarian Assistance U.S. Agency for International Development (2002)

<sup>10</sup> <http://www.cjp.ca.gov>

მართლოს ანგარიშვალდებულებამ, ანუ იმის შეგნებამ, რომ სასამართლოს გარკვეული ვალდებულებები აკისრია საზოგადოების წინაშე, შესაძლოა შეამციროს მისი მოწყვლადობა გარე ზეწოლების მიმართ. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღარ იარსებებს გასამართლებელი არგუმენტი, რომ მოსამართლეს ამათუიშ გადაწყვეტილების მიღება გარედან აიძულებს.<sup>11</sup> თუმცა, მხოლოდ ანგარიშვალდებულების სისტემა არ არის საკმარისი დასახული მიზნის მისაღწევად. სასამართლოს დამოუკიდებლობა კომპლექსური საკითხია და მოიცავს ისეთ თემებსაც, როგორცაა მოსამართლეთა დანიშვნის წესი, უფლებამოსილების ვადა, ხელფასი და სხვ.<sup>12</sup>

### **კვლევის შესახებ**

“მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი” წარმოადგენს კვლევას, რომელიც მომზადებულია **კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის** ფარგლებში. კვლევაში წარმოდგენილია მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, კვლევის ავტორებმა შეისწავლეს და გააანალიზეს ადგილობრივი საკანონმდებლო სივრცე, საერთაშორისო სტანდარტები და სხვა ქვეყნების გამოცდილება. ასევე, მკვლევრებმა მოიძიეს და შეისწავლეს უკანასკნელი წლების ადგილობრივი პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებზე.

კვლევის უპირველესი მიზანია მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა, ერთი მხრივ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერების, მეორე მხრივ კი, პასუხისმგებლობის სათანადო მექანიზმების საჭიროების გააზრების გზით.

ზოგადად სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლიანი, ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების უმთავრესი გარანტია, რომლის განმტკიცებაც მიმდინარე და სამომავლო რეფორმების უპირველესი მიზანი უნდა იყოს. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, სისტემამ უზრუნველყოს მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის არსებობა. სასამართლო სისტემის მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ რწმენა, რომ როგორც სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ, არსებობს ანგარიშვალდებულების ადეკვატური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არაპროფესიონალური თუ არაკეთილსინდისიერი ქმედებების პრევენციას და გადაცდომების შემთხვევაში, დროულ და ეფექტიან რეაგირებას. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ჯანსაღი სისტემა სწორედ მართლმსაჯულების ხარისხისა და საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მექანიზმია.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, წარმოდგენილი კვლევა ორიენტირებულია სისტემურ ანალიზზე, რაც მოიცავს როგორც მოსამართლეთა დისციპლინური და

---

<sup>11</sup> GUIDANCE FOR PROMOTING JUDICIAL INDEPENDENCE AND IMPARTIALITY, Office of Democracy and Governance Bureau for Democracy, Conflict, and Humanitarian Assistance U.S. Agency for International Development (2002)

<sup>12</sup> იგივე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცულობის, ისე მათ შორის არსებული მიჯნის გაანალიზებას. კვლევაში წარმოდგენილია როგორც მოქმედი ანგარიშვალდებულების სისტემის ხარვეზები და ნაკლოვანებები, ისე ხედვები სისტემის შემდგომი გაჯანსაღებისათვის. კვლევის ავტორების მიერ საერთაშორისო კონტექსტის გააზრებამ ხელი შეუწყო კვლევაში მოცემული რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

*კვლევა შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან: 1-ლი ნაწილი აერთიანებს მოსამართლეთა პასუხისმგებლობის შესახებ ადგილობრივი საკანონმდებლო სივრცის ანალიზს; მე-2 ნაწილში მოცემულია საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა; მე-3 ნაწილში კი წარმოდგენილია მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზი. კვლევის დასაწყისში თავმოყრილია კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და კვლევის ავტორების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.*

კვლევის ავტორები გამოხატავენ მადლიერებას იმ ორგანიზაციებისა და სუბიექტის მიმართ, რომლებიც მხარს უჭერდნენ წარმოდგენილი კვლევის შექმნის პროცესს, ასევე მათ მიმართ, ვინც დათანხმდა ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობას.

## **მეთოდოლოგია**

კვლევა განხორციელდა რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, გაანალიზდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მიზნები, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, წესები და პროცედურა, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ინსტიტუტებისა და სხვა უფლებამოსილი პირების როლი, მოსამართლეთა უფლებები დისციპლინური სამართალწარმოების დროს, სანქციათა სახეები და სხვ. ასევე გაანალიზდა მოსამართლეთა დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის არსებული მიჯნა. კვლევის ფარგლებში, შესწავლილია საერთაშორისო სტანდარტები და სხვა ქვეყნების გამოცდილება მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების საკითხთან დაკავშირებით.

კვლევა განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

- სამართლებრივი აქტების რეტროსპექტული ანალიზი;
- საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი.;
- სხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლა მოსამართლეთა დისციპლინური, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართულებით;
- ფოკუს-ჯგუფები მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან;
- ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუები მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე პირებთან, მათ შორის ყოფილ და მოქმედ მოსამართლეებთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და სხვა ორგანოების წარმომადგენლებთან;
- საჯარო ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
- მოსამართლეთა წინააღმდეგ, დისციპლინურ და სისხლის სამართლის პროცესში, მიღებული გადაწყვეტილებების მოძიება და ანალიზი;

### *სამართლებრივი აქტების ანალიზი*

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მოსამართლეთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზს. ამ მიზნით, კვლევის ავტორებმა გააანალიზეს ამ მიმართულებით არსებული ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი. აქცენტი გაკეთდა არამხოლოდ ნორმების დღეს მოქმედ რედაქციებზე, არამედ ასევე მათ ძველ ან/და თავდაპირველ ვერსიებზე, ასევე, კვლევის მომზადების დროისთვის არსებულ კანონპროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს განსახილველი ნორმის ცვლილებას.

კვლევაში წარმოდგენილი საკითხები შეირჩა მათი აქტუალობის გათვალისწინებით. კერძოდ, კვლევაში გამოიყო შემდეგი ძირითადი თემები: დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახდელები, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის პრობლემური თემები, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამჭვირვალობა, მიჯნა დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის.

განსახილველი საკითხები კვლევის ავტორებმა არსებულ ანგარიშებსა თუ კვლევებში, საჯარო შეხვედრებსა და კონფერენციებზე დაფიქსირებული პრობლემური საკითხების, ასევე ორგანიზაციების მიერ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით შეარჩიეს.

### *საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი*

კვლევაში წარმოდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ექსპერტის მიერ შემუშავებული სტანდარტების და მოსაზრებების მიმოხილვა მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების საკითხზე. მათ შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ვენეციის კომისია, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, გაეროს სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის საკითხებში, ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისი და სხვა. კვლევის ფარგლებში ასევე გააანალიზდა არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, მაგალითად, ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, კიევის რეკომენდაციები და სხვა.

### *სხვა ქვეყნების გამოცდილება*

კვლევის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა, კვლევაში მოცემულ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე შეისწავლეს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის და სამართლებრივი მემკვიდრეობის მქონე სახელმწიფოთა კანონმდებლობა, როგორცაა მაგ. აშშ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, (მაგ. დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის, ნიდერლანდების, და სხვ.), ასევე ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოები (მაგ. უკრაინის) და ა.შ. სხვა ქვეყნების სამართლებრივი სივრცე მიმოხილულია იმ მოცულობით, რაც უკავშირდებოდა კვლევის ავტორების მიერ წინასწარ შერჩეულ, აქტუალურ და



პრობლემურ საკითხებს. კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობის კვლევისას საორიენტაციოდ გამოყენებულ იქნა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტები. ამ ქვეყნების მაგალითები მითითებულია შესაბამისი სტანდარტების სახელმწიფოთა პრაქტიკაში განმტკიცების საილუსტრაციოდ, ხოლო რიც შემთხვევებში - ამ სტანდარტებისაგან განსხვავებული პრაქტიკის საჩვენებლად, რაც აქტუალურ თემებზე შემდგომი დისკუსიის წახალისებას ისახავს მიზნად.

### *ფოკუს-ჯგუფები*

კვლევის განხორციელებისას ავტორებმა ჩაატარეს 2 ფოკუს-ჯგუფი, წინასწარ შედგენილი სადისკუსიო გეგმის მიხედვით. პირველ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობას იღებდნენ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის წევრი ორგანიზაციები. მეორე ფოკუს-ჯგუფში კი იმ საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ ექსპერტიზა მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდა 7 პირი, მათ შორის იყვნენ, შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: „კონსტიტუციის 42- მუხლი“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“, „გაეროს განვითარების პროგრამა“, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი. ფოკუს-ჯგუფები გაიმართა 2014 წლის თებერვალსა და აპრილში.

### *ინტერვიუები*

პრობლემების დამატებით იდენტიფიცირებისა და განწყობებისა და მოსაზრებების ანალიზის მიზნით, კვლევის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს ინდივიდუალური, ჩაღრმავებული ინტერვიუები სხვადასხვა პირთან. ინტერვიუები ჩატარდა წინასწარ შედგენილი ინტერვიუს გეგმის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 30-მდე შეკითხვას მოსამართლეთა დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. კვლევის ავტორებმა ინტერვიუებში მონაწილეობა 30-ზე მეტ პირს სთხოვეს. საბოლოოდ, ინტერვიუზე თანხმობა განაცხადა 17-მა ადამიანმა. შესაბამისად, კვლევისთვის სწორედ აღნიშნული რაოდენობის ინტერვიუ ჩატარა. ინტერვიუს რესპონდენტებს წარმოადგენდნენ მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის წარმომადგენლები, ადვოკატები, პროკურატურის წარმომადგენლები, შემდეგი რაოდენობით:

- 6 მოქმედი მოსამართლე;
- 2 ყოფილი მოსამართლე;
- 2 პროკურორი;
- 3 ადვოკატი;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 არამოსამართლე წევრი;
- სადისციპლინო კოლეგიის 2 არამოსამართლე წევრი;

ინტერვიუები ჩატარდა 2014 წლის თებერვლასა და მარტში.

*საჯარო ინფორმაციის მოძიება და ანალიზი*

კვლევის განხორციელებისას, კვლევის ავტორებმა ინფორმაციის დიდი ნაწილი მიიღეს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით. განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციის გადმოცემის მოთხოვნით კვლევის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიასა და სადისციპლინო პალატას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საერთო სასამართლოების არქივსა და სხვა სუბიექტებს. აღსანიშნავია, რომ ადრესატები, როგორც წესი, დროულად სცემდნენ პასუხებს კვლევის ავტორების წერილობით მოთხოვნებს.

*მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზი*

კვლევის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა შეესწავლეს მოსამართლეთა დისციპლინური დევნის ის საქმეები, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები საჯაროდ ქვეყნდება 2012 წლიდან. კვლევის მომზადების დროს, ხელმისაწვდომი იყო 6 ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც განთავსებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებს, კვლევის ავტორებმა გამოითხოვეს ინფორმაცია ასეთი საქმეების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან, უზენაესი სასამართლოსგან, სხვადასხვა საქალაქო (რაიონული) და სააპელაციო სასამართლოსგან, ასევე სასამართლოს არქივებიდან და პროკურატურისგან. უზენაესი სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2000 წლიდან სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისმგებლობა დაეკისრა 22 მოსამართლეს სხვადასხვა, მათ შორის, სამოხელეო დანაშაულისთვის. კვლევის ავტორებმა მოიძიეს და გააანალიზეს მოსამართლეთა წინააღმდეგ, 2000 წლიდან მიღებული განაჩენების უმეტესი ნაწილი.

## ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

### *ზოგადი საკითხები:*

- დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა ინსტიტუციურად და საკანონმდებლო დონეზე არამყარია, რაც იძლევა არათანმიმდევრული და მიკერძოებული პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობას მოსამართლეების მიმართ;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის მოცულობა შემოსაზღვრულია მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეებით. კანონმდებლობა არ იცნობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან/და სადისციპლინო ორგანოების წევრთა მიმართ ეთიკის ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მექანიზმს.

### *დისციპლინური დევნის საფუძვლებთან დაკავშირებით:*

- საკანონმდებლო დონეზე დადგენილი არ არის დისციპლინური გადაცდომის, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლის, ზოგადი დეფინიცია. ასევე, არ არის მოცემული დისციპლინური გადაცდომის კონკრეტული სახეების განმარტებები/დეფინიციები;
- კანონი არ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვლას, რისთვისაც მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, ასეთია მაგალითად სამართლებრივი შეცდომა. ვინაიდან კანონში მოცემული არ არის დისციპლინური გადაცდომის სახეების განმარტება, შესაძლებელია მოსამართლეთა ერთგვაროვანი ქმედებები დისციპლინური ორგანოების მხრიდან განსხვავებულად იქნას შეფასებული, რაც ხელს შეუშლის განჭვრეტადი სამართლებრივი სივრცის შექმნას;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებიდან „კანონის უხეში დარღვევის“ ამოღება დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს. თუმცა, რჩება შესაძებლობა რომ ქმედება, რომელიც ფასდებოდა კანონის უხეშ დარღვევად, დღეს მოსამართლის მიერ უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების განმარტებაში მოექცეს. ამდენად, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, ფაქტობრივად არ შემცირებულა სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევის რისკი;
- 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც “კანონის უხეში დარღვევა” ამოღებულ იქნა გადაცდომის სახეებიდან, კვლევის მომზადების დრომდე (2014 წლის აპრილი) სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრული უმრავლესობა (6 გადაწყვეტილებიდან 5 საქმე) შეეხებოდა უფლებამოსილების არაჯეროვან შესრულებას;
- დღეს მოქმედი მოსამართლეთა ეთიკის ნორმები ზედმეტად ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად, ერთი მხრივ, მოსამართლეებისთვისაც ბუნდოვანია რა ვალდებულებები ეკისრებათ მათ, მეორე მხრივ კი საზოგადოებისთვის რჩება გაუგებარი, რა შემთხვევაში შეიძლება მოეთხოვოს მოსამართლეს პასუხი;
- ბუნდოვანია რა იგულისხმება „ისეთ კორუფციულ სამართალდარღვევაში, რომელიც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“, რაც ერთ-ერთ დისციპლინურ

გადაცდომას წარმოადგენს, იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის 338-ე მუხლი კორუფციული დანაშაულის ყველა ზოგად ნიშანს მოიცავს.

- მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მათ არ აქვთ ნათელი წარმოდგენა, რა საფუძვლით შეიძლება დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- დისციპლინური გადაცდომის ცალკეული სახეები (მაგალითად, მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება), ერთი მხრივ, წარმოადგენს კანონში არსებულ გადაცდომის დამოუკიდებელ სახეს, მეორე მხრივ კი, ეთიკის კოდექსში არსებულ ნორმებს. ეთიკის კოდექსის დარღვევა. კანონის მიხედვით, თავის მხრივ, დამოუკიდებელი გადაცდომაა;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ერთი მხრივ წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის სახეს, მეორე მხრივ კი, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ავტომატურ საფუძველს.
- არ არსებობს დისციპლინური წესით თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლეებისთვის სახდელის გაქარწყლების ან/და სასამართლოს სისტემაში დაბრუნების სამართლებრივი შესაძლებლობა.

#### **დისციპლინური დევნის პროცედურასთან დაკავშირებით:**

- მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის სახიფათოა კანონში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. ასეთი შესაძლებლობა აპარატის მოხელეს ანიჭებს უფლებას, პროაქტიულად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, დაიწყოს მოსამართლის საქმიანობის შესწავლა, გადაცდომის აღმოჩენის მიზნით;
- სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, ერთპიროვნულად დაიწყოს დისციპლინური პროცესი მოსამართლის წინააღმდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებლად, სახიფათოა მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის და შესაძლოა გახდეს არაჯანსაღი ურთიერთობის განმაპირობებელი, სასამართლო სისტემის შიგნით;
- კანონში დისციპლინური წარმოების ეტაპები არ არის ნათლად გამიჯნული ერთმანეთისგან და არ არის განსაზღვრული ცალკეულ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი;
- დისციპლინური საკითხების გადასაწყვეტად, კანონით დადგენილია საბჭოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერის მოთხოვნა, თუმცა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს დისციპლინური წარმოების რომელ ეტაპზე ან ეტაპებზე არის საჭირო 2/3-ის მხარდაჭერა, რაც ნიშნავს, რომ დისციპლინურ საკითხებზე ყველა ტიპის გადაწყვეტილებას მხარს უნდა უჭერდეს საბჭოს მინიმუმ 10 წევრი;
- საბჭოს წევრთა 2/3-ის მოთხოვნა დევნის შეწყვეტისთვის შეიძლება იწვევდეს საქმეთა განხილვის გაჭიანურებას და ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, საქმის განხილვის რეჟიმში შენარჩუნებას;
- მოსამართლის საპროცესო უფლებები დისციპლინური საქმის განხილვის დროს საჭიროებს განმტკიცებას. მათ შორის, კანონში ნათლად არ არის განსაზღვრული დისციპლინური საქმის მასალებზე წვდომის საკითხი, ადეკვატური დრო პოზიციის

- მოსამზადებლად, უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე და სხვა;
- კანონმდებლობით, საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ვადა დადგენილი არ არის, რაც იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურებას;
  - კანონმდებლობა სათანადო სიცხადით ვერ აყალიბებს დისციპლინური საქმის განხილვის დროს საქმის განხილვის სამართლიან პროცედურებს (მათ შორის მოსამართლის უფლებებს), ცხადი არ არის მტკიცების სტანდარტი, მტკიცებულებების მოპოვების, დასაშვებობის, იურიდიული ძალის საკითხი;
  - საჩივრის/განცხადების შეტანა ავტომატურად იწვევს მოსამართლის დევნის დაწყებას, მიუხედავად შეტანილი საჩივრის დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობისა.
  - სადისციპლინო კოლეგიაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა უმრავლესობა, რაც თეორიულად შესაძლოა კოლეგიის წევრთა ნახევარზე ნაკლები იყოს (2 წევრის გადაწყვეტილება);

**დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით:**

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების კონფიდენციალურობა შეუძლებელს ხდის დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს, თავად მოსამართლეებისთვის, საჩივრის ავტორებისა და ზოგადად, საზოგადოებისთვისაც ბუნდოვანი რჩება როგორ განმარტებას აძლევს საბჭო კონკრეტულ ქმედებებს;
- დისციპლინური საქმეების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემოიფარგლება მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებით. საბჭო არ აკეთებს პრაქტიკის განზოგადებას, რაც ასევე უარყოფითად იქნა შეფასებული რესპონდენტების მხრიდან.
- მოსამართლეს, რომლისთვისაც, საკუთარი ინტერესების დასაცავად, მნიშვნელოვანია პროცესის საჯაროდ წარმართვა, არ აქვს სამართლებრივი ბერკეტი მოითხოვოს პროცესის გამჭვირვალობა, რაც შესაძლოა აზიანებდეს მისი დაცვის ინტერესს;
- რესპონდენტების უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა წარსულში დისციპლინური პროცესის სრული კონფიდენციალურობა და გამოხატა სურვილი პროცესების კიდევ უფრო გამჭვირვალედ წარმართვის. თუმცა, ყველა რესპონდენტი უთითებდა, რომ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მოსამართლის მართლმსაჯულების და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაბალანსება;

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით:**

- სსკ-ის სამოხელეო დანაშაულების თავში მოცემული შემადგენლობები არ შეიცავს სპეციალურ მითითებას მოსამართლეებთან დაკავშირებით, შესაბამისად, ურთიერთობათა ფართო წრეზე მორგების შესაძლებლობას იძლევა, რაც შეიძლება სახიფათო იყოს;
- რთულია ზღვარის გავლება ცალკეულ დისციპლინურ გადაცდომებსა და სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულებს შორის;
- ბუნდოვანია განსხვავებები კორუფციული ნიშნის მქონე ქმედებებს შორის, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც დისციპლინურ გადაცდომად, ასევე დანაშაულად;

- ბუნდოვანია ზღვარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულს და თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას შორის, რაც დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს;
- უმეტეს შემთხვევაში, არსებითი ზიანი არის უმთავრესი ნიშანი, რასაც ქმედება გაჰყავს დისციპლინური დევნის სფეროდან და აქცევს სისხლისსამართლებრივ ქმედებად, თუმცა არსებითი ზიანის ცნება იმდენად შეფასებითია, რომ არაგონივურლად ფართო ძალაუფლებას ანიჭებს დევნის ორგანოებს;
- დაზუსტებას საჭიროებს სსკ-ის ისეთი ზოგადი დისპოზიციები, როგორცაა უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი გულგრილობა, იმისათვის, რომ ნათელი იყოს რა შემთხვევაში შეიძლება მათი გამოყენება მოსამართლეთა მიმართ;
- სსკ-ში არსებული “განზრახ უკანონო პატიმრობის” დისპოზიცია შეიცავს რისკებს, რომ მოსამართლე შესაძლოა მიცემულ იქნეს პასუხისგებაში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის გამო;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის “ერთპიროვნული თანხმობა” არ წარმოადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის სათანადო გარანტიას და ამასთან, ქმნის მოსამართლეებსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის არაჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბების რისკს;
- მოსამართლეთა იმუნიტეტი აბსოლუტური ხასიათისაა, რაც ნიშნავს თანხმობის საჭიროებას ყველა ტიპის, მათ შორის, არასამოხელეო დანაშაულებისთვის მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში.
- მატერიალური ნორმების გარდა, რისკის შემცველი შეიძლება იყოს საპროცესო კანონმდებლობის დებულებებიც, რომელიც მაგალითად არ ითვალისწინებს მოსამართლის დაკითხვის სპეციალურ/განსხვავებულ პრინციპს. ეს კი შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს კონსტიტუციის დათქმასთან, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს არ შეიძლება მოეთხოვოს ანგარიში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო.

## **საერთაშორისო სტანდარტების და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების კვლევის ძირითადი მიგნებები**

### ***დისციპლინური დევნის საფუძვლებთან და სანქციებთან დაკავშირებით:***

- დისციპლინური დევნის საფუძველი შეიძლება გახდეს მოსამართლის პროფესიულ სტატუსთან შეუსაბამო საქციელი, რომელიც არის მძიმე და უპატიებელი და რომელიც რეპუტაციას ულახავს სასამართლოს, როგორც ინსტიტუტს;
- ამასთან, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ქმედებად დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს კანონის სიცხადისა და განჭვრეტადობის სტანდარტებს;
- ფართოდ და ბუნდოვნად ჩამოყალიბებული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას;
- კანონში დაკონკრეტებული უნდა იყოს არასათანადო ქმედების სიმძიმის რა ხარისხი გამოიწვევს ამა თუ იმ დისციპლინური სანქციის დაკისრებას.
- როგორც წესი, მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მიღებული

გადაწყვეტილების შინაარსის, სამართლებრივი შეცდომისათვის, კანონის, ფაქტების თუ მტკიცებულებების ინტერპრეტაციის, ან იმის გამო, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა;

- დისციპლინური სანქციები კანონში უნდა იყოს გაწერილი, ხოლო მისი დაკისრებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი;
- მოსამართლის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადაყენება დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულად გამონაკლის შემთხვევებში, როგორცაა: მოსამართლის უუნარობა (incapacity) გააგრძელოს თავისი ვალდებულებების შესრულება, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენა ან დისციპლინური ქცევის წესის სერიოზული დარღვევა;
- სასურველია, კანონი ითვალისწინებდეს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მოსამართლე ჩაითვალოს სახელდაუდებლად, თუ ამ პერიოდის განმავლობაში მას არ ექნება ჩადენილი სხვა დისციპლინური გადაცდომა.

### **დისციპლინური ღეგნის პროცედურასთან დაკავშირებით:**

- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, მოსამართლე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით (მაგ. მასალებზე ხელმისაწვდომობა, წარმომადგენლის ყოლის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვ.).
- მოსამართლე ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი დასაბუთებული გადაწყვეტილების და მისი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით;
- მოსამართლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ან საჩივარი სწრაფად, არასათანადოდ გაჭიანურების გარეშე უნდა იქნას განხილული;
- სახელმწიფოთა პრაქტიკის მაგალითები ცხადყოფს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპები მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული. საწყის ეტაპზე, შესაბამისი ორგანოები ამოწმებენ, რამდენად აკმაყოფილებს მოსამართლის წინააღმდეგ შეტანილი დისციპლინური საჩივარი დასაშვებობის ფორმალურ კრიტერიუმებს (მაგ. მითითებული ქმედება რამდენად ჯდება დისციპლინური გადაცდომების კანონში მოცემულ ჩამონათვალში), საჩივარში გამოტოვებული ხომ არ არის რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და რამდენად არგუმენტირებულია იგი. (ამ ეტაპზე ხშირად არც კი ხდება მოსამართლის ინფორმირება შემოსულ საჩივართან დაკავშირებით); მას შემდეგ, რაც საჩივარი მითითებულ ეტაპს გადალახავს, იწყება საქმეზე დატალური ინფორმაციის შეგროვება, საქმის მიმდინარეობის შესახებ მოსამართლის ინფორმირება და მისთვის შესაძლებლობის მიცემა, დააფიქსიროს თავისი პოზიცია, ამ ეტაპს კი თან სდევს საჩივრის და მოძიებული ინფორმაციის განხილვა შესაბამისი ორგანოს მიერ და გადაწყვეტილების მიღება.

### **დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით:**

- აუცილებელია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები, თავად სამართალწარმოება და მიღებული გადაწყვეტილებები იყოს გამჭვირვალე;

- არაერთი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს, დისციპლინური სამართალწარმოების ორგანოს ვალდებულებას, შეატყობინოს მომჩივანს მის მიერ დისციპლინურ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით შეტანილი საჩივარის შედეგების თაობაზე;
- მომჩივანის უფლებების კონტექსტში, საინტერესოა ინგლისისა და აშშ-ის ტეხასის შტატის მაგალითები. კერძოდ, ინგლისში მომჩივანს უფლება აქვს, მისი საჩივრის განხილვისას ჩადენილი დარღვევების გამო, ცალკე საჩივრით მიმართოს ომბუდსმენს. ხოლო ტეხასის შტატში განმცხადებელს აქვს მის საჩივარზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება;
- დისციპლინური სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლოა დადგენილ იქნას გამჭვირვალობის ვალდებულების სხვადასხვა ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე თავად ითხოვს პროცესის საჯაროობას, მაშინ პროცესის კონფიდენციალობამ შესაძლოა დაარღვიოს ამ უკანასკნელის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ხოლო თუ მოსამართლე ითხოვს პროცესის დახურვას, შესაბამისმა ორგანომ უნდა იმსჯელოს, არის თუ არა პროცესის დახურვა გამართლებული მოსამართლის ინტერესსა და საჯარო ინტერესს შორის ბალანსიდან გამომდინარე;
- მიუხედავად იმისა, საჯაროა თუ არა საქმის განხილვა, მიჩნეულია, რომ გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. თუმცა, მაგ. აშშ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც საჯარო, ასევე არასაჯარო ხასიათის სანქციები (მაგალითად, გაფრთხილება), რომელთა დაკისრების და ზუსტი შინაარსის შესახებ ინფორმაცია არ ექვემდებარება გასაჯაროებას. მომჩივანს მხოლოდ მოსამართლის მიმართ გამოყენებული სანქციის ტიპის შესახებ აწვდიან ინფორმაციას.

***სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით:***

- მოსამართლისათვის ადეკვატური სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო იმუნიტეტი კონსტიტუციით ან მისი თანაბარი ძალის მქონე აქტით უნდა იყოს გარანტირებული, ხოლო ამ იმუნიტეტის მოხსნის შესაბამისი პროცედურა გაწერილი უნდა იყოს კანონში;
- საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მოსამართლის იმუნიტეტი ფუნქციური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმუნიტეტი, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მოსამართლეს იგი აქვს, ვრცელდება მხოლოდ მის მიერ მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისას ან მასთან კავშირში განხორციელებულ ქმედებებზე. სხვა შემთხვევაში, მას ისევე მოეკითხება პასუხი, როგორც რიგით მოქალაქეს.
- თუ კანონის ინტერპრეტაციის, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებისას მოსამართლე გამოავლენს უხეშ გაუფრთხილებლობას ან ბოროტ განზრახვას, საერთაშორისო სტანდარტები არ კრძალავს მოსამართლისათვის როგორც დისციპლინური, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. (ასეთი შესაძლებლობა, მათ შორის, გათვალისწინებულია ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფოს კანონმდებლობით).



### **სხვა რეკომენდაციები:**

- აუცილებელია, არსებობდეს უკანონოდ გათავისუფლებული მოსამართლის იმავე (ან იმავე რანგის მქონე) თანამდებობაზე აღდგენის მექანიზმი. ამასთან, მოსამართლეს უნდა შეუნარჩუნდეს იგივე რანგი, კლასი, ჩინი, ხელფასი თუ სხვა პრივილეგიები, რაც მას თანამდებობიდან გათავისუფლების დროს ჰქონდა.

### **კვლევის ავტორების მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:**

#### **ზოგადი საკითხები:**

- კანონში ნათლად უნდა განისაზღვროს დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიზნები, ასევე მნიშვნელოვანია გაფართოვდეს პასუხისმგებლობის სისტემის მოცულობა იმისათვის, რომ ამის მიღმა არ დარჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო ორგანოების წევრთა ეთიკის საკითხები;
- შეიცვალოს სადისციპლინო პალატის ფორმირების წესი და მისი დაკომპლექტება პლენუმის ნაცვლად განახორციელოს მოსამართლეთა კონფერენციამ.

#### **დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები და სახდელები:**

- კანონში უნდა გაჩნდეს თითოეული დისციპლინური გადაცდომის განმარტება;
- მოსამართლეთა ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური სამართალწარმოების კანონს შორის დისციპლინური გადაცდომის საფუძვლების განმეორების შემთხვევაში, გადაცდომები უნდა დარჩეს მხოლოდ ეთიკის კოდექსში;
- კანონში უნდა გაჩნდეს მითითება ეთიკის კოდექსის იმ კონკრეტულ ნორმებზე, რომელთა დარღვევამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- მოსამართლეთა კონფერენციამ უნდა დაიწყოს მუშაობა ეთიკის კოდექსის განახლებაზე;
- კორუფციული სამართალდარღვევა ამოღებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სახეებიდან. კორუფციული ქმედების დასჯადობა მთლიანად უნდა მოექცეს სსკ-ის სფეროში;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა უნდა დარჩეს მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის სახედ და ის ამოღებული უნდა იქნას მოსამართლის გათავისუფლების საფუძვლებიდან;
- დისციპლინურმა ორგანოებმა მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება არ უნდა განმარტონ ისე, რომ ამ გადაცდომაში არ მოექცეს ყველა ის ქმედება, რაც ადრე კანონის უხეშ დარღვევად კვალიფიცირდებოდა;
- კანონში უნდა გაიწეროს რომელი დისციპლინური გადაცდომისათვის რომელი სახდელის (სახდელების) და ზემოქმედების ზომის (ზომების) მიღება შეიძლება;
- კანონით უნდა დაზუსტდეს კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაცემის კონკრეტული საფუძვლები, მისი შინაარსი და მიზანი;
- კანონში უნდა გაიწეროს იმ მოსამართლეთა საქმეების გადახედვის მექანიზმი და პროცედურა, რომლებსაც აქვთ ვარაუდი (დასაბუთებული ვარაუდი), რომ უკანონოდ

გათავისუფლეს; უკანონოდ გათავისუფლების დადასტურების შემთხვევაში, კანონმა უნდა უზუნველყოს მათი იმავე ან იმავე რანგის თანამდებობაზე დაბრუნება;

- იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ვერ შესრულდება, სასურველია, გაუქმდეს ბლანკეტური აკრძალვა, რომლის მიხედვითაც თუ მოსამართლე თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო გათავისუფლდა, მას ეკრძალება კვლავ დაბრუნდეს მოსამართლის თანამდებობაზე.

### **პროცედურული საკითხები:**

- კანონში ლოგიკურად უნდა გაიმიჯნოს დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპები და თითოეულ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი;
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კანონით უნდა განესაზღვროს კონკრეტული ვადა დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს დისციპლინური საქმის განხილვისას მტკიცების სტანდარტის საკითხი როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ასევე სადისციპლინო კოლეგიაში;
- კანონში უნდა გაიწეროს დისციპლინურ საქმეზე მტკიცებულების მოპოვების, მისი დასაშვებობისა და იურიდიული ძალის საკითხები;
- გაუქმდეს საბჭოს მოხელის უფლებამოსლება, მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოახდინოს მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური პროცესის ინიცირება;
- დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს;
- კანონმა უნდა განსაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის ვალდებულება საკითხის განხილვისას დაიბაროს და მოუსმინოს მოსამართლეს;
- კანონში უნდა დაკონკრეტდეს რა სახის გადაწყვეტილების მისაღებად არის საჭირო საბჭოს წევრთა 2/3-ის თანხმობა. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მაღალი კვორუმი მოითხოვებოდეს მოსამართლის მიმართ პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილების მისაღებად და არა, მის მიმართ დევნის შესაწყვეტად;
- მნიშვნელოვანია კვორუმის საკითხი გადაიხედოს სადისციპლინო კოლეგიაში, რათა თეორიულად გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი არ იყოს კოლეგიის 2 წევრის მიერ;
- კანონში უნდა განხორციელდეს ცვლილება, იმისათვის რომ საჩივრის შეტანა ავტომატურად არ იწვევდეს დისციპლინური დევნის დაწყებას;
- კანონში უნდა გაიწეროს მოსამართლისა და მომჩივანის საპროცესო უფლებები;
- კანონმა უნდა გაითვალისწინოს მოსამართლის ისეთი საპროცესო უფლებები როგორცაა, მასალებზე წვდომის უფლება, პოზიციის მოსამზადებლად ადეკვატური დროისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება;

### **გამჭვირვალობა:**

- კანონით უნდა დადგინდეს, მოსამართლის უფლება მოითხოვოს დისციპლინური პროცესის გასაჯაროება ნებისმიერ ეტაპზე;
- დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპზე საბჭომ დისციპლინურ საკითხზე

უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

- დისციპლინურ საკითხზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პერსონალური ინფორმაციის დაცვით უნდა გამოქვეყნდეს საბჭოს ვებ-გვერდზე;

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა:**

- სსკ-ის სამოხელეო დანაშაულის თავში, რომელიც შეეხება ყველა საჯარო მოხელეს, მათ შორის, მოსამართლეს, საჭიროა სპეციალური ნორმების ჩამოყალიბება, რომელიც შეეხება მხოლოდ მოსამართლეს. ამასთან, მატერიალური ნორმების გარდა, მნიშვნელოვანია პროცესუალური კანონმდებლობის მორგება სამოსამართლო უფლებამოსილებების სპეციფიკასთან (მათ შორის, დაკითხვის წესები და სხვა);
- განზრახ უკანონო დაპატიმრების მუხლი საჭიროებს გადახედვას;
- დისციპლინურ გადაცდომასა და დანაშაულს შორის მთავარ განსხვავებას წარმოადგენს “არსებითი ზიანი”, რომელიც მეტ კონკრეტულ და ობიექტივიზაციას საჭიროებს;
- საჭიროა შეიცვალოს მოსამართლის სისხლისსამართლებრივი დევნისთვის საჭირო “ერთპიროვნული თანხმობის” მექანიზმი და გადაიხედოს აბსოლუტური იმუნიტეტის მოცულობა. აღნიშნულის უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს კოლეგიურ ორგანოს, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. ეს შესაძლოა იყოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრთა 2/3-ის უმრავლესობით ან უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

# ნაწილი I

## ადგილობრივი სამართლებრივი სივრცის ანალიზი

### თავი 1: დისციპლინური გადაცდომის სახეები და სახდელები

#### 1.1. დისციპლინური გადაცდომის სახეებისა და სახდელების განვითარების ეტაპები

დისციპლინური გადაცდომების სახეებთან დაკავშირებით დისკუსია აქტიურად მიმდინარეობს. განხილვის საგანია რას წარმოადგენს გადაცდომა, სად გადის ზღვარი დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის და ა.შ როგორც ინტერვიუში მონაწილე არამოსამართლე რესპონდენტმა აღნიშნა, “დღეს, საერთოდ გაუგებარია სადისციპლინო დარღვევად რა ითვლება, ანუ მოსამართლეები არიან სრულ გაუგებრობაში, მომავალში რა ჩაითვლება დარღვევად და რა არ ჩაითვლება. წარსული გადაცდომები, ის რაც პრაქტიკის განზოგადება არის, იქედან მრავალი დარღვევა შეიძლება კოლეგიამ არ ჩათვალოს დარღვევად და პირიქით, კოლეგიამ შეიძლება ისეთი რალაცეები ჩათვალოს დარღვევად, რაც აქამდე არ ყოფილა. ამიტომ, დღეს, პრაქტიკა მიუხედავად განზოგადებისა, მაინც ბუნდოვანია და ამას დაჭირდება კარგი მუშაობა.”

კანონის ამოქმედებამდე მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებს არეგულირებდა დროებითი დებულება.

წარმოდგენილი სქემა გამოსახავს დისციპლინური გადაცდომის სახეების ცვლილებას 1998 წლიდან (დებულების მიღებიდან) დღემდე:



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დებულება ითვალისწინებდა თითოეული დისციპლინური გადაცდომის განსაზღვრებას.

ბოლო წლების განმავლობაში, დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებთან დაკავშირებით, კანონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. 2004 წელს, კანონის მე-2 მუხლში შევიდა ცვლილება შენიშვნის სახით. აღნიშნული შენიშვნა, მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის ორი სახის - კანონის უხეში დარღვევისა და კორუფციული სამართალდარღვევის განმარტებას იძლეოდა. 2005 წელს კი, კანონის ნორმას, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახედ ითვალისწინებდა, კანონის უხეშ დარღვევას დაემატა სიტყვები “კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა”. შესაბამისად, ცვლილება იქნა შესული მუხლის შენიშვნაშიც, რომელმაც განმარტა, რომ კანონის არაერთგზის დარღვევად ჩაითვლებოდა კანონმდებლობის 3-ჯერ და მეტჯერ დარღვევა. ამავე ცვლილებით, დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახეებს კიდევ ერთი სახე: საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლის რეზერვიდან ამორიცხვა.

2005 წლის 25 ნოემბერს კანონში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა 2006 წლის 15 მარტიდან. აღნიშნული ცვლილებით, კანონის უხეში დარღვევის ნორმის შენიშვნას დაემატა წინადადება, რომლის მიხედვითაც, კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლებოდა კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს.

დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებში შემდგომი ცვლილებები განხორციელდა 2007 წელს. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, საქმის განხილვისას, მოსამართლის მიერ კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა შეიცვალა მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევით. ამავე პუნქტში დაკონკრეტდა, თუ რას წარმოადგენს კანონის უხეში დარღვევა. ცალკე, პუნქტებად გამოიყო ისეთი დისციპლინური გადაცდომები, როგორცაა მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და შრომის დისციპლინის დარღვევა. შესაბამისად, ცალკე დისციპლინურ გადაცდომად გამოიყო - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება.<sup>13</sup>

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა კანონში, 2012 წლის 27 მარტს. კერძოდ, დისციპლინური გადაცდომის სახეებიდან ამოღებულ იქნა მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, კანონის უხეში დარღვევა და შრომის შინაგანაწესის დარღვევა.

დღევანდელი მდგომარეობით კი, კანონში წარმოდგენილია დისციპლინური გადაცდომის 8 სახე. რაც შეეხება სახდელებს, კანონი სახდელის ხუთ სახეს და დისციპლინური

<sup>13</sup> იხილეთ “საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-2 მუხლის „ა” და „ბ” ქვეპუნქტები

ზემოქმედების ორ სამუალებას ითვალისწინებს.

დისციპლინურ გადაცდომის სახეებთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადება: „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი უნდა იყოს მართლმსაჯულების განზრახ გამრუდება, სადაც გამოკვეთილია ის, რომ სამართლიანობა დაირღვა სერიოზულად და ეს მოხდა განზრახ, თუკი ბრალეულობა არსებობს. (კანონის უხეში დარღვევა შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობითაც)“. უნდა აღინიშნოს, რომ კანონში გათვალისწინებული არ არის დისციპლინური გადაცდომის სახეების დეფინიციები, ისევე როგორც მოცემული არ არის თავად დისციპლინური გადაცდომის განმარტება.

რაც შეეხება დისციპლინური სახდელის სახეებს, როგორც ინტერვიუში მონაწილე რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, კანონის მიხედვით, რთულია იმის იდენტიფიცირება რომელი სახდელი რა დროს უნდა იქნეს გამოყენებული. ამასთან, დაფიქსირდა მოსაზრება სანქციების გამრავალფეროვნების საჭიროებასთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ ყველა შემთხვევაში სანქცია იყოს პროპორციული და სამართლიანი. არამოსამართლე რესპონდენტის მიერ ასევე გაკეთდა მითითება ფინანსურ სანქციაზე *“ფინანსური სანქციები ჩვენ არ გვაქვს და კარგი იქნება თუ გვექნება. შეიძლება ამ ეტაპზე არ იყოს მიზანშეწონილი და ამან შეიძლება მოსამართლეების პროტესტიც გამოიწვიოს, მაგრამ ფინანსური სანქცია თუ საჭირო გახდა, რომელიღაც ეტაპზე შესაძლებელია იქნას შემოღებული, იმიტომ რომ ბევრ ქვეყანაშია ფინანსური სანქცია”*.

## 1.2. ეთიკის ნორმების დარღვევა

კვლევის მომზადების დროს, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის ავტორებმა ინტერვიუებში მონაწილე პირებს ასევე დაუსვეს ეთიკის კოდექსთან დაკავშირებული შეკითხვები. გამოკითხული მოსამართლეების უმეტესობა ცალსახად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ეთიკური ნორმების დარღვევას. თუმცა, გამოკითხულთა ნაწილი ასევე მიუთითებს, რომ საჭიროა მოქმედი ეთიკის კოდექსის გადასინჯვა. ერთ-ერთი მოსამართლის განმარტებით, ეთიკის ნორმები და ცნება საკმაოდ ფართოა: *“თუ ჩვენ საფუძველად დარჩება მხოლოდ ეთიკის დარღვევა, მაშინ მე ვფიქრობ, რომ უფრო გაფართოვდება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები და არ დავიწროვდება. ამიტომ ეს არ არის მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ ამ სახით იყოს ჩაწერილი. უნდა იყოს კონკრეტულად, უნდა იყოს აუცილებლად ეთიკის დარღვევა, მაგრამ რომელი დარღვევა ეს კიდევ ცალკე უნდა ჩაიწეროს.”*

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ეთიკის ნორმებით შემოფარგვლას მხარი დაუჭირა ყველა გამოკითხულმა ადვოკატმა.

ინტერვიუში მონაწილე როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე რესპონდენტების

ნაწილმა აღნიშნა, რომ ეთიკის კოდექსს ესაჭიროება მეტი კონკრეტიკა. ერთ-ერთმა გამოკითხულმა მოსამართლემ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მოსამართლის ეთიკა არის დამოუკიდებლობა, მისი მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება და ეს სამი სიტყვა ყველაფერს მოიცავს, თუმცა, მთავარია ყველაფერი იყოს დაზუსტებული და დაკონკრეტებული და ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ იმუშაოს. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა არამოსამართლე რესპონდენტმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ *“ის ზოგადი პრინციპები, რაც კოდექსში წერია, ის კონსტიტუციაშიც გვაქვს და კანონშიც, ანუ ახალს არაფერს არ ამბობს. რეალური ფუნქცია რომ შეასრულოს, კოდექსიც უნდა შეიცვალოს, უნდა დაემატოს დეტალური განმარტებები.*

კვლევის ავტორების შეფასებით, ცვლილების ამ სახით განხორციელება, კანონიდან დისციპლინური გადაცდომის სხვა სახეების ამოღება და მხოლოდ სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის დატოვება, ისე რომ არ განისაზღვროს ზოგადად ეთიკური ნორმების არსი და მოცულობა, გამოწვევს, უარყოფით შედეგებს. ვინაიდან, მოსამართლის მხრიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთი სახის ქმედებას, რომელსაც შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევა მოჰყვება, რომელიც დააზიანებს არამხოლოდ კონკრეტული მხარეების, დაინტერესებული ჯგუფების, არამედ საზოგადოების ინტერესს. ამგვარი ზიანის მიუხედავად, ეთიკის ნორმების ბუნდოვანების პირობებში, მოსამართლის ქმედება შესაძლოა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე, რაც არ ემსახურება არც საზოგადოების და არც მართლმსაჯულების ინტერესს.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას უნდა წარმოადგენდეს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმის დახვეწა. დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს, რაც საჭიროებს დაზღვევას მოსამართლის დაცვის ადეკვატური გარანტიებით. მათ შორის, პროცესის ღიაობით, ნორმების განჭვრეტადობით და სამართლიანი განხილვის გარანტიების უზრუნველყოფით. არსებული რისკების მიუხედავად, მოსამართლის დამოუკიდებლობის კონცეფცია არ უნდა მოხდეს მოსამართლის ანგარიშვალდებულების იდეისგან განყენებულად განხილვა. თუკი საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, სააღსრულებლო ფურცლის გაუცემლობა, ბაჟის არასწორად დაკისრება ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების უგულებელყოფა, რაც ხდება არაერთგზის ან/და იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მძიმე ან გამოუსწორებელ დარღვევას, დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე, ეს შექმნის მოსამართლის დამოუკიდებლობის არასწორად გაგების საფრთხეს. ეს ყოველივე კი ცალსახად არ შეუწყობს ხელს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის შექმნას და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

რესპონდენტთა უმეტესობა, როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე რესპონდენტები, მიიჩნევენ, რომ ზემდგომი ინსტანციისა და გასაჩივრების უფლების არსებობა არ გამორიცხავს მოსამართლის პასუხისმგებლობას მის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებისთვის. თუმცა, ის, რაც გამოსწორებადია, ის, რაც პროცესის წესით სწორდება ან ზემდგომი ინსტანციის მიერ, ან თვითონ იმავე ინსტანციის

მოსამართლის მიერ ხდება გამოსწორება, არ შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. თუმცა ერთ-ერთი მოსამართლე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ „თუ, მაგალითად მოსამართლე შემჩნეულია, რომ არ იღებს წარმოებაში სარჩელს, ანუ მიზეზს ეძებს როგორ არ მიიღოს სარჩელი, ამის შეფასება მარტივია. ის, რომ მოსამართლემ არ მიიღო წარმოებაში სარჩელი ეს არ შეიძლება გახდეს მოსამართლეზე ზემოქმედების საფუძველი, მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ მოსამართლე ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად ერთი და იმავე მიზეზით არ იღებს საქმეს წარმოებაში ანუ ეს აჩენს ეჭვს, შეფასების საგანი ხდება, ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაისვას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.“

მომზადებული ცვლილებით, შეიძლება შეიქმნას ვითარება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდა, რომ მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა ან/და ის მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას გააჩნდა რაიმე პირადი ინტერესი ან მიიღო სარგებელი, მაშინ მის ქმედებას დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია არ მიენიჭება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის ახლანდელი რედაქცია, განამტკიცებს, რომ მოსამართლის ქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს შინაგანი რწმენა, არ შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. კერძოდ, თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძველით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემა დაუშვებელია. ვინაიდან, ის პირდაპირ უქმნის საფრთხეს მოსამართლის ხელშეუხებლობას და მთლიანად სასამართლოს დამოუკიდებლობას. შესაბამისად, მოსამართლის ქმედება არ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად და მას არ დაეკისრება დისციპლინური სახდელი თუ ის მოქმედებდა შინაგანი რწმენის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონის ახლანდელი რედაქცია ქმნის ამგვარი დაცვის გარანტიას, მნიშვნელოვანია კანონში გაჩნდეს მეტი სიცხადე. მათ შორის, იმასთან დაკავშირებით, რას წარმოადგენს შინაგანი რწმენა, რა მოცულობა აქვს ამ ტერმინს და როგორ დგინდება შინაგანი რწმენის მიხედვით მოქმედება.

დღეს მოქმედი ეთიკის ნორმებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის შემოფარგვლა გაუმართლებლად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც ეთიკის ნორმები არ არის განჭვრეტადი და შეიძლება ისეთი ქმედებები, როგორცაა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება და სხვა, რეაგირების გარეშე დარჩეს. ერთ-ერთი მოსამართლე რესპონდენტის ინტერვიუს თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი დაიხვეწოს და მიუახლოვდეს ბანგალორის პრინციპებს, რომელშიც დაწვრილებით და დეტალურადაა ჩამოთვლილი მოსამართლეთა ეთიკური ვალდებულებები.

დღეს მოქმედი ეთიკის კოდექსი შეიცავს ზოგად დებულებებს, რომელიც ეხება მოსამართლის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, მოსამართლის კომპეტენტურობას და გულისხმიერებას, მოსამართლის არასამოსამართლო საქმიანობას და სხვა ზოგად



წესებს. ეთიკის კოდექსით გამტკიცებული პორინციპები ზოგადი ხასიათისაა და იგი შეიძლება თავის თავში აერთიანებდეს მრავალი კონკრეტული მნიშვნელობის ეთიკურ ნორმას. პრინციპები ზოგადი ხასიათისაა, მაგალითად, მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად. ეთიკური ნორმა, რომელიც უფრო კონკრეტულია, უფრო ახლოსაა მისი არსის გამოვლენასთან. ამასთან, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია არის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს. შესაბამისად, ამგვარი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მხოლოდ თვითმმართველობის ორგანოს რჩება უფლება დაადგინოს ქცევის წესები, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს სასამართლო სისტემის ჩაკეტილობა და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დარღვევა.

ინდივიდუალური ინტერვიუების დროს, რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავდა, რომ დისციპლინური გადაცდომის საფუძველი უნდა იყოს ეთიკის ნორმების დარღვევა, თუმცა აღნიშნავენ, რომ დღეს მოქმედი ეთიკის კოდექსი, ბუნდოვანია და საჭიროებს დახვეწას. თუმცა, არსებობს სხვა რესპონდენტების მოსაზრებაც, რომ მოსამართლეები არ უნდა აგებდნენ პასუხს მხოლოდ მათ მიერ შემუშავებული ეთიკის ნორმებით და ეს ეთიკის ნორმები პარლამენტის ან სხვა ორგანოს მიერ უნდა გადაიხედოს, ან შეივსოს და გადავიდეს დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში.

ინტერვიუებში, არამოსამართლე წევრების უმრავლესობამ აბსოლუტური თვითრეგულირების წინააღმდეგ დააფიქსირა პოზიცია. ერთ-ერთმა არამოსამართლე რესპონდენტმა, ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სისტემას ესაჭიროება მეტი გამჭვირვალობა და ის არ უნდა იყოს ჩაკეტილი სივრცე. ასეთივე იყო სხვა არამოსამართლე რესპონდენტის პოზიცია, რომელმაც აღნიშნა: *“პარლამენტს ვერ წავართმევთ მთლიანად უფლებამოსილებას, რომ კანონით დაარეგულიროს მოსამართლის დისციპლინა და ასე ვთქვათ, აქ საკანონმდებლო ჩარევას ჩვენ მთლად ვერ გამოვრიცხავთ და აქ საკითხავია კიდევ მოსამართლის პროფესიის თვითრეგულირება, ანუ პარლამენტი რამდენად ანდობს უკვე სასამართლოს თვითრეგულირებას ბოლომდე. იმიტომ რომ მოსამართლეთა კონფერენციას შეუძლია შეცვალოს ეთიკის კოდექსი და დაწეროს ახალი კოდექსი, შესაბამისად უკვე მატერიალურ-დისციპლინარული სამართალი გადავიდეს მოსამართლეთა კონფერენციის ხელში, ანუ კანონმდებელი გახდეს უკვე მოსამართლეთა კონფერენცია და გახდეს თვითრეგულირებადი პროფესია. მე ამ ეტაპზე ვერ ჩავთვლი აუცილებლად და მიზანშეწონილად რომ მხოლოდ ეთიკის კოდექსით დარეგულირდეს, კანონმდებლის გამოთიშვა ვფიქრობ ამ ეტაპზე არ იქნება მიზანშეწონილი. რაღაც ეტაპზე შეიძლება.”*

რაც შეეხება მოსამართლეთა პოზიციას აღნიშნულ საკითხზე, ერთ-ერთმა მოსამართლემ, რომელიც მხარს უჭერს დისციპლინურ პასუხისმგებლობას მხოლოდ ეთიკის წესების დარღვევის საფუძველზე, აღნიშნა, რომ შეიძლება ეთიკის ნორმები პარლამენტის ან სხვა ორგანოს მიერ გადაიხედოს, ან შეივსოს და გადავიდეს დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში.

თვითრეგულირების მხარდამჭერი პოზიცია გამოხატა ყოფილმა მოსამართლემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აჯობებს უფრო მეტი ბერკეტი მიეცეს მოსამართლეებს და თუ არსებობს

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი თვითმმართველობა - მოსამართლეთა კონფერენციის სახით - მაშინ მან უნდა დაადგინოს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

### *1.3. მოსამართლის მიერ უფლებამოსილების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება*

კანონის უხეში დარღვევა, როგორც დისციპლინური გადაცდომა, კანონმდებლობაში არსებობდა 2012 წლის 27 მარტამდე. აღნიშნული ქმედება გულისხმობდა, “მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევას, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილეს, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს”.

აღნიშნული ნორმის ამგვარი ფორმით არსებობა, საფრთხეს უქმნიდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ვინაიდან დისციპლინური დევნის განმახორციელებელ ორგანოს, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შეეძლო დისციპლინური დევნის დაწყება<sup>14</sup> ამა თუ იმ მოსამართლის მიმართ, ანიჭებდა ფართო უფლებამოსილებას, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევის განმარტების კუთხით.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის კვლევის<sup>15</sup> თანახმად, 98 დისციპლინური გადაცდომიდან (ადმინისტრაციულ საქმეებზე) 49 დაკვალიფიცირებდა, როგორც კანონის უხეში დარღვევა. სამოქალაქო საქმეებზე კი, 190-დან 62 გადაცდომა.

ზღვარის გავლება, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევასა და მის მიერ მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას შორის რთულია. ეს განპირობებული იმით, რომ მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება თავისთავში გულისხმობს და მოიცავს, მოსამართლის მიერ კანონის უგულვებელყოფასაც, მისი იმპერატიული მოთხოვნის შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას. კანონში, კი იგულისხმება, არამარტო სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საპროცესო კანონი, არამედ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები, როგორც ეს მითითებული იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში (კანონის უხეში დარღვევა).

იმას, რომ ზემოაღნიშნული დისციპლინური გადაცდომების (კანონის უხეში დარღვევა და

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>15</sup> იხილეთ ზემოთ დასახელებული კვლევა

მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება) გამიჯვნა სირთულეს წარმოადგენს, ადასტურებს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ<sup>16</sup> ერთი და იმავე შინაარსის გადაცდომა დაკვალიფიცირებულა, ერთ შემთხვევაში, კანონის უხეშ დარღვევად (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის შესახებ განჩინებების გამოტანა და მოსარჩელისათვის ჩაბარება რამდენიმე კვირის დაგვიანებით) და მეორე შემთხვევაში, არაჯეროვან შესრულებად (დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა მხარისათვის რამდენიმე თვის დაგვიანებით.)

ამდენად, კანონში შეტანილი ცვლილებით, ფაქტობრივად, არ შემცირებულა მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს მის საქმიანობაში ჩარევის რისკი. უფრო მეტიც, როგორც სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები მოწმობს, კანონის უხეში დარღვევის გადაცდომების საფუძვლებიდან ამოღების შემდეგ, ყველა საქმე, რომელზეც მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა, დაკვალიფიცირებული იყო მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობად ან/და არაჯეროვან შესრულებად. მოსამართლეები სახიფათოდ მიიჩნევენ მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების საფუძვლით მოსამართლის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნულს ადასტურებს მათთან ჩატარებული ინტერვიუები. ერთ-ერთი მოსამართლე რესპონდენტი საკუთარ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ გაუგებარია, რა იგულისხმება ტერმინში “არაჯეროვანი შესრულება”, რაც ქმნის შესაძლებლობას, კონკრეტული მოსამართლის მიმართ განხორციელდეს უსამართლო და უსაფუძვლო დევნა. მოსამართლის შეფასებით, დაისჯება თუ არა მოსამართლე, არ უნდა იყოს დისციპლინური დევნის განმახორციელებელი პირის კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

ასევე, მოსამართლე რესპონდენტის განცხადებით, კანონის „უხეში დარღვევა,” რომელიც ამოღებულ იქნა კანონიდან, დიდ რისკებს შეიცავდა, რადგან კანონის უხეში დარღვევის გაგება იყო არაერთგვაროვანი საკითხი. კანონის უხეში დარღვევა გარკვეულწილად იწვევდა დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთმანეთში აღრევას. ამასთან, მოსამართლის მიერ მატერიალური ან/და პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლა გარდაუვლად იწვევდა დისციპლინური ორგანოების შინაარსთან შემხებლობას. ამიტომაც, კანონის უხეში დარღვევის ნორმა იყო ცალსახად საფრთხის შემცველი მოსამართლის დამოუკიდებლობისთვის. თუმცა, როგორც ითქვა, “კანონის უხეში დარღვევის” გაუქმებამ სრულად ვერ აღმოფხვრა ის საფრთხეები, რაც ამ საფუძვლის არსებობას უკავშირდებოდა. კანონში დარჩა მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ცნება, რომელმაც გარკვეულწილად მოიცვა კანონის უხეში დარღვევის შემთხვევები.

პრაქტიკის ამგვარი განვითარების პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ უმჯობესი იქნებოდა, რეფორმას ერთდროულად დაქვემდებარებოდა კანონის უხეში დარღვევა და მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება. შესაძლოა აღნიშნული ცნებები გაერთიანებულიყო ერთი ტიპის გადაცდომად და ნათლად ჩამოყალიბებულიყო დეფინიცია, რომელიც გაითვალისწინებდა

<sup>16</sup> იხილეთ ზემოთ დასახელებული კვლევა

შემდეგ პრინციპებს:

“მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, კანონის დარღვევა ბოროტი განზრახვით, არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებით, წინასწარი შეცნობით, რომ ქმედება სცდებოდა მოსამართლის უფლებამოსილებას (ან იმ გარემოებებში, როდესაც მოსამართლეს უნდა სცოდნოდა, რომ აჭარბებდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას), (ფუნდამენტური უფლებების უგულვებელყოფით), (კანონის მოთხოვნების განზრახ უგულვებელყოფი) ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელიც არ გულისხმობს მოსამართლის მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას”.<sup>17</sup>

სამწუხაროდ, ზედაპირული ცვლილებების შედეგად, ძირეული პრობლემის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა. ამასთან, სპონტანური და არასისტემური რეფორმის პირობებში, ვერ მოხდა საკითხის კონცეპტუალური გააზრება და კვლავ გამოწვევად რჩება მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების მოცულობის სწორად განსაზღვრა, ინტერესების დაბალანსება და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა.

იმის, გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არსებობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხანგრძლივი ტრადიცია და სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა ჩამოყალიბების პროცესშია, კანონმა უნდა შექმნას დაბალანსებული და ობიექტური ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის სისტემა, რითაც მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის რისკები, მოსამართლის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

#### *1.4. ზღვარი იურიდიულ შეცდომასა და გადაცდომას შორის*

კვლევის მომზადების დროს, განსაკუთრებულად აქტიურად განიხილებოდა საკითხი იურიდიულ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის არსებული ზღვარის შესახებ. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან უკავშირდება, ერთი მხრივ, სამოსამართლო უფლებამოსილების ფარგლებს, მეორე მხრივ კი, დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს ფარგლებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არ შეიცავს არც ერთი ტერმინის განმარტებას, რაც შესაძლებელს გახდიდა ერთმანეთისგან საკანონმდებლო დონეზე მაინც გამიჯნულიყო ცნებები.

აღნიშნული ტერმინების განმარტება სადისციპლინო კოლეგიამ საკუთარი პრაქტიკით სცადა. სადისციპლინო კოლეგიამ, მის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად, კანონით გათვალისწინებულზე მეტი ვადის განსაზღვრა (მხარეს კანონით დადგენილი 7 დღის ნაცვლად, განესაზღვრა 10 დღე) დააკვალიფიცირა მოსამართლის მოვალეობების არჯეროვან შესრულებად. სასამართლო გადაწყვეტილებაში გასაჩივრების ვადის არასწორად მითითება - ნაცვლად 14 დღისა, 7 დღის მითითება დაკვალიფიცირდა როგორც იურიდიული შეცდომა.

<sup>17</sup> Victoria Henley Overview of Judicial Disciplinary Systems, COMMENTS ON PROPOSED AMENDMENTS TO DISCIPLINARY LAW GEORGIA, Georgia 2011

აღნიშნულ საქმეზე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ,<sup>18</sup> აღნიშნა, რომ დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი. კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებლობაში, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, თუ ქმედება ექცევა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. გასაჩივრების ვადის არასწორი მითითება გადაწყვეტილებაში კოლეგიამ ჩათვალა სამართლებრივ შეცდომად.

კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებამდე, საპროცესო დოკუმენტში ვადის არასწორად მითითება ითვლებოდა დისციპლინურ გადაცდომად და კვალიფიცირდებოდა, როგორც მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებ. კოლეგიის ამდაგვარი მიდგომით კი ნებისმიერი სახის გადაცდომა, რომელიც უკავშირდება, საპროცესო დოკუმენტში ვადის არასწორ მითითებას, იურიდიულ შეცდომად იქნება დაკვალიფიცირებული.

თუკი, განაჩენში (განაჩენით) ნივთმტკიცების ბედის გადაუწყვეტელობამ, რომელიც კოლეგიის მიერ არაერთხელ დაკვალიფიცირებულა მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვან შესრულებად, არ შეიძლება მიაყენოს არსებითი ზიანი პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს, სასამართლო გადაწყვეტილებაში გასაჩივრების ვადის არასწორად მითითებამ, შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს, როგორც პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ასევე საჯარო ინტერესებსაც. ამან კი, საბოლოო ჯამში, შეიძლება გამოიწვიოს გასაჩივრების უფლების გარეშე დარჩენა და სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა<sup>19</sup>.

როგორც კოლეგიამ აღნიშნა, დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლებისას, უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება არსებობს თუ არა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. შეცდომის გამოსწორების გზად კი, კოლეგიამ სასამართლოსთვის უსწორობის გასწორების შესახებ განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა და ამ გზით გადაწყვეტილებაში არასწორად მითითებული გასაჩივრების ვადის გასწორება იგულისხმა.

ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში არასწორად მოხდა გასაჩივრების ვადის მითითება, შესაძლოა მიანიშნებდეს, მოსამართლის მიერ მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე (რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: მოსამართლის

---

<sup>18</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება (<http://hcoj.gov.ge/ge/saqrtvelos-saerto-sasamartloebis-mosamartleta-sadistsiplino-kolegiis-gadatskvetilebebi>)

<sup>19</sup> კოლეგიის მიერ განხილულ საქმეში, მხარემ სასამართლოს მიერ არასწორად მითითებულ 15 დღიან ვადაში გასაჩივრა გადაწყვეტილება, ხოლო ზემდგომმა განუხილველი დატოვა, როგორც ვადის დაღვევით წარდგენილი საჩივარი.

დატვირთულობით, სასამართლო აპარატის მიმართ მაღალი ნდობით, უყურადღებობით და სხვა). თუმცა, რა თქმა უნდა, დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლებისას, უნდა მოხდეს მისი ხარისხის, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათის, მოსამართლის კეთილსინდისიერების, მისი მოტივის გათვალისწინება. ამის პარალელურად კი ყურადღება უნდა მიექცეს მხარისათვის ზიანის მიყენების ფაქტს, შეცდომის გამოუსწორებლობის შესაძლებლობას, საზოგადოების ნდობის ფაქტორს სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი (განსაკუთრებით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიმართ). ყველა ამ გარემოების ობიექტურად შეჯერების შედეგად, მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, გადაცდომის მცირე მნიშვნელობის და ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო, შეძლება არ გახდეს მისი პასუხისმგებლობის საფუძველი.<sup>20</sup>

ერთ-ერთი არამოსამართლე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ შეცდომა არ უნდა დაისაჯოს, შეცდომა შეიძლება მარტივად გამოსწორდეს, თუმცა, შეცდომა ფართოდ არ უნდა განიმარტოს და აშკარა გადაცდომა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ამ შემთხვევაში, სამი ძირითადი კრიტერიუმი უნდა მოქმედებდეს, არის თუ არა ჩადენილი ქმედება, არის თუ არა ეს ქმედება დასჯადი, და სახეზე გვაქვს თუ არა ბრალეულობა. შესაბამისად, ბრალეული ქმედება არის გადაცდომა და არა შეცდომა.

გარდა, ზემოთ დასახელებული გარემოებებისა, შეცდომის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისათვის აუცილებელ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს, შეცდომის გამოსწორების რეალური შესაძლებლობა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ინსტანციურობა ემსახურება არაგანზრახი შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. თუმცა 2007 წელს, ისეთი მაღალი კრიტერიუმები დაწესდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დასაშვებობაზე, რომ ამით პრაქტიკულად ინსტანციურობაზეც უარი ვთქვით”.

გადაცდომების მიმართ უნდა იყოს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მოსამართლეთა დაცვის გარანტიების შექმნას და, მეორე მხრივ, უნდა პასუხობდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნას, რაც თავის თავში მოიცავს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩადენილი დარღვევების მიმართ ერთგვაროვან დამოკიდებულებას. სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოჩენილი ინიციატივა, საკუთარი პრეცედენტებით განესაზღვრა მნიშვნელოვანი ცნებების ნორმატიული შინაარსი დადებითი მოვლენა იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის განვითარების ეტაპზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოლეგიის ამგვარ მოქმედებას ინსტიტუციური საფუძველი არ გააჩნია და ამდენად სრულიად არამდგრადი მოვლენაა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას, კოლეგიის წევრთა განწყობების მიხედვით.

<sup>20</sup> იხ. დასახელებული კვლევა - „გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს მისამართისა და ადგილსამყოფელის მიუთითებლობა. მოსამართლე გამართლდა გადაცდომის მცირე მნიშვნელობის და ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო.

### 1.5. დისციპლინური გადაცდომების ბუნდოვანება

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალი არ არის სისტემურად გამართული. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ისეთ დისციპლინურ გადაცდომებს, როგორცაა თანამდებობრივი შეუთავსებლობა, მოსამართლის ავტორიტეტისთვის შეუფერებელი ქმედება, მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და პროფესიული საიდუმლოს გამჟღავნება, თავის თავში მოიცავს საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, შესაბამისად, მათი ცალ-ცალკე ჩამოთვლა საჭირო აღარაა და საკმარისი იქნებოდა მხოლოდ კანონის „ი“ ქვეპუნქტზე, კერძოდ კი სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევაზე მითითება.

არაერთგვაროვანია დარღვევები შინაარსობრივად. თუკი, ზოგიერთი დარღვევა, როგორცაა მოსამართლის თანამდებობისთვის შეუთავსებელი საქმიანობა, მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოსთვის ხელის შეშლა და სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა, თავისი ბუნებით, უდავოდ მიეკუთვნებიან დისციპლინურ გადაცდომებს, დარღვევათა მეორე ნაწილზე (კორუფციული სამართალდარღვევა და სამსახურებრივი ინტერესის არამართლზომიერად გამოყენება, მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და სხვა) რთულია ცალსახად იმის თქმა, მისი ჩადენის შემთხვევაში მოსამართლეს დისციპლინური სახდელი უნდა შეეფარდოს, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. ეს სირთულე გამოწვეულია როგორც სისხლისსამართლებრივი ნორმების არასაკმარისი სიზუსტით, ისე თავად დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის ბუნდოვანებით. რთული განსასაზღვრია, რა იგულისხმება ისეთ კორუფციულ სამართალდარღვევაში, რომელიც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის 338-ე მუხლი კორუფციული დანაშაულის ყველა ზოგად ნიშანს მოიცავს. შესაბამისად, ამგვარი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა ზედმეტს ხდის ამ ქმედებაზე დისციპლინური წარმოების დაწყების შესაძლებლობის მოქმედებას.

ბუნდოვანია დისციპლინური პასუხისმგებლობის ორი საფუძველი: საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება და მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. გარდა იმისა, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გულისხმობდეს საქმის გაჭიანურებასაც, თავად ეს ტერმინებიც ზემდეტად ფართოა და ითხოვს მეტ კონკრეტულებს, რათა მოსამართლეებს ჰქონდეთ კონკრეტული მოლოდინი, რა შემთხვევაში დაიწყება მათ მიმართ დისციპლინური დევნა. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა „არის ნორმები, რომლებიც არის მეტად ზოგადი და შესაძლებელია მათი გამოყენება მოსამართლეთა ინტერესების საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურება, რომელიც მეტად ფართო ჩანაწერია და ეს საეჭვოს ხდის სისტემის სანდოობას. საქმის განსახილველად დადგენილია კონკრეტული ვადები, მაგალითად, გაკოტრების

საქმის წარმოება უნდა დასრულდეს ერთ თვეში, როცა საქმეში შეიძლება იყოს 1500 კრედიტორი. შეუძლებელია ასეთი საქმე, ყველა საჭირო პროცედურის დაცვის პირობებში, ერთ თვეში დასრულდეს.”

## 1.6. დისციპლინური სახდელები და ზემოქმედების ღონისძიებები

### 1.6.1. კერძო სარეკომენდაციო ბარათი

კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა არ წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეს. იგი დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებაა.<sup>21</sup> „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით, კერძო სარეკომენდაციო ბარათი არის სადისციპლინო კოლეგიის წერილი დისციპლინური დარღვევის ჩამდენი მოსამართლისადმი, სადაც უარყოფითად არის შეფასებული ამ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ბარათში აგრეთვე მოცემულია სადისციპლინო კოლეგიის რეკომენდაცია და რჩევა-დარიგება დარღვევების აღმოფხვრის, მოსამართლის მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და პრობლემების დაძლევის გზებისა შესახებ.

კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიზანი უნდა იყოს, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების საქმიანობის გაუმჯობესება. თუმცა, როგორც კვლევის ავტორებისთვის არის ცნობილი, ამ დრომდე არსებული პრაქტიკის თანახმად, მოსამართლისათვის გაგზავნილ სარეკომენდაციო ბარათებში, როგორც წესი, არ იყო მითითებული „რჩევა-დარიგება“ დარღვევების აღმოფხვრის შესახებ. ჩვეულებისამებრ, სარეკომენდაციო ბარათში მითითებულია, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, გადაცდომის სახე, მოსამართლის ბრალი კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში და მითითება შესასრულებელი საპროცესო მოქმედების შესახებ.

დარღვევების აღმოფხვრის, მოსამართლის მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და პრობლემების დაძლევის გზებისა და საშუალებების შესახებ შეიძლება გამოიცეს ზოგადი ხასიათის მითითებები, რეკომენდაციები, რეგულარულად ჩატარდეს მოსამართლეთა ტრენინგები. საქმეთა გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, პერმანენტულად მოხდეს მოსამართლეთა კორპუსის შევსება ახალი სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევებისა და მორალური პრინციპების ერთგული კადრებითა და კვალიფიციური დამხმარე პერსონალით.

ერთ-ერთი არამოსამართლე რესპონდენტის აზრით, „შესაძლებელია არაფორმალური ინსტრუქციების ან რჩევების მექანიზმი შემოვიღოთ, სადაც ერთმანეთისგან განსხვავდება რჩევების სისტემა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის სისტემა. შეიძლება ეს რჩევა-დარიგების სისტემაში გავიყვანოთ და მოსამართლეს მივცეთ რჩევა, რომ ამ საქმეზე

<sup>21</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-4 მუხლი



ნივთმტკიცების ბედი არ გაქვს გადაწყვეტილი და შენ თვითონ გაასწორე შეცდომა ან მომავალ საქმეებზე გაითვალისწინე ნივთმტკიცების ბედი”.

კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი მისი მიზნის პროპორციული უნდა იყოს. იგი უნდა ემსახურებოდეს სასამართლო სისტემაში თითოეული მოსამართლის როლის გაზრდას, მართლმსაჯულების პროცესის დახვეწასა და გაუმჯობესებას. ხოლო დარღვევების აღმოფხვრის, მოსამართლის მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და პრობლემების დაძლევის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის უნდა შეიქმნას მოსამართლის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ეფექტური სისტემა, რომელიც შეესაბამება სამოსამართლო დამოუკიდებლობის პრინციპებს, და რომელიც იქნება გამჭვირვალე და ეფექტური.

### 1.6.2. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება

ერთ-ერთმა არამოსამართლე რესპონდენტმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: *“1. მოსამართლე არის იმდენად არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური და არაეთიკური, რომ მისი გაჩერება სისტემაში უფრო მეტი დანაკარგია სისტემისთვის, ვიდრე მისი ყოფნა... 2. მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება იმდენად მძიმეა, რომ საზოგადოება ვერ ჩათვლის ადეკვატურად ვერც ერთ სხვა ღონისძიებას, გარდა გათავისუფლებისა. საზოგადოება იფიქრებს, რომ თუ ეს მოსამართლე არ გათავისუფლდა, ე.ი. სისტემა ხელს აფარებს თავის მოსამსახურეებს. სისტემა მიმართულია მოსამართლეების ხელის დასაფარებლად და არა მოქალაქის დასაცავად.”*

კანონმდებლობით, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, როგორც დისციპლინური სახდელის სახე, მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენისთვის<sup>22</sup>:

- კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა;
- მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;
- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა;

კვლევის მომზადების პროცესში, საქართველოს პარლამენტში მოხდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროექტის ინიცირება, რომლის მიხედვით:

“სადისციპლინო კოლეგია ითვალისწინებს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება არის უკიდურესი ღონისძიება და იგი გამოიყენება განსაკუთრებულ

<sup>22</sup> „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 54<sup>1</sup>-ე მუხლი

შემთხვევებში. სადისციპლინო კოლეგია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ იგი კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის, რაოდენობის, აგრეთვე წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად მიიჩნევს ამ მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელებას.”<sup>23</sup>

ცხადია, რომ შემოთავაზებული ცვლილება ხელს უწყობს კოლეგიის უფლებამოსილების შეზღუდვას, რომ ყველა შემთხვევაში არ გამოიყენოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, როგორც დისციპლინური სახდელი და მისი გამოყენება მოხდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობამ დააფიქსირა პოზიცია, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელი უნდა იყოს უკიდურეს შემთხვევაში, განმეორებითი, არაერთგზისი ან/და ძალიან უხეში დარღვევისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყოფილმა მოსამართლემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, საჭიროა არსებობდეს სახდელის გაქარწყლების ვადა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილების განხორციელებამდეც, კოლეგია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს შეზღუდულია რიგი ფაქტორებით, მათ შორის, მოსამართლის მიერ ჩადენილი კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, რაოდენობა, აგრეთვე მოსამართლის მიერ წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები. ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაში<sup>24</sup> აღინიშნა, რომ მოსამართლის მანდატის ნაადრევი შეწყვეტა გამოყენებული უნდა იქნას, როგორც უკიდურესი საშუალება გამონაკლის შემთხვევებში, მოსამართლის მსჯავრდების შემთხვევაში, მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ან მოსამართლის მიერ თავისი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივი შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, კანონშივე ყოფილიყო განმარტებული რა ითვლება განსაკუთრებულ შემთხვევებად, იმისათვის რომ კოლეგიას არ მიეცეს შეუზღუდავი უფლებამოსილება, ნებისმიერი შემთხვევა მიიჩნიოს განსაკუთრებულ შემთხვევად.

## **თავი 2: დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები**

### *2.1. დისციპლინური ორგანოების დაკომპლექტების წესი*

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის სასამართლოს ადმინისტრირების უმაღლესი რგოლი, რომლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპეტენციას წარმოადგენს საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების


<sup>23</sup> „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი

<sup>24</sup> ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნა, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონზე, პარაგრაფი #25

განხორციელება. დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების მიზნებისთვის სასამართლო სისტემაში, დამატებით, შექმნილია ორი დამოუკიდებელი რგოლი: საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა.

2013 წელს, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, არსებითად შეიცვალა სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი, რამაც უკეთ განსაზღვრა აღნიშნული ორგანოს ადგილი სისტემაში და მისი დამოუკიდებლობა.

ქვემოთ მოცემული ვიზუალიზაცია წარმოადგენს განხორციელებული ცვლილების ძირითად არსს სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესში:



სადისციპლინო კოლეგიის ფორმირების წესის შეცვლით, გაიზარდა სადისციპლინო კოლეგიის დამოუკიდებლობის ხარისხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან. ასევე, შეიქმნა გარანტიები კოლეგიის წარმომადგენლობის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

თუმცა, დისციპლინური ორგანოების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით რჩება რიგი დასარეგულირებელი საკითხები. მათ შორის, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ფორმირების წესი. დღეს მოქმედი წესის მიხედვით, პალატა კომპლექტდება პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ არსებობდა პალატის მიმართ მოსამართლეების მხრიდან ნდობის პრობლემა. ეს შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო პალატის დაკომპლექტებაში მოსამართლეების ჩართულობის არარსებობით. მართალია, პალატის ფორმირებაში მონაწილეობდა უზენაესი სასამართლო პლენუმი, თუმცა, ამ ორგანოს, თავის მხრივ, წარმომადგენლობითი ხასიათი არ გააჩნია და ის ვერ ჩაითვლება სასამართლო კორპუსის ნების გამომხატველად. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა უმჯობესი იყოს პალატის დაკომპლექტებაში ჩაერთოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც აერთიანებს საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლეს და რომელსაც აქვს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების ლეგიტიმაცია. ამგვარმა ცვლილებამ შესაძლოა გაზარდოს მოსამართლეთა ნდობა სადისციპლინო პალატის მიმართ.

## 2.2. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოცულობა

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა შეეხება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს. ამას მოწმობს კანონის პირველი მუხლი, რომელიც აყალიბებს კანონის მოქმედების არეალს.


ამგვარი რეგულირების პირობებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის მიღმა რჩებიან თავად დისციპლინური ორგანოების წარმომადგენლები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები. კვლევის მომზადების პერიოდში, კვლევის ავტორებმა დააფიქსირეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აქტუალური გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინდივიდუალური წევრების მოქმედების ეთიკურობისა და კანონიერების საკითხი. თუმცა, ამ საკითხის მარეგულირებელი ნორმატიული საფუძველი არ მოიძებნება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მიხედვით, საბჭოს წევრებს ევალებათ ჯეროვნად შეასრულონ მოვალეობები. აღნიშნულის საპასუხოდ, მოვალეობების სისტემური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შესაძლოა გახდეს საბჭოს წევრის გათავისუფლების საფუძველი. თუმცა, არც კანონი და არც საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს საბჭოს წევრთა მიერ კანონისა ან/და ეთიკის ნორმების დარღვევის განხილვის მექანიზმის არსებობას. ეს კი ნიშნავს, რომ რეგლამენტში მოცემული საფუძველი ფორმალურია და მოვალეობების ჯეროვანი შესრულების დადგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. კანონით განსაზღვრული არ არის სუბიექტი, რომელსაც ექნება საბჭოს წევრთა მოქმედების შეფასებისა და ზემოქმედების უფლებამოსილება. მაშინ, როდესაც საუბარია საბჭოს წევრთა მხრიდან ქცევის წესების დარღვევაზე და არა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე, რაც სასამართლოს კონტროლის საგანი შეიძლება გახდეს.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონი არაფერს ამბობს იმაზე, ვრცელდება თუ არა კანონის მოქმედება მოსამართლეებზე, რომლებიც იმავდროულად ახორციელებენ საბჭოს წევრის უფლებამოსილებას და მოქმედებენ სწორედ ამ უკანასკნელის ფარგლებში. ასევე ღიად არის დატოვებული საბჭოს არამოსამართლე წევრთა ქმედებების რეგულირების საკითხი. აღნიშნული საკითხის რეგულირება მნიშვნელოვანია. საბჭო მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს არაერთ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს კონკრეტული პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე. საბჭოს საქმიანობა ასევე აყალიბებს მოქალაქეების დამოკიდებულებას სასამართლო სისტემის მიმართ. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრების ეთიკისა და ქცევის ერთიანი წესები ჩამოყალიბდეს და შეიქმნას მათ შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმი.

ანალოგიურად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თავად დისციპლინური ორგანოების, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის წევრთა ეთიკის წესები, რათა საბჭოს მსგავსად, ამ ორგანოების მიმართაც გაიზარდოს საზოგადოების ნდობა. ქცევის ნორმების დადგენა ხელს შეუწყობს და დადებითად აისახება ზოგადად სასამართლო სისტემის განვითარებასა და სისტემის შიგნით მნიშვნელოვანი ინსტიტუტების გაძლიერებაზე.


### 2.3. დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპები

დღეს მოქმედი კანონმდებლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციებში დისციპლინური სამართალწარმოების რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებს. ქვემოთ მოცემულია გრაფიკი, რომელიც აღწერს პროცესის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს, გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი სუბიექტების მითითებით:




### 2.3. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაზი

კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაზი და უფლებამოსილი პირების წრე ასე გამოიყურება:



კანონის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც მხარეები/დაინტერესებული პირები არ დაობენ, დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, მოსამართლის მიმართ საბჭოს აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული არ არის მოხსენებითი ბარათის შედგენის და გამოყენების საკითხები, რამაც შესაძლოა შეუზღუდავი უფლებამოსილება მიანიჭოს საბჭოს აპარატს. ერთ-ერთი მოქმედი მოსამართლის განცხადებით, კანონმდებლობა ზუსტად უნდა ემსახურებოდეს მიზანს და ნაკლებად უნდა იყოს სუბიექტური ჩარევის შესაძლებლობა. აუცილებელია, რომ დისციპლინური პროცესის დამწყები პირი არ იყოს სასამართლო სისტემისა და იუსტიციის საბჭოს თანამშრომელი. საკითხის რეგულირებისას, გასათვალისწინებელია საბჭოსა და ინდივიდუალური მოსამართლეების ურთიერთობის გამოცდილებაც და საბჭოს მხრიდან აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების ისტორიაც. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ, საკუთარი საქმეების ანალიზის შედეგად მომზადებული კვლევა მიუთითებს, რომ 2007-2013 წლებში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაზი, ყველაზე ხშირად, სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათი იყო.

**დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაზი:**  
(მოსამართლის მიმართ)



არსებულ ვითარებაში, როდესაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობა კანონმდებლობით სათანადოდ გარანტირებული და პრაქტიკით საკმარისად განმტკიცებული კვლავ არ არის, არსებობს საფრთხე, რომ მსგავსმა შესაძლებლობამ გამოიწვიოს დისციპლინური დევნის განმახორციელებელი ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს - ხელში სახიფათო მექანიზმების შენარჩუნება, რომლის კომპეტენცია თავის მხრივ დატვირთულია სხვა მნიშვნელოვანი და ექსკლუზიური ფუნქციებით. მაგალითად, მოსამართლის დანიშვნისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა, დაწინაურება, მივლინება და სხვა.

**2.3. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება**

კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებული არიან, დისციპლინური დევნის შემდგომი მსვლელობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი მასალები წარუდგინონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუმცა, მსჯელობის საგანს წარმოადგენს რამდენად გამართლებულია, როდესაც სასამართლო სისტემის მაღალი თანამდებობის პირები პარალელურად სარგებლობენ იმავე უფლებამოსილებებით, რითაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

თავმჯდომარეების უფლება, ერთპიროვნულად მიიღონ გადაწყვეტილება, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ, შესაძლოა ქმნიდეს, სასამართლოს შიგნით, თავმჯდომარის მხრიდან კონკრეტულ მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რაც ხელს არ უწყობს სასამართლოებში

არსებული ადმინისტრაციული მართვის ვერტიკალში მოსამართლეებსა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის არსებობას. იქიდან გამომდინარე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კოლეგიური ორგანოა, დისციპლინური დევნის საკითხის განხილვა წევრებს შორის გარკვეული პროცედურების დაცვით ხდება. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების შემთხვევაში კი, ამგვარ პროცედურაზე კანონი არ მიუთითებს. შესაბამისად, კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეტი ლეგიტიმურობითა და ნდობით შეიძლება გამოირჩეოდეს. ამდენად, უმჯობესი იქნება დისციპლინური სამართალწარმოების უფლებამოსილების კონსოლიდირება მოხდეს ერთი ორგანოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში.<sup>25</sup>

#### *2.4. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმების ეტაპი*

კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, წინასწარი შემოწმების შედეგად, დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას აფასებს და გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ხოლო შემდგომ ეტაპზე ამტკიცებს საბჭო.<sup>26</sup>

კვლევის მომზადების დროს, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის განმარტებითი ბარათის მიხედვითაც, დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაციის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გარკვეული უფლებამოსილებები ეზღუდება.


წარმოდგენილი გრაფიკი ვიზუალურად გამოსახავს კანონპროექტით შემოთავაზებულ ცვლილებებს, საბჭოსა და მდივნის კომპეტენციების ცვლილებებთან დაკავშირებით, სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე:

---

<sup>25</sup> კვლევის მომზადების დროს ინიცირებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი, რომლის მიხედვით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ.

<sup>26</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი





მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული ცვლილებების სულისკვეთება ნათელია, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვითაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ ან კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვერ იღებს. გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინებოდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს, ერთ-ერთმა მოსამართლე რესპონდენტმა საბჭოს მდივნის აღნიშნული უფლებამოსილება მაინც უარყოფითად შეაფასა.

## 2.5. დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.<sup>27</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის გათვალისწინებით, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს უჭერს საბჭოს სულ ცოტა 10 წევრი. ეს წესი თავისთავად პოზიტიურია. თუმცა ხმათა უმრავლესობის შეგროვება პრაქტიკაში რთულია. ამას ადასტურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბოლო პერიოდის პრაქტიკაც.

ამასთან, კანონმდებლობა არ ასხვავებს ხმათა რაოდენობის საჭიროებას დისციპლინური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ამიტომაც, ბუნდოვანია რომელ ეტაპზეა საჭირო საბჭოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა გადაწყვეტილების მისაღებად. კანონის

<sup>27</sup> “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები

მოქმედი რედაქციის წაკითხვა შესაძლებელია იმგვარად, რომ 10 წევრის მხარდაჭერა საჭიროა ნებისმიერი დისციპლინური საკითხის გადასაწყვეტად. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, ასევე ბუნდოვანია თემა, რომელიც უკავშირდება დისციპლინური საქმის განხილვის შეწყვეტის საკითხს. კანონი არ პასუხობს კითხვას, საბჭოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერის არარსებობა იწვევს თუ არა განსახილველ საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტას. თავის მხრივ, დისციპლინური დევნის შეწყვეტა გადაწყვეტილების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომელზეც ხსენებული სამართლებრივი ლოგიკით, შესაძლოა ასევე 10 წევრის მხარდაჭერა იყოს საჭირო.

ამგვარი არაჰარმონიული, პროცედურული რეგულირება შესაძლოა გახდეს კრიზისული სიტუაციების წარმოქმნის და საქმეთა განხილვის გაჭიანურების საფუძველი. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოხდეს ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინება და შეიქმნას კრიზისის თავიდან აცილების მექანიზმები. თუკი დისციპლინური სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე საკითხის გაგრძელება ვერ აგროვებს საბჭოს მინიმუმ 10 წევრის მხარდაჭერას, ეს შესაძლოა ნიშნავდეს ამ საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტას, რომლის დამოუკიდებლად კენჭისყრის საჭიროება არ იარსებებს.

საბჭოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების წესთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს მტკიცების სტანდარტის საკითხზე. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონის პირველადი ვერსიის მიხედვით, დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებული ყოფილიყო დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში.<sup>28</sup> თუმცა, მოგვიანებით კანონიდან დასაბუთებული ვარაუდის შესახებ მითითება გაქრა და შესაბამისად გაუქმდა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სტანდარტი. ცხადია, სტანდარტის არარსებობა ხელს არ უწყობს მოსამართლის ინტერესების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერებას.

## *2.6. მოსამართლის მონაწილეობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური საქმის განხილვისას*

კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომაზე განიხილავს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, ასევე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის საკითხს და ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს. მას უფლება აქვს სხდომაზე მიიწვიოს მოსამართლე, საჩივრის (განცხადების) ავტორი, მოისმინოს მათი ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები.<sup>29</sup>

ამგვარად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის სხდომაზე

<sup>28</sup> “მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 2000 წლის რედაქცია

<sup>29</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-17 მუხლი


მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისა და მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხის შესახებ, რაც შეიძლება არ იყოს გამართლებული აღნიშნული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლის წინააღმდეგ შესული საჩივრის განხილვისას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საჩივარში საერთოდ არ იკვეთება გადაცდომის ფაქტი და იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდეს დასკვნამდე, რომ არ დაიწყოს დისციპლინური საქმის გამოკვლევა. ამდენად, მნიშვნელოვანია მოსამართლის დაცვის გარანტიების მართებულად მისადაგება ყველა შესაძლო პროცედურულ მდგომარეობასთან.

სტატისტიკური მონაცემებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, განსახილველად დიდი რაოდენობით საჩივრები შედის, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილზე სამართალწარმოება წყდება. შესაბამისად, არამართებული იქნება რომ ყველა საჩივარზე, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაზი გახდა, საბჭომ მოიწვიოს მოსამართლე, მიუხედავად იმისა, გრძელდება, თუ არა დისციპლინური საქმის გამოკვლევა. ამგვარი მიდგომა გამოიწვევს, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურებას, არაეფექტურობას და სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლას. თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა წარსდგეს საბჭოს წევრების წინაშე და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია თუკი საბჭოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მდგომარეობაზე. აღნიშნული შესაძლებლობის გარანტირება შეიძლება მოხდეს საბჭოს დავალდებულებით, რომ მოიწვიოს მოსამართლე სხდომაზე თუკი გადაწყდება საქმის გამოკვლევა.

## *2.7. დისციპლინური სამართალწარმოების ვადები*

დისციპლინურ სამართალწარმოებაში ვადების საკითხი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ერთი მხრივ, საზოგადოების მოლოდინსა და ინტერესზე დისციპლინური სამართალწარმოების და მისი შედეგების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, თვით მოსამართლეების ინტერესზე - განსაზღვრულ ვადაში დასრულდეს მათ მიმართ დისციპლინური დევნა.

მოქმედი კანონმდებლობით, სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე განსაზღვრულია შემდეგი ვადები:



უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი შესაბამისი საკანონმდებლო აქტით არ განისაზღვრება თუ რა ვადაში უნდა ჩატარდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა სადისციპლინო საკითხზე, რომელზეც საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ.

შესაბამისად, კონკრეტული მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა დამოკიდებულია ხანდაზმულობის ზოგად ვადებზე, რაც მოცემულია კანონში.<sup>30</sup> ასეთ ვითარებაში, აზრს კარგავს კანონის ის დებულებები, რომელიც არეგულირებს განცხადების განხილვისა და დისციპლინური საქმის გამოკვლევის ვადებს. რეალურად, ისინი ეფექტური ვერ იქნება, თუკი საკანონმდებლო დონეზე არ განისაზღვრება ვადა, რომლის განმავლობაშიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს სადისციპლინო საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული რეგულაციის არქონა იწვევს სადისციპლინო საკითხების განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, “საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” კანონს დაემატოს პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხდომის მოწვევისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას.

ვადებთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს დისციპლინური საქმის

<sup>30</sup> მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან - 1 წელი

წარმოების შეჩერების საფუძვლების განხილვა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა, დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების ორ საფუძველს განსაზღვრავს:

ა) დისციპლინური საქმის გამოკვლევის მასალები აშკარად მიუთითებს მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. ამ შემთხვევაში დისციპლინური საქმის მასალები ეგზავნება საგამომიებო ორგანოს;

ბ) დისციპლინური საქმის გამოკვლევის პროცესში წარმოიშვა ისეთი ობიექტური სირთულე ან დაბრკოლება (იმ მოსამართლის ავადმყოფობა, რომლის წინააღმდეგაც წარმოებს დისციპლინური დევნა, ან სხვა შემთხვევა), რომელიც დროებით შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში<sup>31</sup> დისციპლინური საქმის წარმოება ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე განიხილავს იმ საქმეს, რომელთან დაკავშირებითაც მის მიმართ შეტანილი იქნა განცხადება/საჩივარი. ამით, დისციპლინური ორგანოს მხრიდან იქმნება მოსამართლისა და სასამართლოს მიმართ დამოუკიდებლობის მეტი გარანტია. აგრეთვე, მხარეს არ ძლევს დისციპლინური ორგანოს მიერ მოსამართლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებით მანიპულირების საშუალება.

დღეს, კრიტიკის საგანი ხდება ის, რომ სასამართლოში საქმის მიმდინარეობის პარალელურად, დისციპლინური საქმის წარმოება ქმნის დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსა და საქმის განხილვაში მონაწილე მხარის სასამართლო საქმიანობაში ჩარევის საშუალებას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსა და საქმის განხილვაში მონაწილე მხარის სასამართლო საქმიანობაში ჩარევისაგან მოსამართლეს იცავს ნორმა<sup>32</sup>, რომელიც განამტკიცებს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება მხარეს (განცხადების/შეტყობინების ავტორს) ეგზავნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობს იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება. ამდენად, აღნიშნული ნორმის მოქმედების პირობებში, რისკი იმისა, რომ მხარემ მოახდინოს მანიპულირება დისციპლინური ორგანოს მიერ მოსამართლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებით, მცირდება.

შესაბამისად, იმ დროს, როდესაც სასამართლოში გრძელდება იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება, დისციპლინური წარმოების პროცესი არ უნდა შეჩერდეს, რადგან, აღნიშნული გამოიწვევს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურებას. კვლევის მომზადების პროცესში, ერთ-ერთი ადვოკატის მიერ დისციპლინური პროცესის გაჭიანურების

<sup>31</sup> იხ. Victoria Henley, Overview of Judicial Disciplinary Systems, Materials for the workshop held in Tbilisi Georgia, 2011.

<sup>32</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.

უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით დასახელდა საყურადღებო მაგალითი. ადვოკატის თანახმად, შესაძლებელია მოსამართლე უარყოფითად განეწყოს საქმეში ჩართული ადვოკატის მიმართ, რომელმაც მის წინააღმდეგ მიმართა საბჭოს და ამან გავლენა იქონიოს მთელი პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე. ადვოკატის მითითებით, დისციპლინური საქმეების განხილვის და შედეგების დადგომის გაჭიანურებამ შესაძლოა წახალისოს ასეთი არაპროფესიონალური და არაეთიკური განწყობები და ქმედებები მოსამართლეებში, რამდენადაც ისინი თავს გრძნობენ დაცულად პასუხისმგებლობისგან.

## *2.8. მოსამართლის დაწინაურების შეზღუდვა*

დღეს მოქმედი რეგულაციით, მოსამართლეს, თუ მის მიმართ დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, ეზღუდება თანამდებობრივი დაწინაურების ან საკლასო ჩინის მიღების უფლება. აგრეთვე, შესაბამისმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა არ უნდა მიანიჭოს ახალი საკლასო ჩინი ან გაამწესოს ზედა ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე, თუ მის მიმართ დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის. კვლევის მომზადების დროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეს ეზღუდება დაწინაურება, თუ მის მიმართ მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება ან დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დისციპლინური სამართალწარმოება ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს რამდენიმე ეტაპს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განცხადების შეტანიდან სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული პროცესი გარკვეულ დროს ითვალისწინებს და შეიძლება ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდეს.

ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეთა მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე დაწყებული სამართალწარმოების პროცესი წყდება, საჩივრის დაუსაბუთებლობის გამო. თუმცა, ასევე ხშირია მიმდინარე დისციპლინური საქმეების გაჭიანურების შემთხვევები, რაც კანონით ვადების დაურეგულირებლობას უკავშირდება.

შესაბამისად, მოსამართლის დაწინაურების შეზღუდვა მხოლოდ იმის გამო, რომ მის მიმართ შეტანილია განცხადება და დაწყებულია დისციპლინური სამართალწარმოება გაუმართლებელია. ამგვარი შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, უნდა დაკონკრეტდეს დისციპლინური სამართალწარმოების რა ეტაპზე არ შეიძლება მოსამართლის დაწინაურება, იმისათვის, რომ ამგვარი შეზღუდვა ჩაითვალოს თანაზომიერ საშუალებად.

## *2.9. გადაწყვეტილების მიღება სადისციპლინო კოლეგიაში*

კანონის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია გადაწყვეტილების მიღების დროს ადგენს სამ გარემოებას: ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ კონკრეტული ქმედება, წარმოადგენს თუ არა ეს ქმედება დისციპლინურ გადაცდომას და მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი

გადაცდომის ჩადენაში. კანონი არ განსაზღვრავს იმ მტკიცებულებით სტანდარტს, რომლის შესაბამისადაც უნდა იქნეს დასაბუთებული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. შესაბამისად, სადისციპლინო კოლეგიას არ ევალება შეამოწმოს ამგვარი სტანდარტის დაკმაყოფილება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დადგენამდე.

დისციპლინურ სამართალწარმოებაში მტკიცების სტანდარტის არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს მოსამართლის კანონიერ ინტერესებზე და ტოვებს მას სათანადო დაცვის გარეშე. ამას გარდა, სტანდარტის არარსებობა იწვევს მის არაერთგვაროვან გამოყენებას პრაქტიკაში<sup>33</sup> და ზრდის როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ისე სადისციპლინო კოლეგიის მიერ სტანდარტის თვითნებურად განმარტების შესაძლებლობას. აღნიშნული რისკების დაზღვევისა და სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია კანონით დადგინდეს საქმის განხილვის ერთგვაროვანი სტანდარტი, რომელიც იქნება საკმარისად მაღალი, რათა შესაბამისობაში იყოს ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობის მოთხოვნასთან.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობის საკითხი. კანონის თანახმად, კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ამასთან, კოლეგია საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია მაშინ, როდესაც მასში მონაწილეობს წევრთა ნახევარზე მეტი. სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობის გათვალისწინებით, ის უფლებამოსილია საქმე განიხილოს თუკი სხდომას ესწრება კოლეგიის 3 წევრი მაინც. ამასთან, ასეთი მონაწილეობის პირობებში, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება მაშინაც კი, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის ორი წევრი ერთის წინააღმდეგ, რაც საერთო ჯამში, გულისხმობს, რომ დისციპლინურ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია კოლეგიის 2 წევრის მიერ, რაც კოლეგიის წევრთა ნახევარზე ნაკლებია.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია, ზოგადად კოლეგიის დაკომპლექტების წესის მიმართება გადაწყვეტილების მიღების პროცედურასთან. კოლეგიის შემადგენლობაში მოსამართლეები 3 წევრით უმრავლესობას ქმნიან, 2 არამოსამართლე წევრი კი უმცირესობაშია. ცხადია მოსამართლეთა ამგვარი წარმომადგენლობა შესაბამისობაშია დისციპლინური საკითხების განხილველი ორგანოს დაკომპლექტების საუკეთესო პრინციპებთან. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ შექმნას ადეკვატური გარანტიები იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან კოლეგიის არამოსამართლე წევრები სრულად არ გამოირიცხონ. არსებული რეგულირების პირობებში, სამი მოსამართლე წევრის მიერ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება, არამოსამართლე წევრების მხარდაჭერის გარეშე, რაც სწორედ არამოსამართლე წევრების მონაწილეობის ხარისხის პრობლემაზე მიუთითებს.

<sup>33</sup> იხ. სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებები

### თავი 3: დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობა

#### *3.1. პროცესის გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის მიზნები*

კონფიდენციალურობა, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. მის მიზანი, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესის - მართლმსაჯულების ჯეროვანი, სრულყოფილი და დაუბრკოლებელი განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული მოსამართლის ინტერესის - მოსამართლის დამოუკიდებლობის და ავტორიტეტის უზრუნველყოფაა. გარკვეული პერიოდის წინ, ამ მიზნის მიღწევის საშუალებად კანონმდებელმა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ყველა ეტაპის გასაიდუმლოება აირჩია.

ინტერვიუში მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, *“სადისციპლინო პროცესში მოქალაქე არის დაინტერესებული მხარე. შესაბამისად, სადისციპლინო პროცესი მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად ასე არ არის, მორალურად არის დავა მოქალაქესა და მოსამართლეს შორის. თუ მოქალაქემ ჩათვალა, რომ სისტემა ყოველთვის მოსამართლეს იფარავს და სისტემა ყოველთვის მოსამართლის მხარესაა, ეს თვითონ შეარყევს სადისციპლინო პროცესს.”*

ერთ-ერთ საქმეში - „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანს, სწორედ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობა წარმოადგენდა. სასამართლომ მიუთითა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობა დაკავშირებულია სასამართლოსა და მოსამართლის მაღალ საზოგადოებრივ ავტორიტეტთან და მის დაცვა-შენარჩუნებასთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ "ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ" ადგენს, რომ მოსამართლის "საკითხის გამოძიების საწყის ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს საწინააღმდეგოს". ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ გულისხმობს ინფორმაციის ისეთ თავისუფლებას, რაც შეიძლება გახდეს სხვისი უფლებებისა თუ თავისუფლებების, ანდა სამართლებრივად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი შეზღუდვის საფუძველი. ამასთან, სადავო ნორმების შეფასებისას გასათვალისწინებელია, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის ის დებულება, რომლითაც იზღუდება ინფორმაციის მიღების თავისუფლება, თუკი ეს ზიანს აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.<sup>34</sup>

ამდენად, აღნიშნული განმარტებითაც ნათელი ხდება, რომ დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის დროს, დაცვის სფეროს წარმოადგენს ერთი მხრივ, ცალკე აღებული მოსამართლის კერძო ინტერესი და მეორე მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესი.

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება - „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.



გამოკითხულ რესპონდენტებს, მათ შორის, პროკურორებს, ადვოკატებს, არამოსამართლე და თვით მოსამართლე რესპონდენტებს შორისაც კი დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს პერსონალური მონაცემების დაცვით, ხოლო ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თუკი მოსამართლე მოითხოვს თავისი საქმის გასაჯაროებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს მასალების გამოქვეყნება.

აზრთა სხვადასხვაობაა კოლეგიის მიერ საქმის განხილვასა და მის მიერ გადაწყვეტილებების გასაჯაროებასთან დაკავშირებით. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის საჯაროობა და გადაწყვეტილების სრულად გამოქვეყნება საფრთხეს შეუქმნას მართლმსაჯულების იმიჯს და საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების მიმართ. მეორე ნაწილის აზრით კი, ეს ხელს შეუწყობს დისციპლინური გადაცდომების ჩადენის პრევენციას.

### *3.2. დისციპლინური პროცესის განვითარება სრული კონფიდენციალურობიდან ღიაობისკენ*

საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მიღებულია 2000 წლის 23 თებერვალს. კანონის ამოქმედების დროისათვის, კანონის მე-5 მუხლი ადგენდა დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობას, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, ისე სადისციპლინო კოლეგიისა და პალატისთვის.

2012 წლის 27 მარტს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონში დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაჯაროების კუთხით. კერძოდ, კანონს დაემატა დებულება, რომლის მიხედვითაც, საჩივრის ავტორისთვის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნათ შესაბამისი შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, თუ საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობდა იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.”

ამას გარდა, სავალდებულო გახდა პირის პერსონალური მონაცემების გარეშე, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების გამოქვეყნება ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სადისციპლინო კოლეგიასა და სადისციპლინო პალატას ასევე მიენიჭათ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გამოქვეყნების უფლება.

2013 წლის 1 მაისს, კანონში დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ღიაობასთან დაკავშირებით განხორციელდა კიდევ რამდენიმე ცვლილება. 1 მაისის ცვლილებებით, ნაცვლად გადაწყვეტილების თაობაზე შეტყობინების გაგზავნისა, სავალდებულო გახდა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების (უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, კერძო

სარეკომენდაციო ბარათი) საჩივრის ავტორისთვის გაგზავნა. აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, სრულად გამოქვეყნება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, გადაწყვეტილებების დამოწმებული ასლების გადაცემა ნებისმიერ პირისათვის.

აღნიშნული ცვლილების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები<sup>35</sup> მოსამართლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემული ვიზუალიზაციაზე წარმოდგენილია დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ტრანსფორმაციის ეტაპები სრული კონფიდენციალურობიდან გამჭვირვალობისკენ:



დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობა და ზოგადად სისტემის ჩაკეტილობა პრობლემური საკითხია არამარტო მოქალაქეებისთვის, რომლებმაც საჩივრით ან განცხადებით მიმართეს დისციპლინურ ორგანოს, არამედ თვით მოსამართლეთა კორპუსისთვისაც. რესპონდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ *“მოსამართლეებმა უნდა იცოდნენ, რა არის დისციპლინური დარღვევა და რა არ არის, ამისი დეფინიცია მსოფლიოში პრობლემაა, ვინაიდან არსად არ არის ამომწურავი ჩამონათვალი დარღვევების, ყველგან არის ზოგადი და ღია ნორმები, შესაბამისად მოსამართლეებმა უნდა იცოდნენ პრაქტიკა, რა ჩათვალა შესაბამისმა ორგანომ დისციპლინურ დარღვევად და რა არ ჩათვალა. ეს პრაქტიკა უნდა ვრცელდებოდეს ყოველთვის და მოსამართლეებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სისტემის ეფექტურობისათვის”*.

<sup>35</sup><http://hcoj.gov.ge/ge/saqrtvelos-saerto-sasamartloebis-mosamartleta-sadistsiplino-kolegiis-gadatskvetilebebi>

### 3.3. დისციპლინური პროცესის გამჭვირვალობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეტაპზე

დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მაგრამ ხელმისაწვდომი არ არის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება არც განმცხადებლის, არც საჩივრის ავტორისა და არც სხვა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, ბუნდოვანია, რატომ მიიღო საბჭომ ამა თუ იმ საქმეზე მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან სამართალწარმოების გაგრძელების გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ 2012-2013 წლებში კანონში შესულმა ცვლილებებმა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი ღიაობისკენ შეცვალა, აღნიშნული პოზიტიური ცვლილება არ გავრცელებულა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. შესაბამისად, დისციპლინური პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი კვლავ სათანადო ზედამხედველობის გარეშე დარჩა. ერთ-ერთმა ყოფილმა მოსამართლემ ინტერვიუში, საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, აღნიშნა:

*“დავაგალებდი საბჭოს, რომ კონკრეტულად გაწეროს მოსამართლეებისათვის რეკომენდაციები, რომ განზოგადება გააკეთოს პრაქტიკის - რა ჩაითვალა დარღვევად წინა საქმეებში, რომ მოსამართლეებმა იცოდნენ რა შეიძლება მოელოდეთ. რადგან შეიძლება, მოსამართლე ვერ ხვდება, რომ რაღაც ქმედებით დარღვევას სჩადის. ამ შემთხვევაში, მოსამართლეებსაც ექნებათ შესაძლებლობა, რომ შემხვედრი პოზიცია დააფიქსირონ, თუ რაღაც არასწორად ხდება პრაქტიკაში. პრაქტიკა უნდა გამოქვეყნდეს პირადი მონაცემების დაცვით”.*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეტაპზე დისციპლინური პროცესის გამჭვირვალობას არამიზანშეწონილად მიიჩნევს, ერთ-ერთი რესპონდენტი (არამოსამართლე) და აღნიშნავს, რომ „საბჭოში პროცესის ღიაობა არ არის მიზანშეწონილი, იმიტომ, რომ სანამ მოსამართლე პასუხისგებაში არ მიეცემა, მანამდე საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე დევნის თაობაზე არავითარ მიზანშეწონილობას არ ექვემდებარება, ვინაიდან შეიძლება დევნა შეწყდეს, ან საბჭომ არ მისცეს მოსამართლე პასუხისგებაში, შეიძლება ხანდაზმულობის ვადა გავიდეს, უამრავი მიზეზია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია რომ არ მივიდეს საქმე კოლეგიამდე”.

კვლევის მომზადების პერიოდში, იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა ცვლილებები დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში. იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი რჩება კონფიდენციალურად, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს მის გასაჯაროებას.<sup>36</sup> იგივე ეხება საქმის განხილვას სადისციპლინო კოლეგიაში.

იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით, კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი რჩება კონფიდენციალურად, თუმცა კერძო სარეკომენდაციო ბარათი ეგზავნება

<sup>36</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” მე-5 მუხლი

საჩივრის (განცხადების) ავტორსაც, იმ პირობით, რომ საჩივრის (განცხადების) ავტორი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელწერილს, კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობაზე.<sup>37</sup>

პროექტი, რომელიც ეხება უშუალოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური პროცესის გასაჯაროებას, დადებითი ხასიათისაა, ვინაიდან დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა, მათ შორის, გამოწვეულია მოსამართლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზეზით. თუ თავად მოსამართლე თვლის, რომ მისი საქმე უნდა გასაჯაროვდეს, კანონი არ უნდა ზღუდავდეს ასეთი შესაძლებლობის არსებობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმჯობესია, დისციპლინური სამართალწარმოების საკანონმდებლო-ინსტიტუციური ბაზისა და პრაქტიკის გაუმჯობესების და სრულყოფის მიზნით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი (დისციპლინური სამართალწარმოების მწარმოებელი ორგანოს - საბჭოს, კოლეგიის და პალატის წევრების თათბირი, ხმის მიცემის პროცესი) იყოს კონფიდენციალური, ხოლო ამ პროცესის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება კი საჯარო. ამ მიზნით, კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან შეჩერების, მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ უნდა გადაეცეს განმცხადებელს, (საჩივრის ავტორს); აგრეთვე, სრულად გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რათა საზოგადოებამ შეძლოს დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი და არ გაუჩნდეს უნდობლობა მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

ასევე, კანონმა შესაძლოა გაითვალისწინოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების სრული სახით ოფიციალურად გამოქვეყნების ალტერნატივა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს დისციპლინური სამართალწარმოების ანონიმური ხასიათის რეზიუმეები, როგორც ეს ხდება მაგალითად კალიფორნიის შტატში.<sup>38</sup> აღნიშნული საშუალებას მისცემს, როგორც მოსამართლეებს, ასევე საზოგადოებას, შეაფასოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პროპორციულობა. ასევე, მოსამართლეებისათვის ნათელი გახდება, თუ რა ითვლება დისციპლინური ხასიათის გადაცდომად და რა იურიდიული ხასიათის შეცდომად. მითითებულმა ცვლილებებმა, უნდა დაიცვას ის ბალანსი, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელ ორგანოსა და მეორე მხრივ, სამართალწარმოებაში კონკრეტული მოსამართლის დაცვის საჭიროებას შორის.

<sup>37</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ 51-ე მუხლი

<sup>38</sup> Victoria Henley Overview of Judicial Disciplinary Systems, CONFIDENTIALITY ISSUES, Georgia 2011

## თავი 4. ზღვარი მოსამართლის დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის

### *4.1. დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის ზღვარის გავლების მნიშვნელობა*

სასამართლო სისტემის ეფექტურად მუშაობისთვის აუცილებელია როგორც ცალკეული მოსამართლეების, ისე მთლიანად სისტემის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა შიდა და გარე შესაძლო გავლენებისგან. სხვა ფაქტორებთან ერთად, სასამართლოს დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია მოსამართლეთა ხელშეუხებლობის უზრუნველყოფასთან და იმ პრაქტიკის განმტკიცებასთან, როცა მოსამართლეები მხოლოდ კანონის წინაშე არიან პასუხისმგებელი და გარეშე სუბიექტების პოლიტიკური თუ სხვა სახის ინტერესები არ ახდენს გავლენას კონკრეტული მოსამართლის საქმიანობასა და ბედზე. ამ პრაქტიკისთვის, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა იყოს სამართლიანი, ადეკვატური და რაც მთავარია, მკაფიო საკანონმდებლო ნორმებით მოწესრიგებული.

მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით შესაძლო პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, აუცილებელია, ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში მკვეთრი ზღვარი პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნულ ორ სისტემას შორის არაა გავლებული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც სისხლის სამართლის კოდექსში არსებული რიგი ნორმების არასაკმარისად განსაზღვრულობა, აგრეთვე ისიც, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებიც იძლევა ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არაა საკმარისი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დაგვეხმარებოდა ზღვარის გავლებაში დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობებს შორის. ამ ფონზე, მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება საკანონმდებლო ანალიზია და მოცემულ თავში სწორედ ნორმატიული მასალის მიმოხილვას დაეთმობა ადგილი.

### *4.2. მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემა*

მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ დანაშაულთა უმრავლესობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე თავით. ეს თავი ეხება სამოხელეო დანაშაულებს, უფრო კონკრეტულად კი ისეთ შემადგენლობებს, როგორცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და უფლებამოსილების გადამეტება, ქრთამის აღება, ზეგავლენით ვაჭრობა, აკრძალული საჩუქრის მიღება, სამსახურებრივი გულგრილობა და სხვ.<sup>39</sup> ერთ-ერთი რესპონდენტი მოსამართლე მიიჩნევს, რომ კორუფციულ დარღვევასთან ერთად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა ხდებოდეს ინტერესთა კონფლიქტის დროსაც ანუ როდესაც მოსამართლე არ აკეთებს თვითაცილებას და მაგალითად, განიხილავს ახლო ნათესავების საქმეს.

<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 332-342<sup>2</sup> მუხლები

მოსამართლის მიერ პროფესიული მოვალეობების განხორციელებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მის მიერ პირადი საიდუმლოს ხელყოფასაც, რაც აგრეთვე სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა.<sup>40</sup> გამომდინარე იქიდან, რომ ჩამოთვლილი შემადგენლობების სუბიექტი არა კონკრეტულად მოსამართლე, არამედ ზოგადად საჯარო მოხელეები არიან, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ გვყავს სახეზე სპეციალური ამსრულებელი, ნორმათა დისპოზიციები ნაკლებ კონკრეტიკას შეიცავს და ურთიერთობათა ფართო წრეზე მორგების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, აუცილებელია კვლევისათვის აქტუალური მუხლების ანალიზი და შეჯერება იმაზე, კონკრეტულად რა შემთხვევაში და როგორი კვალიფიკაციით ხდება მოსამართლისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

### 4.3. კორუფციული დანაშაული

*საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კორუფციული სამართალდარღვევა არის ქმედება, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა<sup>41</sup>. კორუფციის ნიშნებზე განმარტებას ვხვდებით ამავე კანონში. კერძოდ, კორუფცია საჯარო სამსახურში არის საჯარო მოსამსახურის მიერ, თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით. სამწუხაროდ, ქართულ საკანონმდებლო დონეზე, კორუფციის უფრო დაწვრილებითი და ზუსტი განმარტება არ მოიპოვება და ამ პირობებში, მეტად რთულია თქმა, რა შემთხვევაში შეიძლება პირს კორუფციული სამართალდარღვევისთვის დაეკისროს დისციპლინური თუ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.*

აღსანიშნავია, რომ „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2006 წელს მოახდინა, ითვალისწინებს მექრთამეობის აქტიურ და პასიურ სახეებს<sup>42</sup>. კონვენციით გათვალისწინებულ მექრთამეობის ორივე შემადგენლობას სრულყოფილად მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები<sup>43</sup>: სსკ-ის 338-ე მუხლის მიხედვით, ქრთამის აღება გულისხმობს *მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლობიერი უპირატესობის მიღებას თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განხორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განხორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. როგორც დისპოზიციიდან ჩანს, ქრთამის დანაშაული ძალიან ფართოა და ის გულისხმობს*

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, 157-ე მუხლი

<sup>41</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>42</sup> კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია, მე-2 და მე-3 მუხლები

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლები

ნებისმიერი ტიპის, არამართლზომიერი სარგებლის მიღების მიზნით, მოხელის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ისეთი მოქმედების განხორციელებას, რომელიც გამიზნულია ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. იმისათვის, რომ ქრთამის დანაშაული გვექონდეს სახეზე, არაა აუცილებელი, მოსამართლემ ჩაიდინოს უკანონო ქმედება, ან გადაამეტოს უფლებამოსილების ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ რატიფიკაციით გაგებული ქრთამის დანაშაული მთლიანად ექცევა სისხლისსამართლებრივ სივრცეში. სსკ-ის 338-ე მუხლი ვრცელდება კორუფციული ნიშნების მქონე ყველა ქმედებაზე, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება, კორუფციული დანაშაულის დასჯა ადმინისტრაციული და მითუმეტეს დისციპლინური წესით <sup>44</sup>. ქრთამის დანაშაული აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს უკანონო საჩუქრის მიღებისგან. ამ კუთხით საინტერესო განმარტებას ვკითხულობთ კომენტარებში, სადაც აღნიშნულია, რომ „ქრთამის საფუძვლით, მოხელის მოქმედების განპირობებულობა აუცილებელი პირობაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. თუ ქრთამის აღება წინასწარ არ იყო დათქმული და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მოხელეს არ შეემლო წინასწარ სცოდნოდა, რომ მას ამა თუ იმ ქმედებისათვის ქრთამ-ჯილდოს გადასცემდნენ, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქრთამის აღების დანაშაულის შემადგენლობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე კანონის ფარგლებში მოქმედებდა. შემდგომში მისი დასაჩუქრება, გარკვეული პირობების არსებობისას, უნდა განიხილებოდეს არა როგორც ქრთამის აღება, არამედ როგორც კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება. ეს ყოველივე გამომდინარეობს თვით 338-ე მუხლის შინაარსიდან. აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ თუ პირს არ ჰქონდა განზრახვა ქრთამის აღებისა და ისე შეასრულა რაიმე მოქმედება, ან თავი შეიკავა მისი შესრულებისაგან და ამის შემდეგ მას საჩუქრად გადასცეს რაიმე ნივთი ან ფული, რომ ეს ქრთამის აღებაა. ზოგჯერ, ამგვარი საჩუქრის მღება საერთოდ არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მისი ღირებულება მცირეა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მოხელეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისროს <sup>45</sup> “. შესაბამისად, როდესაც კორუფციულ სამართალდარღვევაზე ვსაუბრობთ, ამ დროს გადამწყვეტია მოსამართლეს შეგნებულობა, იცოდა თუ არა მან, რომ არამართლზომიერი ქმედების სანაცვლოდ, მიიღებდა რაიმე სახის სარგებელს.

თუკი მოსამართლეს არ ჰქონდა ინფორმაცია და ისე ჩაიდინა გარკვეული ქმედება, რის შემდეგაც მან მიიღო რაიმე საჩუქარი ან შეღავათი, ქრთამზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა დგება პასუხისმგებლობის საკითხი კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებისათვის (სსკ-ის 340-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია მიღებული საჩუქრის თუ შეღავათის ქონებრივი ღირებულება. მოსამართლის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა - 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მღებული არ არის ერთი წყაროდან <sup>46</sup>. თუ ეს პირობა დაირღვევა, მოსამართლეს

<sup>44</sup> გამოწვევის სახით უნდა აღინიშნოს ქონებრივი დეკლარაციის დადგენილ ვადებში წარუდგენლობა, რომელიც კანონის მიხედვით წარმოადგენს კორუფციულ სამართალდარღვევას

<sup>45</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II)/გვ.163

<sup>46</sup> “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5

დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა ამ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, დადგება თუ არა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა, ნათელი არ არის.

#### 4.4. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

ერთი შეხედვით, ნათელია ზღვარი მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს - უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას<sup>47</sup> და დისციპლინურ გადაცდომას - თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას შორის<sup>48</sup>. **ქმედების სისხლისსამართლებრივად კვალიფიკაციისათვის, მოსამართლის მიერ უფლება-მოვალეობათა ბოროტად გამოყენებასთან ერთად, საჭიროა ამ ქმედებამ გამოიწვიოს კონკრეტული პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა. აუცილებელია უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებასა და მავნე შედეგის დადგომას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა<sup>49</sup>.** მიყენებული ზიანი უნდა იყოს არსებითი, რომლის ცნებაც შეფასებითია და ის დადგენილი უნდა იყოს საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი - თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღება. უნდა ითქვას, რომ სსკ-ის 332-ე მუხლი თავისი კონსტრუქციით ძალიან ზოგადია: არაა დაკონკრეტებული, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გულისხმობს თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ნებისმიერ არამართლზომიერ მოქმედებას. ხშირად, რთული განსასაზღვრია, რა ტიპის ზიანი უნდა ჩაითვალოს არსებითად, აგრეთვე მრავალგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს გამორჩენის მიზანსაც. ეს ყოველივე კი პროკურატურას უტოვებს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, აღნიშნული ნორმა ფართო შინაარსით განმარტოს და გამოიყენოს კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ.

ნორმათა ანალიზის შედეგად, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: იმისათვის, რომ მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, სახეზე უნდა იყოს:

- მის მიერ უფლებამოსილების ბოროტად, კანონის მიზნების საწინააღმდეგოდ გამოყენება;
- ამ ქმედებით დამდგარი არსებითი ზიანი;
- ქმედება ჩადენილი უნდა იყოს გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით.

აღნიშნული პირობების კუმულატიურად არარსებობის შემთხვევაში კი მოსამართლის ქმედება შეიძლება შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად.

---

მუხლი

<sup>47</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი

<sup>48</sup> “საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-2 მუხლი

<sup>49</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II)/გვ.139



უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის მოსამართლეებზე გავრცელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტებები. გასულ წლებში, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა რამდენიმე საქმეში იმსჯელეს სსკ-ის 332-ე მუხლით მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხზე. კერძოდ, კანონიდან უკანონო განაჩენის მუხლის ამოღების და ქმედებების 332-ე მუხლში მოქცევის კონტექსტში. აღნიშნულ საკითხზე საუბარია პრაქტიკის მიმოხილვის თავში.

#### 4.5. სამსახურებრივი გულგრილობა

მნიშვნელოვანია მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამიჯვნა სამსახურებრივი გულგრილობისგან (სსკ-ის 342-ე მუხლი). სამსახურებრივი გულგრილობა გამოიხატება მოხელის მიერ, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებაში, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო. ქმედების სისხლისსამართლებრივად კვალიფიკაციისათვის ასევე აუცილებელია, რომ მას შედეგად მოჰყვეს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითად დარღვევა. **უფლებისა და ინტერესების დარღვევა რამდენად არსებითია, ეს თითოეულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. თუმცა, სწორედ, არსებითი ზიანი არის უმთავრესი ნიშანი, რომელსაც ქმედება გაჰყავს დისციპლინური ფარგლებიდან და აწესებს მასზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.** ვინაიდან მოსამართლის მიღებული თითოეული გადაწყვეტილება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს როგორც საზოგადოებრივ ჯგუფებზე, ისე კონკრეტულ პირებზე, მის მიერ ჩადენილ, ნებისმიერი სახის, თუნდაც არაარსებით გადაცდომას, შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, რთული სათქმელია, მოსამართლის მიერ საქმის რამდენიმე საათით გაჭიანურება, რომელსაც პირის პატიმრობაში უსაფუძვლოდ ყოფნა მოჰყვა, სისხლისსამართლებრივი ქმედებაა თუ დისციპლინური გადაცდომა. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ორ სისტემას შორის ზღვარის გავლება მხოლოდ იმის მიხედვით, რამდენად არსებითია დამდგარი ზიანი, არაა გამართლებული.

გამიჯვნის დამატებით კრიტერიუმად შეიძლება გამოვიყენოთ სუბიექტური ელემენტი: თუ მოსამართლე „არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას გამოუცდელობის, უცოდინრობის ან არასათანადო კვალიფიკაციის მიზეზით და არა სამსახურებრივი საქმიანობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, მისი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივ გულგრილობად. სათანადო პირობების არსებობისას, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, თვით სამუშაოდან დათხოვნამდეც კი“<sup>50</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა არამოსამართლე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას, როცა პატიმარს გაუვიდა პატიმრობის ვადა და მოსამართლემ ვადა არ გააგრძელა და დატოვა პატიმრობაში. ზემოაღნიშნული ქმედების

<sup>50</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II)/გვ.187

გამო კი, მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინარული პასუხისმგებლობა, მაგრამ ის არ გათავისუფლებულა თანამდებობიდან. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია 2-თვიანი თუ 2თვეზე მეტი ვადით პატიმრობა, მაგრამ მოსამართლე დარჩა დაკავებულ თანამდებობაზე და დაეკისრა საყვედური. თუმცა, კვლევის ავტორებმა ასევე აღმოაჩინეს სისხლის სამართლის საქმე მოსამართლის წინააღმდეგ, რომელსაც, სწორედ, პატიმრობის ვადის გაგრძელების გარეშე, პირის პატიმრობაში დატოვების გამო ედებოდა ბრალი (3 თვეზე მეტი პატიმრობა ვადის გაგრძელების გარეშე). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საქმეში მოსამართლე მიუთითებდა მის მიერ განსახილველი საქმეების ჭარბ რაოდენობაზე, ასევე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის არქონაზე და სხვა გარემოებებზე. ამის მიუხედავად, მოსამართლე დამნაშავედ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში.

მნიშვნელოვანია, დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის ზღვარის გავლების, ასევე დისციპლინური გადაცდომისა თუ სამართლებრივი შეცდომის დიფერენცირების შემთხვევაში, მხედველობაში იქნეს მიღებული ისეთი ობიექტური გარემოებები, როგორებიცაა: ინდივიდუალური მოსამართლის მიერ განსახილველი საქმეების სიმრავლე, სირთულე, მოსამართლის სპეციალიზაცია და მის მიერ განსახილველი საქმის კატეგორია. ასევე ყველა სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა გამორიცხავდეს ყოველგვარ ბოროტ, არაკეთილსინდისიერ ან უპატიებელ ქმედებას მოსამართლის მხრიდან. ცხადია, კეთილსინდისიერად მოქმედების პირობებში, მოსამართლე დაზღვეული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხისგან.

#### *4.6. პროფესიული საიდუმლოების დაცვა*

პროფესიული საიდუმლოების დაცვას მოსამართლეს ავალდებულებს როგორც ეთიკის წესები, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, აუცილებელია ზღვარის გავლება პასუხისმგებლობის ორ სფეროს შორის.

კანონის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება. სისხლის სამართლის კოდექსში არ მოიპოვება კონკრეტული ნორმა, რომელიც უშუალოდ მოსამართლეებს ან საჯარო მოხელეებს დაავალდებულებდა პროფესიული საიდუმლოების დაცვას, თუმცა, ამ შემთხვევაში, უნდა მოვიშველიოთ სსკ-ის 157-ე მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებს პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებას, შენახვას, ან გავრცელებას, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე მუხლის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა ქმედების ჩადენა პირის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოებების გამო ევალება ამ საიდუმლოების დაცვა<sup>51</sup>. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით<sup>52</sup>. მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობის

<sup>51</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილი

<sup>52</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>3</sup>-ე მუხლი

შესრულებისას მიღებული საიდუმლო ინფორმაცია წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნებაც შეიძლება გახდეს განსხვავებული სანქციის დაკისრების საფუძველი. ვინაიდან, ამ მხრივ, სისხლის სამართლის კანონმდებლობა არაა მკაფიო, ერთადერთი ნიშანი, რომლითაც მოსამართლის მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ სანქციას, ესაა არსებითი ზიანის დადგომა. *თუმცა მნიშვნელოვანი ზიანი ამ მუხლისათვის (სსკ-ის 157-ე მუხლი) ახალი ნიშანია და 2012 წლამდე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგებოდა ინფორმაციის გამჟღავნების ეტაპზე, მიუხედავად იმისა, გამოიწვევდა თუ არა ის რაიმე სახის ზიანს. შესაბამისად, 2012 წლამდე, კიდევ უფრო რთული იყო იმის გარკვევა, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისას რა ტიპის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა მოსამართლეს - დისციპლინური თუ სისხლისსამართლებრივი.*

**ბუნდოვანია ასევე ის ფაქტი, მოსამართლეთა თათბირის გახმაურება არის თუ არა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება. თუ სსკ-ის 367<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოს დარღვევისათვის, იგივე შინაარსის ნორმა არ გვხვდება მოსამართლეების მიმართაც. 157-ე მუხლის ზედმეტად ფართო განმარტება და მისით სასამართლო თათბირის გახმაურების დასჯადობა კი გაუმართლებელი იქნებოდა.**

#### *4.7. უკანონო დაპატიმრება*

კანონმდებლობით დასჯადია უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში (სსკ-ის 146-ე მუხლი) და ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება (სსკ-ის 334-ე მუხლი). მაგრამ ამ დანაშაულთა სუბიექტი ვერ იქნება მოსამართლე, რადგან პირის პასუხისმგებლობაში მიცემის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხს წყვეტს მხოლოდ პროკურორი. **თუმცა, მოსამართლის პასუხისმგებლობის სფეროს შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია სსკ-ის 147-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახ უკანონო დაპატიმრებისთვის.** სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ამომწურავი საფუძვლები და ნათლად განსაზღვრული პროცედურა გააჩნია. კანონი ასევე ითვალისწინებს პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების და შემდგომში აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. ცხადია, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლების არსებობა წარმოადგენს იმის აღიარებას, რომ ნებისმიერი საქმის განხილვის დროს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უზუსტობას, მატერიალური ან პროცედურული ნორმის არასრულფასოვან განმარტებას ან გამოყენებას მოსამართლის მხრიდან, რაც უნდა შეამოწმოს ზემდგომმა სასამართლომ. გადაწყვეტილების უკანონობა კი ზემდგომი ინსტანციის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია. ამასთან, გადაწყვეტილების უკანონობის დადგენა ზემდგომი სასამართლოების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

კანონით გათვალისწინებული, განზრახ უკანონო დაპატიმრების მუხლი გულისხმობს მოსამართლის პასუხისმგებლობას აღკვეთის ღონისძიების განხილვის ვადების დარღვევის,

საფუძვლების არაარსებობის პირობებში, პატიმრობის შეფარდების ან პატიმრობის შეცვლაზე ან გაუქმებაზე უარის თქმის შემთხვევებში. ამასთან, ნორმის დისპოზიცია მიუთითებს, რომ საჭიროა განზრახვის არსებობა. თუმცა, ამის მიუხედავად, ნორმა არ არის საკმარისად ნათელი იმისათვის, რომ გამორიცხული იყოს მოსამართლის პასუხისმგებლობა სხვა შემთხვევებშიც, ნორმის განმარტების, მტკიცებულებების შეფასებების ან/და წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის გამო.

ყოფილი მოსამართლეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, “განზრახვა” როგორც პროკურატურის, ისე სასამართლოს მიერ განიმარტებოდა, როგორც მოსამართლის მიერ საკუთარი ქმედების გააზრების და მოსალოდნელი შედეგის შეცნობის ფაქტი, რაც არ არის “ზოროტი განზრახვის” ანალოგი.

ამის გათვალისწინებით, დისპოზიციაში მოხსენიებული სიტყვა “განზრახ” ვერ დააზღვევს იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მოსამართლის პასუხისმგებლობასთან, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. გარდა ამისა, ბუნდოვანია საკითხის პროცედურული მხარეც. კერძოდ, როგორ შეიძლება დადგინდეს მოსამართლის მიერ პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება ისე, რომ მოსამართლეს არ მოეთხოვოს ანგარიში ამ საქმესთან დაკავშირებით. მოსამართლისთვის ანგარიშის მოთხოვნა კი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია კანონით დადგინდეს ადეკვატური სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, თუკი მოსამართლე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, საკუთარი შინაგანი რწმენის მიხედვით; თვლიდა, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოსატანად, მისი მოქმედება არ იყო განპირობებული საქმესთან დაკავშირებული პირადი ინტერესით, არამართლზომიერი უპირატესობის ან სარგებლის მიღების სურვილით/მოლოდინით, ამ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენება დაუშვებელია.

გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარისთვის ერთადერთი საშუალება გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებაა. მიუხედავად იმისა, როგორ შეაფასებს სააპელაციო სასამართლო მოგვიანებით საქმის გარემოებებს, ეს არ შეიძლება გახდეს მოსამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, თუკი სახეზეა ის გარემოებები რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი რესპონდენტი (პროკურორი) მიიჩნევს, რომ „თუ მოსამართლის გადაწყვეტილება არის აშკარად დანაშაულებრივი, ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, თუ ყველა ტიპის გადაწყვეტილებაზე ასე მოვიქცევით, შეიძლება საერთოდ საფრთხის ქვეშ დადგეს მოსამართლის დამოუკიდებლობა და მუდმივი შიშის ქვეშ აღმოჩნდნენ მოსამართლეები.”

#### 4.9. მოსამართლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემის წესი

კანონმდებლობა იცნობს მოსამართლის დაცვის ისეთ ღონისძიებას, როგორცაა უზენაესი

სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა მოსამართლის სისხლის სამართლის წესით დევნის შესახებ.

სისხლისსამართლებრივ დევნაზე თანხმობასთან დაკავშირებით, გამოკითხული რესპონდენტების ნაწილმა დააფიქსირა აზრი, რომ უმჯობესია გადაწყვეტილება მიიღებოდეს კოლეგიური ორგანოს მიერ. ყოფილი მოსამართლის განმარტებით *“უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანხმობის გაცემის უფლება ერთპიროვნულად უნდა ჰქონდეს თუ არა - საკითხავია, რადგან წარსულში ეს უფლება ბოროტად იყო გამოყენებული”*. იმავე მოსამართლის მოსაზრებით, *“ეს არ არის საბჭოს კომპეტენცია, თუმცა შეიძლება საკითხზე უზენაესი სასამართლოს სისხლის პალატამ იმსჯელოს”*.

განსხვავებული პოზიცია გამოხატა ერთ-ერთმა, ასევე ყოფილმა მოსამართლემ, რომელმაც აღნიშნა, რომ არავის ნებართვა არ უნდა იყოს საჭირო სისხლისსამართლებრივ დევნაზე. მოსამართლის განცხადებით *“ზუსტად ეს არის მართვის მექანიზმი. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დევნა ადრე იყო დაუშვებელი, მაგრამ ნორმა შეიცვალა მაშინ, როცა მისი მართვა გახდა საჭირო. ამ წინარე ისტორიიდან გამომდინარე, გამოვრიცხავ ნებართვის უფლების მინიჭებას თავმჯდომარისათვის”*.

თუმცა ერთ-ერთი მოსამართლე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ როდესაც საქმე ეხება მოსამართლის პასუხისმგებლობას, უნდა არსებობდეს რაიმე განსხვავებული სტანდარტი უზენაესი სასამართლოს წევრ მოსამართლესა და დანარჩენი ორი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს შორის და მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი დაცვა და სოციალური გარანტიები: *“სტატუსით გასაგებია, რომ უზენაესი სასამართლოს წევრი მეტია, მაგრამ ის, რაც პასუხისმგებლობასა და სტატუსთან დაკავშირებული საკითხებია, ეს უნდა იყოს აუცილებლად თანასწორი, ამ პირებს შორის, ვინაიდან ეს ერთ საკანონმდებლო სივრცეშია, ერთი სასამართლოების ნაწილია და ამიტომ მიაჩნია, რომ აქ არ უნდა არსებობდეს განსხვავება.”*

ნათელია, რომ პასუხისგებაში მიცემის პროცედურაზე განსხვავებული პოზიციების არსებობის მიუხედავად, *“ერთპიროვნული თანხმობის”* მექანიზმის არსებობა მაინც აღიქმება რისკის შემცველ მექანიზმად. თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტი ზოგადად თანხმობის გაცემის შესაძლებლობას მოსამართლის დამოუკიდებლობისთვის საზიანოდ მიიჩნევს.

გარდა თანხმობის მექანიზმისა, მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია იმუნიტეტის მოცულობაც, რომელიც კანონმდებლობის თანახმად აბსოლუტური ხასიათისა. ამდენად, ნებისმიერი ტიპის დანაშაულის (როგორც სამოხელეო ისე სხვა) შემთხვევაში, საჭიროა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.

ამას გარდა, საყურადღებოა პროცესუალური საკითხებიც, რაც მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განვითარებას უკავშირდება. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს მოსამართლისათვის ანგარიშის მოთხოვნას კონკრეტულ საქმესთან

დაკავშირებით. ნათელია, რომ კონსტიტუცია იცავს სამოსამართლო უფლებამოსილების ფარგლებში, მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არასათანადო ზეგავლენებისგან. თუმცა, ასევე ნათელია, რომ კონსტიტუციის ამგვარი ჩანაწერი არ წარმოადგენს ზოგადად მოსამართლის სისხლისსამართლებრივ ან დისციპლინურ იმუნიტეტს და არ კრძალავს მოსამართლის პასუხისმგებლობას, მათ შორის, სამოხელეო დანაშაულებისთვის.

ამის გათვალისწინებით, საყურადღებოა აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის მიმართება საპროცესო კანონმდებლობასთან, რომელიც არ შეიცავს სპეციალურ დანაწესებს მოსამართლეებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საპროცესო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევა მოსამართლის დაკითხვას, ისევე როგორც სხვა საპროცესო თუ საგამომიებო მოქმედებების განხორციელებას. მიუხედავად მოსამართლეთა წინააღმდეგ, გასულ წლებში, არსებული არაერთი სისხლის სამართლის საქმისა, სამწუხაროდ, პრაქტიკის განვითარებამ ვერ გასცა პასუხი ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა - რა მოცულობა ან სპეციფიკა გააჩნიათ საპროცესო ნორმებს მოსამართლეებთან მიმართებით, მაგალითისთვის, რა პროცედურით და მასშტაბით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლის დაკითხვა იმგვარად, რომ ამან არ დაარღვიოს კონსტიტუციის დათქმა, ანგარიშის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

პროცესუალური ნორმების ზოგადი ან არასაკმარისად ნათელი ბუნება არანაკლებ სახიფათოა მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის, ვიდრე კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობების არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ როგორც კანონმდებლობაში, ისე პროკურორების სახელმძღვანელო პრინციპებში, ნათლად გაიწეროს იმ პროცესუალური ღონისძიებების ხასიათი და მოცულობა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მოხდეს მოსამართლეთა მიმართ.

#### 4.10. დასკვნითი შეფასებები

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო რეგულირების ბუნდოვანებები, რაზეც წარმოდგენილ დოკუმენტშია საუბარი, ხელს უშლის თანმიმდევრული, განჭვრეტადი და ობიექტური პრაქტიკის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისათვის. როგორც აღინიშნა, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სტრუქტურულად გაუმართავი და შინაარსობრივად არასაკმარისად ნათელია.

ცალკეულ შემთხვევებში, დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები ქმნის დისციპლინური დევნის განმახორციელებელი ორგანოს სუბიექტივიზმის შესაძლებლობას. ასევე აღინიშნა, რომ კანონმდებლობა ნათლად არ მიჯნავს დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებებს. თავის მხრივ, სისხლის სამართლის წესით, ცალკეულ, ზოგადი სახის დისპოზიციებზე დაყრდნობით, მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურატურის მხირდან, სახიფათო და მაღალი რისკის მატარებელია.

მნიშვნელოვანია, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის სისტემის დახვეწა. მხოლოდ ისეთ ზოგად ცნებაზე დამოკიდებულება, როგორიცაა “ზიანის არსებითი ხასიათი,” არ არის გონივრული ზღვარი საქმის

დისციპლინურიდან სისხლისსამართლებრივ სივრცეში გადასატანად. ეს გაუმართლებლად დიდ დისკრეციას ანიჭებს პროკურატურას, რომელიც, თავის მხრივ, პროცესის მხარეს წარმოადგენს და ხშირად შესაძლოა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო სუბიექტს წარმოადგენდეს.

მოსამართლის დაცულობისთვის მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა პასუხისმგებლობას სამსახურებრივი უფლებამოსულების განხორციელებისას, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რა შემთხვევებში ცდება მოსამართლის ქმედება დისციპლინურ საზღვრებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი გულგრილობის დისპოზიციების გადახედვა.

ყოველივე ზემოაღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ დევნის ორგანოებს არ ჰქონდეთ მიკერძოებისა და თვითნებობის შესაძლებლობა, აგრეთვე, იმისათვის, რომ მოსამართლეებისთვის განჭვრეტადი იყოს მათ ქმედების პოტენციური შედეგები. ცალკეულ მოსამართლეთა და მთლიანად სამოსამართლო სისტემის ეფექტიანი, დამოუკიდებელი და კვალიფიციური საქმიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება დახვეწილი, ნათელი, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემების შექმნისა და შესაბამისი პრაქტიკის განვითარების გარეშე.

## ნაწილი II

### საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა

#### თავი 1: ზოგადი საკითხების/პრინციპების მიმოხილვა

##### 1.1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მიზნები და ძირითადი პრინციპები

სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, სახელმწიფოთა კანონებითა და პრაქტიკით.<sup>53</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა ნიშნავს მის დამოუკიდებლობას ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოსაგან და არა თავისუფლებას საზოგადოებისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. სასამართლოს დამოუკიდებლობა მოსამართლისაგან მოითხოვს, რომ იყოს კონსტიტუციის, კანონების, სამართლის პრინციპების ერთგული, არ ჩაერიოს ხელისუფლების სხვა შტოების საქმიანობაში და არც თავად დაექვემდებაროს მათგან ჩარევას.<sup>54</sup> ხოლო თუ მოსამართლე სიზარმაცის გამო სათანადო ყურადღებას არ უთმობს თავის საქმეებს ან აშკარად არაკომპეტენტურია მათ განხილვაში,<sup>55</sup> ან ბოროტად გამოიყენებს კანონს, დაარღვევს ადამიანის უფლებებს ან სხვაგვარად გაამრუდებს სამართალს, იგი უნდა დაექვემდებაროს დისციპლინარულ სასჯელს, ვინაიდან, დემოკრატიულ საზოგადოებაში არავინ არ უნდა იდგეს კანონზე მაღლა.

სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა - უზრუნველყოს მოსამართლის ანგარიშვალდებულება საზოგადოებისა და კანონის წინაშე.<sup>56</sup> დაუშვებელია მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გამოყენება იმ მიზნით ან იმგვარად, რომ შეიზღუდოს ან საფრთხე შეექმნას კონკრეტული მოსამართლის, ან მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

იმისათვის, რომ დისციპლინური სამართალწარმოების სისტემამ ეფექტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და ამავე დროს, არ იქცეს მოსამართლეებზე ზეწოლის იარაღად, აღიარებულია, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს, რომლებიც მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

---

<sup>53</sup> იხ. მაგალითად Basic Principles on the Independence of the Judiciary, Adopted by the Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders held at Milan from 26 August to 6 September 1985 and endorsed by General Assembly resolutions 40/32 of 29 November 1985 and 40/146 of 13 December 1985; ასევე იხ. Recommendation No. R (94) 12 of the Committee of Ministers to Member States of the Independence, Efficiency and Role of Judges (Adopted by the Committee of Ministers, 1994) [შემდგომში COE Recommendation No. R (94) 12];

<sup>54</sup> იხ. მაგალითად In re Hammermaster, 985 P.2d 935 (Wash. 1999).

<sup>55</sup> CCJE (2007) OP.no 10

<sup>56</sup> იხ. მაგალითად CCJE (2002) Op. N° 3



- დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიმართ უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით წინასწარ დადგენილი საფუძვლითა და პროცედურის/წესების მიხედვით.<sup>57</sup>
- დისციპლინური სამართალწარმოების საქმე მოსამართლის მიმართ სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპების დაცვით უნდა წარიმართოს; რაც გულისხმობს იმას, რომ მისი საქმე უნდა განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, საქმის წარმოების პროცესში, დაცული უნდა იყოს მოსამართლის უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოსამართლეს გარანტირებული უნდა ჰქონდეს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა და საკუთარი არგუმენტების წარდგენის უფლება, და სხვ.<sup>58</sup>
- დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ნახევარზე მეტს არჩეული მოსამართლეები უნდა წარმოადგენდნენ;<sup>59</sup>
- დისციპლინური სანქციები/სახდელეები კანონში უნდა იყოს გაწერილი, ხოლო მათი დაკისრებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი.<sup>60</sup>
- მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მიღებული გადაწყვეტილების სხვა დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება.<sup>61</sup>
- დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები, თავად სამართალწარმოება და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა აკმაყოფილებდეს გამჭვირვალობის სათანადო ხარისხს, რათა გამოირიცხოს დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის შერჩევითი გამოყენება.<sup>62</sup>
- ამასთან, აუცილებელია, რომ თავად კანონი, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებს არეგულირებს, აკმაყოფილებდეს სიცხადისა და განჭვრეტადობის დადგენილ სტანდარტს.<sup>63</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ საკმარისი არ არის, რომ ნორმა გაწერილი იყოს კანონში. აუცილებელია, რომ ნორმის მოქმედების შედეგები განჭვრეტადი იყოს მათთვის, ვისაც ის ეხება; ე.ი. მოსამართლისათვის ნათელი უნდა იყოს გამოიწვევს თუ არა მისი მოქმედება დისციპლინურ პასუხისმგებლობას და რა სახით (იქნება ეს თანამდებობიდან გათავისუფლება თუ სხვა ტიპის სახდელი).<sup>64</sup>

<sup>57</sup> იხ. მაგალითად, The Universal Statute of the Judge, International Association of Judges (1999) [შემდგომში The Universal Statute of the Judge].

<sup>58</sup> OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967 Concerning the Judicial System, the Supreme Council of the Judiciary and the Status of Judges in Tunisia [*hereinafter* OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967]

<sup>59</sup> European Charter on the statute for judges of 8-10 July 1998 (Department of Legal Affairs of the Council of Europe, Document (98)23)

<sup>60</sup> Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 24 March 2009, par. 58, იხ. ასევე Venice Commission Opinion No. 408 / 2006.

<sup>61</sup> Venice Commission, Opinion No. 408 / 2006 (Strasbourg, 19 March 2007), par.9

<sup>62</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul, A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013, par. 45

<sup>63</sup> სიცხადისა და განჭვრეტადობის მოთხოვნა რელევანტურია როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების, ასევე ზოგადად დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმების კონტექსტში. ამ საკითხზე იხ. მაგალითად Venice Commission Opinion No. 408 / 2006.

<sup>64</sup> OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967

## 1.2. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების სისტემები - კონფლიქტი თუ კომპლემენტარობა

თუ შესაძლებელია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა გამოსწორდეს ზემდგომ ინსტანციაში, როგორც წესი, მის გამოსასწორებლად არ უნდა მოხდეს დისციპლინური სამართალწარმოების გამოყენება.<sup>65</sup> გადაწყვეტილების გადახედვა და შეცვლა არ უნდა წარმოადგენდეს დისციპლინური სამართალწარმოების მიზანს. მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ კანონით დადგენილი გასაჩივრების პროცედურის გამოყენებით.<sup>66</sup> დისციპლინური პროცედურების მიზანია, შეაფასოს მოსამართლის ქცევა და შესაბამისობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

თუმცა, ამგვარი მიდგომიდან არსებობს გამონაკლისიც, რომლის არსი და საჭიროებაც ნათლადაა ჩამოყალიბებული აშშ-ის სასამართლოების გადაწყვეტილებებში. როგორც გადაწყვეტილებებიდან ჩანს, ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა ემსახურება კონკრეტული პირის მიმართ, წარსულში ჩადენილი შესაძლო დარღვევის აღმოფხვრას. ხოლო დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა მიზნად ისახავს შესაძლო, მომავალი დარღვევების (მოსამართლის მხრიდან არასათანადო ქცევის) პრევენციას.<sup>67</sup> შესაბამისად, ამ ორ სისტემას ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზნები აქვს. ამიტომ, რიგ შემთხვევებში საჭიროა, რომ გამოყენებულ იქნას როგორც მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, ასევე მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაც,<sup>68</sup> ვინაიდან, კონკრეტული პირის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამოსწორება ავტომატურად არ ქმნის იმის გარანტიას, რომ საზოგადოება დაცული იქნება იმისაგან, რომ იგივე მოსამართლე განმეორებით არ ჩაიდენს დარღვევას (არასათანადო ქცევას) ან ბოროტად არ გამოიყენებს თავის უფლებამოსილებას.<sup>69</sup>

მეტეც, იმ მიზნების რეალიზაცია, რასაც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა უნდა ემსახურებოდეს, არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, გადაწყვეტს თუ არა პროცესის რომელიმე მხარე გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ სასამართლოში.<sup>70</sup> შესაბამისად, საქმის გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში აუცილებლად და ავტომატურად არ ნიშნავს, რომ დისციპლინური საკითხების განმხილველმა ორგანომ ეს საქმე აღარ უნდა განიხილოს.

<sup>65</sup> იგივე

<sup>66</sup> COE Recommendation No. R (94) 12

<sup>67</sup> Laster, 274 N.W.2d at 745; In re Lichtenstein, 685 P.2d 204, 209 (Colo. 1984).

<sup>68</sup> In re Schenck, 870 P.2d 185 (Or. 1993)

<sup>69</sup> Harrod v. Ill. Courts Comm'n, 372 N.E.2d 53, 65 (Ill. 1977).

<sup>70</sup> In re Schenck, 870 P.2d 195 (Or. 1993).

### 1.3. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა და მოსამართლეთა პროფესიული ეთიკა

აღიარებულია, რომ მოსამართლეები, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი პროფესიის მქონე პირები, უნდა იცავდნენ პროფესიული ეთიკის წესებს. ეთიკის კოდექსები, ერთი მხრივ, დახმარებას უწევს მოსამართლეებს იმის გადაწყვეტაში, როგორ (არ) უნდა იქცეოდეს მოსამართლე, შესაძლებლობას აძლევს მათ გაიაზრონ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა და ის, რომ უფლებამოსილება რაც მოსამართლეებს აქვთ მინიჭებული, მათ მნიშვნელოვან ვალდებულებებსაც აკისრებთ საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე.<sup>71</sup> მეორე მხრივ ის ეხმარება მოქალაქეებს იცოდნენ, რა ლეგიტიმური მოლოდინი შეიძლება ჰქონდეთ მოსამართლეების ქცევასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი აძლიერებს საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.<sup>72</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) თავის ერთ-ერთ მოსაზრებაში აღნიშნავს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დასაცავად საკმარისი არ არის მხოლოდ ეთიკური ქცევის პრინციპები. საჭიროა, რომ ისინი გამყარებული იყოს სხვადასხვა კანონითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებით.<sup>73</sup> **ამგვარად, მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის წესების არსებობა ვერ ანაცვლებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის აუცილებლობას და პირიქით.**

ევროსაბჭოს რეკომენდაციის თანახმად, პროფესიული ეთიკის პრინციპები მოიცავს ქცევით ვალდებულებებს, რომელთა დარღვევისთვისაც მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა,<sup>74</sup> თუმცა, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მოსაზრებით, პროფესიული ქცევის წესების დაღვევა - ცალკე აღებული - არ უნდა წარმოადგენდეს დისციპლინურ გადაცდომას ან სამოქალაქო თუ სისხლისსამართლებრივ დარღვევას.<sup>75</sup>

აღიარებულია, რომ ეთიკის კოდექსების შემუშავებაში წამყვანი როლი თავად მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ.<sup>76</sup> თუმცა, CCJE ასევე დასაშვებად მიიჩნევს მის შემუშავებას სხვა ორგანოს მიერ. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს უნდა იყოს მოსამართლეთა დისციპლინაზე პასუხისმგებელი ორგანოს გარდა, სხვა ორგანო.<sup>77</sup>

მოსამართლეთა ეთიკის საკითხებზე კომპეტენტური ორგანოს განსაზღვრის რამდენიმე გზა არსებობს: (i) ეს საქმე დაევალოს მართლმსაჯულების საბჭოს, თუ ამ საბჭოს ფუნქციებში არ შედის დისციპლინის საკითხები ან მის სტრუქტურაში შედის ცალკე შემადგენლობის მქონე სპეციალური დისციპლინარული ორგანო (ii) ან მართლმსაჯულების საბჭოსთან ერთად

<sup>71</sup> CCJE (2002) Op. N° 3

<sup>72</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>73</sup> იგივე.

<sup>74</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>75</sup> CCJE (2002) Op. N° 3

<sup>76</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>77</sup> CCJE (2007) Op. N° 10

შეიქმნას ეთიკის კომიტეტი, რომლის ერთადერთი ფუნქცია იქნება პროფესიული ეთიკის წესების შემუშავება და მათ შესრულებაზე მონიტორინგი. მეორე არჩევანის შემთხვევაში, შესაძლებელია შეიქმნას პრობლემები კომიტეტის წევრთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით და ასეთ კომიტეტსა და მართლმსაჯულების საბჭოს შორის კონფლიქტის ან უთანხმოების რისკი. გარდა ამისა, ეთიკის ორგანო, მოსამართლეებს კონსულტაციას გაუწევს პროფესიული ეთიკის იმ საკითხებზე, რომლებიც მათ წინაშე შეიძლება დადგეს თავიანთი კარიერის მანძილზე.<sup>78</sup>

CCJE-ის მოსზრებით, ასევე გამართლებულია არასასამართლო სფეროს წარმომადგენელი პირების (იურისტები, პროფესორები, საზოგადოების წევრები, ხელისუფლების სხვა ორგანოები) ჩართვა ეთიკის პრინციპების შემუშავების პროცესში, რათა არ შეიქმნას თვითინტერესის და თვითდაცვის არსებობის შესახებ შეხედულება და, ამავე დროს, მოსამართლეებსაც მიეცეთ საშუალება, თვითონ განსაზღვრონ თავიანთი პროფესიული ეთიკის წესები.<sup>79</sup>

## თავი 2: დისციპლინური გადაცდომის ცნება და სახეები

კიევის რეკომენდაციები დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს განმარტავს, როგორც „მოსამართლის პროფესიასთან შეუსაბამო ქცევა (professional misconduct), რომელიც არის მძიმე და უპატივბელი და რომელიც ლახავს სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, რეპუტაციას.“<sup>80</sup> რეკომენდაციებში ასევე განმარტებულია თუ რა არ შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად (მაგ. კანონის არასწორი ინტერპრეტაცია).<sup>81</sup>

სხვადასხვა ქვეყანაში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველები განსხვავებულია. თუმცა, როგორც წესი, სამოსამართლო ქცევის შესახებ კანონები და ეთიკის კოდექსები მოსამართლეს ავალდებულებენ, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, რომელმაც შეიძლება დააზიანოს/კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მოსამართლის, ან მთლიანად სასამართლო ხელისუფლების კეთილსინდისიერება და დამოუკიდებლობა.<sup>82</sup> თუმცა, ამგვარი ჩანაწერი შესაძლოა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი გახდეს. შესაბამისად, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის ბოროტად გამოყენება და მოსამართლეთა არასათანადო მოტივებით დევნა, საჭიროა, ეროვნული კანონმდებლობით არა ბუნდოვნად და ფართოდ, არამედ ნათლად და შეძლებისდაგვარად დეტალურად იყოს განმარტებული თუ რას ნიშნავს თითოეული სახის დისციპლინური გადაცდომა, რომლისთვისაც მოსამართლეს შეიძლება

---

<sup>78</sup> იგივე

<sup>79</sup> იგივე

<sup>80</sup> OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights/Max Planck Minerva Research Group on Judicial Independence, *Kyiv Recommendations on Judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia* (2010), Kyiv Recommendations, Rec. 25 [hereinafter Kyiv Recommendations]

<sup>81</sup> Kyiv Recommendations, Rec. 25

<sup>82</sup> Opinion No. 408 / 2006, OPINION ON THE LAW ON DISCIPLINARY RESPONSIBILITY AND DISCIPLINARY PROSECUTION OF JUDGES OF COMMON COURTS OF GEORGIA adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007)

დაეკისროს პასუხისმგებლობა.<sup>83</sup> თუმცა, აღიარებულია ისიც, რომ შეუძლებელია კანონი ყოველთვის ზედმიწევნით დეტალური იყოს და თუ ამ მიმართულებით საჭიროა გონივრული ბალანსის დაცვა,<sup>84</sup> კანონში არსებული ფართო ფორმულირება შეიძლება დაბალანსდეს თუ არსებობს ნორმის თანმიმდევრული და ვიწროდ ინტერპრეტაციის პრაქტიკა.<sup>85</sup>

მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს, მაგალითად: რეგულარული დაგვიანება დაკისრებული სამუშაოს შესრულებაში (სლოვენია)<sup>86</sup>; მოსამართლის ვალდებულებების სერიოზული და განმეორებითი იგნორირება (შვედეთი)<sup>87</sup>; მოსამართლის ვალდებულების შეუსრულებლობა, მაგ. სერიოზული და განზრახი დარღვევა პროცედურული ნორმისა, რომელიც მხარისათვის მნიშვნელოვან უფლებრივ გარანტიას წარმოადგენს (საფრანგეთი)<sup>88</sup>; მოსამართლის თანამდებობის გამოყენება საკუთარი თავის ან სხვისთვის უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად (იტალია), საიდუმლო გაერთიანების წევრობა ან ისეთი ასოციაციის წევრობა, რაც ობიექტურად შეუსაბამოა მოსამართლის ვალდებულებებთან, (იტალია)<sup>89</sup>; საქმის განაწილებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევა; იურისდიქციის განმსაზღვრელი წესების დარღვევა; კანონით დადგენილ ვადებში ზომების მიუღებლობა სარჩელის, საჩივრისა თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით; საქმის მიუკერძოებლად განხილვის ვალდებულების დარღვევა, კერძოდ, აცილების (თვითაცილების) ვალდებულების შეუსრულებლობა; სამოსამართლო ეთიკის სისტემატური ან სერიოზული დარღვევა, რაც მართლმსაჯულების ავტორიტეტს ლახავს, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, მათ შორის დახურული პროცესის ინფორმაციის გამჟღავნება; ფინანსური დეკლარაციის შეუვსებლობა ან დაგვიანებით შევსება, ან არასწორი ინფორმაციის ჩაწერა დეკლარაციაში (უკრაინა)<sup>90</sup>; კოლეგებისა და თანამშრომლებისადმი არასათანადო მოპყრობა, არასათანადო კომენტარის გაკეთება, უარყოფითი წინასწარგანწყობის (prejudice) ქონა ან გარემო პირობისათვის შთაბეჭდილების დატოვება, რომ პირს აქვს ამგვარი წინასწარგანწყობა საქმესთან ან მის მონაწილეებთან მიმართებაში; მიმდინარე საქმეზე კომენტარის გაკეთება; პროცესის რომელიმე მხარესთან ან მხარეებთან არასათანადო კომუნიკაცია (Ex parte communications); საჩუქრების, სესხის და სხვა დახმარების მიღება, არასათანადო ბიზნესაქტივობები; არასათანადო პოლიტიკური აქტივობები; სასამართლოს რესურსების

<sup>83</sup> Venice Commission Opinion on the Law on Disciplinary Responsibility Prosecution of Judges of Common Courts of Georgia (adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session, Venice, 16-17 March 2007); იხ. ასევე Opinion No. 408 / 2006.

<sup>84</sup> იხ. OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE JUDGMENT (MERITS)

<sup>85</sup> OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE JUDGMENT (MERITS)

<sup>86</sup> ევროპის სასამართლო სისტემები, 2012 წლის გამოცემა (2010 წლის მანაცემებზე დაყრდნობით), ევროპის საბჭო, ევროპული კომისია მართლმსაჯულების ეფექტურობისათვის (CEPEJ) [შემდგომში ევროპის სასამართლო სისტემები, 2012]

<sup>87</sup> Judicial Independence in Europe: The Swedish, Italian and German Perspectives

<sup>88</sup> Securing Justice, The Disciplinary System for Judges in Russian Federation, Report of an ICJ Mission, 2012 [შემდომში ICJ Report, 2012]

<sup>89</sup> იგივე

<sup>90</sup> იხ. უკრაინის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო უმაღლესი კომისიის ოფიციალური ვებგვერდი <http://www.vksu.gov.ua/en/disciplinary-proceedings/disciplinary-liability-of-a-judge/>

ბოროტად გამოყენება; სამოსამართლო ფუნქციების შეუსრულებლობა, (მაგალითად, ძილი პროცესზე, პროცესის გაცდენა) ან პირის უუნარობა (inability) შეასრულოს სამოსამართლო ვალდებულებები; უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, როგორც სამოსამართლო საქმიანობის დროს, ასევე იმ შემთხვევებშიც კი, როცა პირი არ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, (მაგ. მიღებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება); არასათანადო გენდერული კომენტარები სამსახურში, სექსუალური შევიწროვება (sexual harassment) (კალიფორნიის შტატი)<sup>91</sup>; არასათანადო ქცევა სასამართლო დარბაზში (ყვირილი, გენდერული მიკერძობა, რასისტული კომენტარი), საჯარო განცხადების გაკეთება მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, იმ საქმის განხილვა, რომლის შედეგთან დაკავშირებითაც მოსამართლეს გააჩნია ფინანსური ინტერესი, კონკრეტული პოლიტიკური კანდიდატის მხარდაჭერა ან სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისაგან დამოუკიდებლად ჩადენილი ქმედებები, მაგ. სექსუალური შევიწროვება, ქურდობა, მანქანის ინტოქსირებულ მდგომარეობაში მართვა, მუქარა, რასისტული კომენტარი და სხვ. (ტეხასის შტატი).<sup>92</sup>

### თავი 3: დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სახდელები/სანქციები)

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სახდელები) ქვეყნის შიდა კანონმდებლობით უნდა იყოს დეტალურად გაწერილი. ასევე, განსაზღვრული უნდა იყოს არასათანადო ქმედების სიმძიმის რა ხარისხი გამოიწვევს ამა თუ იმ დისციპლინური სანქციის დაკისრებას.<sup>93</sup> დისციპლინური სანქცია ჩადენილი დარღვევის პროპორციული უნდა იყოს.<sup>94</sup> ამ პრინციპის დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელების ოდენობა და სახეები არ იყოს მკაცრად ლიმიტირებული.<sup>95</sup> ვინაიდან მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება წარმოადგენს ყველაზე მძიმე სანქციას, უპრიანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს დისციპლინური გადაცდომის სახეები, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, და სხვა საფუძველები, რომლისთვისაც სხვა, უფრო მსუბუქი ხასიათის დისციპლინური სანქციის დაკისრებაა გათვალისწინებული.

<sup>91</sup> State of California, Commission on Judicial Performance, see at

<http://www.cjp.ca.gov/res/docs/appendix/Chart%20-%20Types%20of%20Misconduct.pdf>

კალიფორნიის მაგალითი საინტერესოა, რადგან აქ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა მოსამართლის მიერ ასევე წარმოადგენს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს; ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ, გერმანიის მსგავსად, კალიფორნიაში მოსამართლედ ყოფნის დროს ჩადენილი დისციპლინური დარღვევისათვის პასუხს აგებენ არამხოლოდ მოქმედი, არამედ ყოფილი მოსამართლეებიც.

<sup>92</sup> Texas State, State Commission on Judicial Conduct, see at <http://www.scjc.state.tx.us/faqs.asp#faq12>

<sup>93</sup> Venice Commission Opinion No. 408 / 2006; იხ. ასევე Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 24 March 2009, par. 57 და CCJE (2002) Op. N° 3

<sup>94</sup> Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 24 March 2009, par. 58, იხ. ასევე Venice Commission Opinion No. 408 / 2006.

<sup>95</sup> OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE JUDGMENT (MERITS) ამ საქმეში სასამართლომ თქვა, რომ ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა იცნობდა მხოლოდ 3 ტიპის სანქციას, შეუძლებელი იყო პროპორციულობის პრინციპის დაცვა.

### 3.1. თანამდებობიდან გათავისუფლება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა

სასამართლო ხელისუფლების და კონკრეტული მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას, სამოსამართლო ვადის ფარგლებში, მისი ხელშეუხებლობა წარმოადგენს.<sup>96</sup> შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება საგამონაკლისო ხასიათს უნდა ატარებდეს და გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. კერძოდ, როცა მოსამართლეს აღარ შეუძლია (ფიზიკური ან მენტალური შეუძლებლობა -incapacity) უფლებამოსილების განხორციელება ან ჩაიდინა ისეთი ქმედება, რაც მას შეუსაბამოს ხდის მოსამართლის სტატუსთან, როგორცაა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენა ან დისციპლინური ქცევის წესის სერიოზული დარღვევა.<sup>97</sup>

საინტერესოა, რომ რიგ შემთხვევებში, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებამ შეიძლება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან ერთად, დაარღვიოს მისი პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობაც.<sup>98</sup>

### 3.2. დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომები

სხვადასხვა ქვეყანაში დისციპლინური სახდელის სახით სხვადასხვა სანქცია გამოიყენება; მაგალითად: ფორმალური გაფრთხილება (ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, თურქეთი), შენიშვნა (remark) – (ბულგარეთი), ან მითითება (guidance) იმის შესახებ, თუ როგორი საქციელი მოეთხოვება მოსამართლეს ( ინგლისი და უელსი), საპროცესო ხარჯების გადახდევინება (ავსტრია), მოსამართლის საქციელის განხილვა (აზერბაიჯანი), წერილობითი გაფრთხილება (ნიდერლანდები)<sup>99</sup>, უფლებამოსილების დროებით შეჩერება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში (ნიდერლანდები); გაფრთხილება ან საყვედური - ნაკლებად სერიოზული დარღვევებისათვის (ბელგია), გაფრთხილება, ხელფასის შემცირება, თანამდებობიდან გათავისუფლება ან იმპიჩმენტი (შვედეთი).<sup>100</sup>

<sup>96</sup> CCJE Opinion No. 1(2001) on standards concerning the independence of the judiciary and the irremovability of judges, paras 52 and 57.

<sup>97</sup> Recommendation No. R (94) 12; Commonwealth (Latimer House) Principles on the Three Branches of Government (2003).

<sup>98</sup> ამ საკითხზე იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE JUDGMENT (MERITS)

<sup>99</sup> ევროპის სასამართლო სისტემები, 2012 (ამ სანქციის გამოყენება დასაშვებია მაგ. მაშინ, როცა მოსამართლე სჩადის ისეთ საქციელს, რომელიც გამოხატავს დაუდევარ დამოკიდებულებას მოსამართლის სტატუსისადმი და მოვალეობებისადმი (conduct that is negligent to the honour or tasks associated with the office), ან სპეციფიკალური წესების დარღვევასთან, როგორცაა მაგ. კონფიტენციალობის ან არასათანადო კომუნიკაციის ამკრძალავი წესები. თუ მოსამართლე განმეორებით ჩაიდენს ქმედებას, რომლისთვისაც მას უკვე აქვს მიღებული წერილობითი გაფრთხილება, შეიძლება მის მიმართ სახდელის ზომგად გამოყენებულ იქნას თანამდებობიდან გათავისუფლება.)

<sup>100</sup> Judicial Independence in Europe , The Swedish, Italian and German Perspectives, by John Adenitire, available at

<http://www.ucl.ac.uk/constitution-unit/research/judicial-independence/judicial-independence-in-europe.pdf> [hereinafter Judicial Independence in Europe The Swedish, Italian and German Perspectives]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ასევე დასაშვებად მიიჩნევა ისეთი დისციპლინური სახდელების გამოყენებას, როგორცაა: განსახილველი საქმის ჩამორთმევა მოსამართლისათვის, მისთვის სხვა სამოსამართლო ვალეზულებების დაკისრება იმავე სასამართლოში, ეკონომიკური სანქციები, მაგალითად, დროებით ხელფასის დაკლება და მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება.<sup>101</sup>

ამგვარად, ევროპის ქვეყნებში არსებული დისციპლინური სანქციები შეიძლება სამ ტიპად დაიყოს: მორალური (მაგ. საყვედური), ფინანსური (მაგ. ხელფასის შემცირება, ჯარიმა), და სხვა მძიმე სანქციები: (მაგ. გადაყვანა სხვა სასამართლოში, ჩამოქვეითება, უფლებამოსილების დროებით შეჩერება, თანამდებობიდან გადაყენება.)<sup>102</sup>

სანქციების კონტექსტში, საინტერესოა გერმანიის მაგალითი, სადაც პენსიაში გასული მოსამართლის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას სანქცია პენსიის ჩამორთმევის სახით.

ასევე, საინტერესოა აშშ-ის სხვადასხვა შტატის მაგალითები, სადაც საჯარო ტიპის სანქციებთან ერთად (მაგალითად, მოსამართლის გაკიცხვა, ან საჯარო გაკრიტიკება, რის შესახებაც ინფორმაცია საჯარო ხდება), გამოიყენება კონფიდენციალური ხასიათის სანქციები, მაგალითად, კონფიდენციალური საყვედური ან სარეკომენდაციო წერილი, რომელიც არ ითვალისწინებს ინფორმაციის გასაჯაროებას მოსამართლის წინააღმდეგ ამგვარი დისციპლინური სანქციის გამოყენების შესახებ (მაგ. კალიფორნიის შტატი).<sup>103</sup>

ასევე საინტერესოა, რომ აშშ-ში, სახდელის სახით, შეიძლება მოსამართლეს დაევალოს დამატებითი განათლების მიღება. ეს ხდება მაშინ, როცა საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მოსამართლემ იმოქმედა საპროცესო წესების დარღვევით, ან გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, მაგრამ ეს არ მომხდარა ბოროტი განზრახვით. ეს სანქცია შეიძლება დაეკისროს სხვა სანქციასთან ერთად. (მაგ. ტეხასის შტატი).<sup>104</sup>

ტეხასის შტატში, მოსამართლის მიმართ შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას უფლებამოსილების შეჩერება. ეს ხდება მაშინ, როცა მოსამართლეს ბრალს წაუყენებენ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ან ისეთი არასათანადო საქციელისათვის, რაც უკავშირდება მის თანამდებობას, უფლებამოსილება შეჩერებულ მოსამართლეს შეიძლება შეუნარჩუნდეს ან ჩამოერთვას ხელფასის მიღების უფლება, მანამ სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. სადისციპლინო კომისიას ასევე შეუძლია მიმართოს ტეხასის უზენაეს სასამართლოს მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეჩერების თხოვნით.<sup>105</sup>

<sup>101</sup> COE Recommendation No. R (94) 12

<sup>102</sup> A comparative analysis of Disciplinary Systems for European judges and prosecutors, 2012

<sup>103</sup> კალიფორნიის შტატის მოსამართლეთა ქვევის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი [http://cjp.ca.gov/complaint\\_process.htm](http://cjp.ca.gov/complaint_process.htm) თუმცა, კალიფორნიის კონსტიტუციის თანახმად, ნებისმიერი შტატის გუბერნატორის, აშშ-ს პრეზიდენტის, მოსამართლეთა დანიშვნის კომისიის (Commission on Judicial Appointments) მოთხოვნის საფუძველზე, კომისია ვალეზულია რომ მომთხოვნს წარუდგინოს პირადი გაკიცხვისა თუ სარეკომენდაციო წერილის ტექსტი იმ მოსამართლესთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული მოსამართლის კანდიდატურა განიხილება კვლავ დასანიშნად.

<sup>104</sup> ის. ტეხასის სამოსამართლო ქვევის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი <http://www.scjc.state.tx.us/>

<sup>105</sup> იგივე



ტეხასის შტატის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, მოსამართლემ, დისციპლინური სახდელის დაკისრების სანაცვლოდ, შეიძლება აირჩიოს თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომა. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს სჭირდება კომისიის შესაბამისი თანხმობა.<sup>106</sup>

#### **თავი 4: დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი:**

**პროცესის მონაწილე მხარეები, მათი უფლება- მოვალეობები და სხვ.**

#### **4.1. ორგანო, რომელიც აღჭურვილია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილებით**

საერთაშორისო სტანდარტები ერთხმად აღიარებენ, რომ ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დისციპლინური სანქცია დააკისროს მოსამართლეს, უმეტესწილად მოსამართლეებისაგან უნდა შედგებოდეს.<sup>107</sup> წევრები შეიძლება იყვნენ როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი მოსამართლეები.<sup>108</sup> ასევე დადებითად იქნა შეფასებული ამ ორგანოში მეცნიერების და სამართლის პროფესიის სხვა წარმომადგენელთა წევრობა.<sup>109</sup> რაც შეეხება აღმსრულებელი ან საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა წევრობას ამ ორგანოში, ამგვარი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპს<sup>110</sup> და შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან.<sup>111</sup>

დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში, ასევე მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ სამართალწარმოების ინიცირების უფლების მქონე ორგანო გამიჯნული უნდა იყოს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსაგან.<sup>112</sup> გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრები არ უნდა იყვნენ იმ პირების გავლენის ქვეშ, ან არ უნდა ჰყავდეთ წევრებად იმ ორგანოს წევრები, რომელსაც დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლება აქვს.<sup>113</sup>

ევროპის ქვეყნებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილებით სხვადასხვა ორგანო არის აღჭურვილი. რიგ შემთხვევაში, ეს არის **სასამართლო** (ბელგია, გერმანია, ირლანდია, ნიდერლანდები), **ზემოდგომი სასამართლო ან უზენაესი სასამართლო** (ბელგია, ესტონეთი, გერმანია, ირლანდია, ნიდერლანდები), **იუსტიციის უმაღლესი საბჭო** (ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, საფრანგეთი, იტალია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, მონტენეგრო,

<sup>106</sup> იგივე

<sup>107</sup> The Universal Charter of the Judge, იხ. ასევე Venice Commission Opinion No. 408 / 2006, პარ. 9

<sup>108</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013

<sup>109</sup> იგივე

<sup>110</sup> The Universal Charter of the Judge

<sup>111</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013 (მალდივებში ამ საბჭოში მოსამართლეებთან ერთად ასევე შედის პარლამენტის თავმჯდომარე, ერთი დეპუტატი, პროკურორი და სხვ.) paras. 43-44

<sup>112</sup> Kyiv Recommendations, par.26

<sup>113</sup> OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967.

ესპანეთი (შვეიცარია), **ომბუდსმენი** (ფინეთი), **პარლამენტი** (ირლანდია), **იუსტიციის მინისტრი** (გერმანია).<sup>114</sup>

#### 4.2. პირები/ინსტიტუტები, ვისაც უფლება აქვს, მოითხოვოს მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

მოსამართლის წინააღმდეგ, დისციპლინური წესით პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის დაყენების უფლება, როგორც წესი, აქვთ: **მოქალაქეს** (ფინეთი, საფრანგეთი, ისლანდია, ლიტვა, ნორვეგია, რუსეთი) **იუსტიციის უმაღლეს საბჭოს** (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, კვიპროსი, უნგრეთი, ისლანდია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, მონაკო, პორტუგალია, ნორვეგია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, თურქეთი), **სპეციალიზებულ სადისციპლინო კოლეგიას ან სადისციპლინო ორგანოს** (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, დანია, გერმანია, ისლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, სერბეთი, ესპანეთი, სლოვენია), **ომბუდსმენს** (ფინეთი, სლოვაკეთი, შვედეთი), **პარლამენტს** (შვეიცარია, ისლანდია, მალტა), **იუსტიციის მინისტრს** (ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ალბანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია) **სასამართლოს** (ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი), **ზემდგომ სასამართლოს** (ხორვატია, ჩეხეთი, ესპანეთი).<sup>115</sup>

საინტერესოა გერმანიის მაგალითი, სადაც თავად მოსამართლესაც შეუძლია გამოვიდეს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ინიციატივით, თუ სურს დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და გააქარწყლოს მის გარშემო არსებული ეჭვები.<sup>116</sup> აშშ-ის კალიფორნიის შტატში, საჩივრის წარდგენის უფლება პირთა ფართო წრეს აქვს მინიჭებული: დავის მონაწილე მხარეებს, ადვოკატებს, ნაფიც მსაჯულებს, სასამართლოში დასაქმებულ პირებს, სასამართლო პროცესების დამკვირვებლებს, სასამართლოს ადმინისტრაციას, საზოგადოების წარმომადგენლებს, კანონმდებლებს თუ თავად მოსამართლეებს. უკრაინაში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით საჩივრის შეტანის უფლება აქვს არამხოლოდ პროცესის მონაწილე მხარეს, არამედ ნებისმიერ ადამიანს, ვინც ფლობს ინფორმაციას მოსამართლის მიერ, შესაძლო, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

ვენეციის კომისიამ თავის ერთ-ერთ მოსაზრებაში განმარტა, რომ მხოლოდ იმ პირებს უნდა ჰქონდეთ დისციპლინური საჩივრის შეტანის უფლება, ვისაც საქმის მიმართ გააჩნია “სამართლებრივი ინტერესი” და არა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. კომისიამ უარყოფითად შეაფასა ის გარემოება, რომ ნებისმიერ პირს შეეძლო მოეთხოვა დისციპლინური სამართალწარმოება საქმესთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც მან მედიით შეიტყო.<sup>117</sup> კომისიამ აღნიშნა, რომ ამგვარმა წესმა შეიძლება მოსამართლე არასაჭირო წნეხის ქვეშ დააყენოს.

<sup>114</sup> ევროპის სასამართლო სისტემები, 2012 წლის გამოცემა (2010 წლის მანაცემებზე დაყრდნობით), ევროპის საბჭო, ევროპული კომისია მართლმსაჯულების ეფექტურობისათვის (CEPEJ) [შემდგომში ევროპის სასამართლო სისტემები, 2012]

<sup>115</sup> ევროპის სასამართლო სისტემები, 2012

<sup>116</sup> Judicial Independence in Europe: The Swedish, Italian and German Perspectives

<sup>117</sup> Venice Commission Opinion no. 755 / 2014

#### 4.3. საჩივრის მომზადება და წარდგენა სადისციპლინო ორგანოში

სახელმწიფოები, სადაც მოქალაქეს მინიჭებული აქვს დისციპლინური საჩივრის წარდგენის უფლება, პირდაპირ დისციპლინურ ორგანოში, ან სხვა ორგანოში, რომელსაც ასეთი საჩივრის გადაგზავნის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, საჩივარი გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი არც კი განიხილება, განსხვავებით კალიფორნიის შტატისაგან, სადაც შესაბამისი კომისია განსახილველად იღებს ანონიმურ საჩივრებს ან ისეთ საქმეებს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიიღო, მაგ. მედიასაშუალებებიდან ან კომისიის მიერ გამოძიების მიმდინარეობისას.

მაგალითად, ინგლისსა და უელსში თუ საჩივარში მითითებული ბრალდება მოსამართლის წინააღმდეგ არ არის საკმარისად დასაბუთებული, მაშინ შეიძლება საჩივარი განუხილველი დარჩეს. **უკრაინაში** განუხილველად ტოვებენ ანონიმურ საჩივრებს და საჩივრებს, რომლებშიც არ არის დაკონკრეტებული მოსამართლის ვინაობა.<sup>118</sup>

საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი. მაგ. უკრაინაში დისციპლინური სამართალწარმოების ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია საჩივრის სტანდარტული ფორმა, რომელიც დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს და გააგზავნოს. კალიფორნიაში, პირს შეუძლია შეავსოს როგორც ოფიციალურად დამტკიცებული სტანდარტული ფორმა, ასევე დაწეროს საჩივარი ჩვეულებრივი წერილის სახით. წერილის ელექტრონული ფორმით გაგზავნა შეუძლებელია, ის უნდა ჩაბარდეს კომისიის ოფიციალურ მისამართზე.<sup>119</sup>

როგორც წესი, ეროვნული კანონმდებლობით (და საჩივრის სტანდარტული ფორმით) განსაზღვრულია რა ტიპის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს დისციპლინური საჩივარი. მაგალითად, კალიფორნიის შტატში დადგენილია, რომ საჩივარში უნდა აისახოს: მოსამართლის ვინაობა, სასამართლო, სადაც ის მსახურობს და იმ საქციელის დეტალური აღწერა, რომელიც მოსარჩელეს დარღვევად მიაჩნია. ეს არ უნდა იყოს დასკვნები (მაგ. მოსამართლე მიკერძოებული იყო) არამედ აღწერა, რა გააკეთა მოსამართლემ, რა თქვა, რა მოიმოქმედა. თუ არსებობს მტკიცებულება (ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის სახით), მისი ასლი შეიძლება თან დაერთოს სასარჩელო განცხადებას ან განცხადებაში მიეთითოს მისი არსებობის შესახებ. ასევე, განცხადებაში უნდა მიეთითოს დარღვევის ჩადენის თარიღი, საქმის ტიპი, რომლის დროსაც ჩადენილ იქნა დარღვევა და მოსარჩელის მიმართება საქმესთან (არის ის მხარე თუ სხვა).<sup>120</sup>

საინტერესოა, რომ რიგ ქვეყნებში სხვადასხვა რანგის მოსამართლეების საქმეებს სხვადასხვა ორგანო განიხილავს. მაგალითად, უკრაინაში დისციპლინური სამართალწარმოების

<sup>118</sup> High Qualification Commission of Judges of Ukraine, Disciplinary Liability of a Judge, see at <http://www.vkksu.gov.ua/en/disciplinary-proceedings/disciplinary-liability-of-a-judge/>

<sup>119</sup> იხ. კალიფორნიის შტატის მოსამართლეთა ქვევის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი [http://cjp.ca.gov/complaint\\_process.htm](http://cjp.ca.gov/complaint_process.htm)

<sup>120</sup> იგივე

ფუნქცია ორ ინსტიტუტს შორის არის განაწილებული: იუსტიციის უმაღლესი საბჭო ზემდგომი სპეციალიზებული სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვის. კომისია ადგილობრივი და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის.<sup>121</sup> შვედეთში, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმეს განიხილავს ეროვნული სადისციპლინო საბჭო, რომელიც ამავე დროს, აღჭურვილია ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის განხილვის კომპეტენციით.<sup>122</sup>

ისლანდიაში, მონაკოსა და ნორვეგიაში, სხვადასხვა ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, ერთი მხრივ, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, სხვა, უფრო მსუბუქი სანქციის დაკისრების შესახებ.<sup>123</sup>

#### 4.4. საჩივარში მოცემული ფაქტების წინასწარი გამოკვლევა

კალიფორნიაში, დისციპლინური სამართალწარმოების ორგანო თითოეულ მოსარჩელეს წერილობით უდასტურებს სარჩელის მიღების ფაქტს. შემდეგ ხდება საჩივრის განხილვა, ანუ იმის შემოწმება, არსებობს თუ არა ფაქტები, რათა დაიწყოს გამოძიება. თუ სარჩელი დაუსაბუთებელია, საქმე უნდა შეწყდეს. მანამ, სანამ არ გადაწყდება, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს, კომისია არ უკავშირდება მოსამართლეს ან სხვა პირებს. თუმცა, იმისათვის, რომ კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიების დაწყება - არდაწყების თაობაზე, კომისიის იურიდიული განყოფილებას შეუძლია გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია საქმეზე, მოსარჩელის მხრიდან.

გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე, კომისია იღებს ზომებს, რათა დაცული იყოს მოსარჩელის და მოწმეების ვინაობის კონფიდენციალურობა. საქმის მოსმენის დროს, დასაშვებია მოსარჩელის გამოძახება და მოსმენა, ჩვენების მიცემის მიზნით.

კალიფორნიის კონსტიტუციისა და კომისიის რეგლამენტის მიხედვით, კომისიას არ შეუძლია უარყოს ან დაადასტუროს, რომ საჩივარი მიიღო და/ან რომ მასზე მიმდინარეობს გამოძიება. იმ პირებს, ვისაც კომისია გამოძიების დროს უკავშირდება, აფრთხილებენ კონფიდენციალობის წესის შესახებ.<sup>124</sup>

#### 4.5. დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპები

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ერთიანი პროცესის საილუსტრაციოდ საინტერესოა უკრაინის მაგალითი, სადაც ეს პროცესი ოთხი საფეხურისაგან შედგება:

<sup>121</sup> High Qualification Commission of Judges of Ukraine, Disciplinary Liability of a Judge, see at <http://www.vksu.gov.ua/en/disciplinary-proceedings/disciplinary-liability-of-a-judge/>

<sup>122</sup> Judicial Independence in Europe: The Swedish, Italian and German Perspectives

<sup>123</sup> ევროპის სასამართლო სისტემები, 2012

<sup>124</sup> State of California, Commission on Judicial Performance, at [http://www.cjp.ca.gov/complaint\\_process.htm](http://www.cjp.ca.gov/complaint_process.htm)

კომისიაში საჩივრის შესვლის შემდეგ, იწყება ინფორმაციის გადამოწმება, იმის დასადგენად თუ რამდენად არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები, რასაც კანონის საფუძველზე ახორციელებს კომისიის ერთ-ერთი წევრი; წევრის შერჩევა ავტომატური სისტემის მეშვეობით ხდება. ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, კომისიის წევრი ამზადებს წერილობით დასკვნას, უნდა გაგრძელდეს თუ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. ეს დასკვნა/მოსაზრება და მოკვლევის დროს შეგროვებული დოკუმენტები გადაეგზავნება კომისიას გასაცნობად. მოკვლევის სათანადოდ ჩასატარებლად, თითოეულ წევრს დახმარებას უწევს 3 სადისციპლინო ინსპექტორი. ინსპექტორებს დავალებას აძლევს კომისიის წევრი. ისინი ატარებენ მოკვლევას და ამზადებენ დასკვნის/მოსაზრების პირველად ვერსიას.

უნდა დაიწყოს თუ არა დისციპლინური სამართალწარმოება, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კომისია. გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მიღებული გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება შესაბამის მოსამართლეს და პირს/ორგანოს, რომელმაც საჩივარი შეიტანა მოსამართლის წინააღმდეგ. მოსამართლეს ასევე ეგზავნება კომისიის იმ წევრის წერილობითი დასკვნა, რომელსაც საქმე მიწერილი ჰქონდა მოკვლევის ეტაპზე.

მოსმენამდე არაუგვიანეს 10 დღისა, ინფორმაცია, დროისა და ადგილის მითითებით, უნდა გამოქვეყნდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მოსმენაზე მოიწვევენ მოსამართლეს, მოსარჩელეს და სხვა დაინტერესებულ პირებს, თუ საჭიროა. თუ მოსამართლეს, სათანადო მიზეზით, არ შეუძლია განხილვაზე დასწრება, მას უფლება აქვს თავისი მოსაზრებები წერილობით წარადგინოს, რაც საქმის მასალებს უნდა დაერთოს. ამ მოსაზრებას ხმამაღლა კითხულობენ კომისიის სხდომაზე. თუ მოსამართლე მეორედაც არ გამოცხადდება განხილვაზე, განხილვა მის გარეშე ჩატარდება.

პროცესი შეჯიბრებითი ხასიათისაა. კომისია უსმენს მომხსენებელ წევრს, მოსამართლეს ან მის წარმომადგენლებს, და სხვა დაინტერესებულ პირებს, თუ მათ რაიმეს თქმა სურთ. მოსამართლეს უფლება აქვს დასვას კითხვები, გამოხატოს საწინააღმდეგო პოზიცია, მოითხოვოს აცილება და სხვ.

საქმის განხილვა ტექნიკური საშუალებებით უნდა ჩაიწეროს. გადაწყვეტილების გამოტანისას, კომისია დახურულად მოქმედებს. ამ პროცესს არც თავად მოსამართლე და არც სხვა დაინტერესებული პირები არ უნდა ესწრებოდნენ. გადაწყვეტილება კომისიის საერთო შემადგენლობის უმრავლესობით მიიღება.

მას შემდეგ, რაც კომისია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს დისციპლინური დევნის გაგრძელების საფუძვლები, მას გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება და ატყობინებს დაინტერესებულ მხარეებს ამის შესახებ.

განხილვის შემდეგ, კომისიას შეუძლია საბჭოს გაუგზავნოს რეკომენდაცია მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე, თუ არსებობს შესაბამისი საფუძვლები. კომისიის წევრებს აქვთ განსხვავებული პოზიციის ქონის უფლება, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს.

კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს მოსამართლისთვის სანქციის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, გამოყენებული სანქციის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

უკრაინაში მოსამართლეს აქვს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების

უფლება უმაღლეს საბჭოში ან უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში, გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. გასაჩივრება აჩერებს სანქციის დაკისრებას.<sup>125</sup>

#### 4.6. მომჩივანის უფლებები დისციპლინური სამართალწარმოების დროს

საინტერესოა ტეხასის შტატის მაგალითი, სადაც მომჩივანს უფლება აქვს, მოითხოვოს მისი საჩივრის დაუშვებლად ცნობის/განუხილველად დატოვების შესახებ, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა. ამგვარი უფლებით მას მხოლოდ ერთხელ შეუძლია სარგებლობა. მომჩივანისათვის გაგზავნილ წერილში, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ასევე მითითებულია გადახედვის წესების შესახებ და მოცემულია გადახედვის თხოვნის სპეციალური ფორმა, რომელიც უნდა შეივსოს ასეთი სურვილის შემთხვევაში. თხოვნა უნდა შეიცავდეს დამატებით მტკიცებულებას (მაგ. მოწმის ჩვენებას, ან სხვ.) რომელიც ადრე კომისიას არ განუხილავს. თუ თხოვნა არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, იგი განუხილველად დარჩება. თუ კომისია გადაწყვეტს, თხოვნის წერილი განიხილოს, ის კენჭს უყრის, რომ ან კვლავ თავის პირველად გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი ან თავიდან შეისწავლოს საჩივარი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ საქმეს თავიდან გამოიძიებს კომისიის შტატის ის თანამშრომელი, რომელიც თავდაპირველ გამოძიებაში არ იყო ჩართული. მომჩივანს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინებენ წერილობითი ფორმით.

ასევე საინტერესოა ინგლისისა და უელსის დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა. მოქალაქეს ან თავად მოსამართლეს შეუძლია საჩივრით მიმართოს მოსამართლეთა დანიშვნისა და სამოსამართლო ქცევის ომბუდსმენს (Judicial Appointments and Conduct Ombudsman) იმის თაობაზე, რომ თავდაპირველი საჩივრის განხილვა (დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით) შესაბამის ორგანოში არასათანადოდ წარიმართა. თუ ამგვარი საჩივარი ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ომბუდსმენი შეისწავლის საქმის შინაარსს და თუ დარწმუნდება, რომ დისციპლინური საჩივრის განხილვა არასწორად განხორციელდა, მას შეუძლია რეკომენდაციით მიმართოს საზედამხედველო ორგანოს (Review Body), რათა ამ უკანასკნელმა შეისწავლოს დისციპლინურ საქმეზე მიმდინარე გამოძიება ან მიღებული გადაწყვეტილება. მას ასევე შეუძლია მიმართოს შესაბამის ინსტიტუტს, რათა ამ უკანასკნელმა ბოდიში მოუხადოს მოსარჩელეს, რიგ შემთხვევებში კი, აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც ომბუდსმენის აზრით, პირს მიადგა, როგორც დისციპლინური სარჩელის არასათანადოდ განხილვის პირდაპირი შედეგი.<sup>126</sup>

<sup>125</sup> High Qualification Commission of Judges of Ukraine, Disciplinary Liability of a Judge, see at <http://www.vksu.gov.ua/en/disciplinary-proceedings/disciplinary-liability-of-a-judge/>

<sup>126</sup> იგივე

#### 4.7. მოპასუხის (მოსამართლის) უფლებები დისციპლინური სამართალწარმოების დროს - სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს, მოსამართლეებს აქვთ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.<sup>127</sup> ეს უფლება მოიცავს: ადეკვატურ დროს პოზიციის მოსამზადებლად,<sup>128</sup> წარმომადგენლის ყოლის უფლებას, საქმის განხილვის დროს, დასწრებისა და თავისი პოზიციის სრულად გამოხატვის შესაძლებლობას, სამართალწარმოებას გონივრულ ვადებში და სხვ.

##### 4.7.1. მასალების ხელმისაწვდომობის უფლება

ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა, ტუნისში, მოსამართლეებისათვის დისციპლინური სამართალწარმოების დროს მათ საწინააღმდეგოდ არსებული მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა.<sup>129</sup>

##### 4.7.2. იურიდიული დახმარების მიღების და წარმომადგენლის ყოლის უფლება

ვენეციის კომისიამასევე დადებითად შეაფასა, ტუნისში, მოსამართლეებისათვის დისციპლინური სამართალწარმოების დროს, იურიდიული კონსულტაციის/დახმარების მიღების შესაძლებლობა.<sup>130</sup> საფრანგეთში, მოსამართლეს აქვს უფლება, რომ მიიღოს სამართლებრივი დახმარება თავისი კოლეგისაგან, ადვოკატის, სხვა იურისტისაგან, როგორც გამოძიების, ასევე დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე.<sup>131</sup> ბელგიაში, მოსამართლე შეიძლება ნებისმიერმა პირმა წარმოადგინოს როგორც დისციპლინური გამოძიების, ასევე საქმის განხილვის დროს. თუმცა, შესაბამისი გამოძიების მწარმოებელ ორგანოს შეუძლია მოსამართლეს მოსთხოვოს პირადად გამოცხადება მის წინაშე, რაც არ გამოორიცხავს წარმომადგენლის ყოლის უფლებას.

##### 4.7.3. ადეკვატური დრო პოზიციის მოსამზადებლად

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, დისციპლინური სამართალწარმოების დროს, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ადეკვატური დრო თავისი პოზიციის მოსამზადებლად.<sup>132 133</sup>

---

<sup>127</sup> UN Basic Principles on the Independence of the Judiciary

<sup>127</sup> OSCE/ODIHR OPINION ON THE LAW 29/1967

<sup>128</sup> იგივე

<sup>129</sup> იგივე

<sup>129</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013, par. 46

<sup>130</sup> OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967, par. 49; იხ. ასევე European Charter on the Status of Judges

<sup>131</sup> თუმცა, შერჩეული ადვოკატი უნდა მუშაობდეს *Conseil d'Etat-ში ან საკასაციო სასამართლოში, ხოლო იურისტი შესაბამისი სიიდან შეიძლება იქნას არჩეული.*

<sup>132</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013, par. 46, ასევე იხ. მაგალითად OSCE/ODIHR Opinion on the Law 29/1967

<sup>133</sup> იგივე

#### 4.7.4. საკუთარი საქმის განხილვაზე დასწრების უფლება

ვენეციის კომისიამ ასევე განმარტა, რომ საკუთარი საქმის განხილვაზე დასწრების უფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი და ამიტომ, ადამიანის წინააღმდეგ დისციპლინური საქმის დაუსწრებლად განხილვა მხოლოდ გამონაკლისი უნდა იყოს. ეს გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დასაშვები, თუ მოსამართლე გაუმართლებლად ან განმეორებით არ გამოცხადდება განხილვაზე. იმ შემთხვევებში, როცა საქმის განხილვა მოხდება *in absentia*, შესაძლებელი უნდა იყოს საქმის ხელახალი განხილვა მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე.<sup>134</sup>

#### 4.7.5. პოზიციის წარდგენის და ბრალდების გაბათილების უფლება

მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სრული შესაძლებლობა, პასუხი გასცეს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბრალდებას.<sup>135</sup>

**იტალიაში**, მოსამართლე საწყის ეტაპზე ინფორმირებულია, რომ მის მიმართ მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება და მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სხვა მოსამართლის ან ადვოკატის დახმარება. **სერბეთშიც** დაცულია სასწრაფო შეტყობინების უფლება; ასევე, მოსამართლეს აქვს საქმეში არსებული მასალების და დამხმარე მასალების გაცნობის უფლება, ასევე თავისი არგუმენტების და მტკიცებულებების წარდგენის უფლება პირადად, ან წარმომადგენლის მეშვეობით. ასევე, თავისი არგუმენტების ზეპირად წარმოდგენის უფლება. **საფრანგეთში**, მოსამართლის პოზიციები უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით შეიძლება მოისმინონ, უკვე გამოძიების ეტაპზე.<sup>136</sup>

ხორვატიის წინააღმდეგ საქმეში, სადაც განიხილებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გათავისუფლების კანონიერების საკითხი, ევროსასამართლომ რამდენიმე ფაქტორის გამო, დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა. დასკვნის გამოტანის ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ აპლიკანტს (ყოფილ მოსამართლეს), ევროკონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არ მიეცა შესაძლებლობა თავისი არგუმენტები წარმოედგინა და თავისი პოზიცია სრულად დაეცვა დისციპლინური ორგანოს წინაშე. საქმის განხილვისას, შესაბამისმა ორგანომ არ მოუსმინა აპლიკანტის მიერ დასახელებულ მოწმეებს.<sup>137</sup>

#### 4.7.6. უდანაშაულობის პრეზუმფცია

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხებში, მალდივებში მოქმედი სისტემის შეფასებისას, ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე. მან უარყოფით კონტექსტში აღნიშნა, რომ საქმის განხილვის დროს, მოსამართლეები არ სარგებლობდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციით. ასევე, სისტემა

<sup>134</sup> იგივე

<sup>135</sup> Recommendation No.R (94) 12, Principle 4, Kyiv Recommendations, par. 26

<sup>136</sup> Judicial Independence in Europe: The Swedish, Italian and German Perspectives

<sup>137</sup> European Court of Human Rights, *Olujic v. Croatia*, (Application no. 22330/05), Judgement, 2009, par. 85



იძლეოდა შესაძლებლობას მედიისა და ფართო საზოგადოების თვალში, მოსამართლის კეთილსინდისიერება მანამდე დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ, ვიდრე მის წინააღმდეგ არსებული ეჭვების სათანადო წესით გამოძიება მოხდებოდა.<sup>138</sup>

#### **4.7.7. მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.<sup>139</sup>**

ზოგიერთ სახელმწიფოში დასაშვებია იუსტიციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აზერბაიჯანი, ბოსნიაა და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია). როგორც წესი, გასაჩივრება ხდება იმავე ორგანოს ზემდგომ დაწესებულებაში ან ზედა ინსტანციის სასამართლოში (ესტონეთი, უნგრეთი, კონსეი დეტაში, საფრანგეთში). ანდორაში, იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია.<sup>140</sup> ჩეხეთში, სადისციპლინო სასამართლო შედგება 6 წევრისაგან: 3 მოსამართლე (პრეზიდენტი არის მოსამართლე უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოდან) 1 პროკურორი, 1 ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ერთი პრაქტიკოსი იურისტი, რომელიც სხვადასხვა დარგში მოღვაწეობს.<sup>141</sup>

საერთაშორისო ინსტრუმენტებით ასევე აღიარებულია, დისციპლინური სამართალწარმოების დროს მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, სავალდებულოა ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადახედვის სისტემის არსებობა.<sup>142</sup>

მაგალითად, კალიფორნიის შტატის კანონმდებლობით, მოსამართლეს შეუძლია დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება გასაჩივროს უზენაეს სასამართლოში.<sup>143</sup>

**ტეხასის შტატში** მოქმედებს გასაჩივრების შემდეგი მექანიზმი: კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში, მოსამართლეს უფლება აქვს წერილობით მიმართოს ტეხასის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სთხოვოს დანიშნოს სააპელაციო სასამართლოს 3 მოსამართლისაგან შემდგარი სპეციალური სასამართლო. ამ უკანასკნელის შექმნიდან 15 დღის ვადაში, კომისიამ მას უნდა გადაუგზავნოს მოსამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებული მასალები. სპეციალური სასამართლო საქმეს შეისწავლის ახლიდან. საქმის განხილვა, ისევე როგორც სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები არის საჯარო. მოსმენა უნდა გაიმართოს კომისიის მიერ მოსამართლის საქმესთან დაკავშირებული მასალების გადაგზავნიდან 30 დღის ვადაში. საქმე განიხილება სამოქალაქო საპროცესო წესით. გამონაკლისი არის ის, რომ საქმეში არ არიან ჩართულები ნაფიცი მსაჯულები. სპეციალურ სასამართლოს შეუძლია განუხილველი დატოვოს საქმე, დაეთანხმოს ან გააუქმოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დააკისროს მოსამართლეს უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი სანქცია, დაავალოს კომისიას ოფიციალური პროცედურის აღძვრა. სპეციალური სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.<sup>144</sup>

<sup>138</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013, par. 46

<sup>139</sup> Kyiv Recommendations, par.26

<sup>140</sup> ევროპის სასამართლო სისტემები, 2012

<sup>141</sup> იგივე

<sup>142</sup> UN Basic Principles on the Independence of the Judiciary; Recommendation No.R (94) 12, Principle 4; European Charter of Judges

<sup>143</sup> State of California, Commission on Judicial Performance, at [http://www.cjp.ca.gov/complaint\\_process.htm](http://www.cjp.ca.gov/complaint_process.htm)

<sup>144</sup> State of Texas, State Commission on Judicial Conduct, at <http://www.scjc.state.tx.us/faqs.asp#faq12>

#### **4.7.8. მოსამართლის უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე**

კიევის რეკომენდაციების თანახმად, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.<sup>145</sup> ეს ვალდებულება ასევე გამომდინარეობს სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან, რადგან ისინი აწესებენ დისციპლინური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. ხოლო ამ უფლების ეფექტურად გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ დისციპლინური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული.

მაგალითად, **საფრანგეთში**, საქმის განხილვა მიმდინარეობს დახურულ კარს მიღმა, მაგრამ გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოცხადდეს. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მის შესახებ აცნობებენ მოპასუხე მხარეს. **ნიდერლანდებში**, მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მოტივაცია საჯაროდ ცხადდება და ეგზავნება იუსტიციის სამინისტროსა და მოსამართლის ზემდგომ პირებს. **ბელგიაში**, დასაბუთებული გადაწყვეტილება ეგზავნება მოსამართლეს, და იმ შემთხვევაში, თუ მას დაეკისრა სერიოზული სანქცია - მაშინ იმ პირებსაც/ინსტიტუტებს, ვისაც ამ სანქციის აღსრულება ევალება (მაგალითად, მოსამართლის ზემდგომ მოსამართლეს). გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია გასაჩივრების უფლებისა და შესაბამისი ვადების შესახებ.<sup>146</sup>

#### **4.7.9. მოწმის სავალდებულო წესით მოსმენა**

ზოგ ქვეყანაში, მოწმის მოსმენის ვალდებულება კანონითაა დადგენილი. მაგალითად, **საფრანგეთში**, პირი, რომელიც შეირჩევა დისციპლინურ საქმეზე მომხსენებლად, უსმენს მოწმეებს, ისევე როგორც მოსარჩელეს და მოპასუხეს. **ბელგიაში**, მომხსენებელს/გამოძიების ჩამტარებელ თანამდებობის პირს შეუძლია ყველა საჭირო/სასარგებლო ღონისძიება განახორციელოს თავისი ფუნქციის შესასრულებლად. მათ შორის, დაკითხოს მოწმეები. **ნიდერლანდებში**, იმ საქმეებში, რომლებიც ეხება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას, საქმის განხილვისას, პროკურორის, მოპასუხის, ან თავად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაიბარონ მოწმე პროცესზე ჩვენების მისაცემად.<sup>147</sup>

#### **4.7.10. დისციპლინური სამართალწარმოების ვადები**

ევროპის სასამართლომ, თავის ერთ-ერთ საქმეში, დეტალურად განმარტა ვადების მნიშვნელობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში და მათი არარსებობის შედეგები კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლოს უფლება) გარანტირებული უფლების კონტექსტში. კერძოდ, სასამართლომ თქვა, რომ სისხლისსამართლებრივ, დისციპლინურ და სხვა ტიპის დავების გარკვეული ვადებით შეზღუდვა ევროპული სამართლებრივი სისტემის ტრადიციულ მახასიათებელს წარმოადგენს და განმარტა, რომ ვადების არსებობა ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს: პირველი, ეს არის

<sup>145</sup> Kyiv Recommendations, par. 26

<sup>146</sup> ICJ Report, 2012

<sup>147</sup> ICJ Report, 2012

სამართლებრივი განსაზღვრულობა (legal certainty) და მეორე, ეს არის მოპასუხეთა დაცვა ძველი პრეტენზიებისაგან, რომელთა წინააღმდეგ მას გაუჭირდება თავის დაცვა, ვინაიდან დიდი ხნის გასვლის გამო, მტკიცებულებები შეიძლება აღარ იყოს სანდო და/ან სრულყოფილი სახით შემონახული. მოცემულ საქმეში, მოსამართლეს 2010 წელს მოუწია პასუხისგება 2003 და 2006 წელს მომხდარი ფაქტების გამო. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ფაქტორმა მოსამართლე რთულ მდგომარეობაში ჩააყენა.

ამ საქმეში, მოპასუხე ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რაიმე ვადას, რომლითაც უნდა ყოფილიყო შეზღუდული დისციპლინური საქმის აღძვრა და საქმეზე გადაწყვეტილების მიღება. სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული ვადის დაწესება არ წარმოადგენდა მის კომპეტენციას, თუმცა დაადგინა, რომ მიდგომა, როცა მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არ იყო გარკვეული ვადით შემოსაზღვრული, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს. ამ გარემოების გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.<sup>148</sup>

### **თავი 5: დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობა**

საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები, თავად სამართალწარმოება და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს გამჭვირვალე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების თანახმად, საწყის ეტაპზე, დისციპლინური საქმის განხილვა კონფიდენციალური უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ღიაობას თავად მოსამართლე ითხოვს.<sup>149</sup> კიევის რეკომენდაციების თანახმად, საქმის განხილვა ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროცესის დახურვას თავად მოსამართლე ითხოვს. ასეთი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, შესაბამისმა ორგანომ უნდა იმსჯელოს, არის თუ არა პროცესის დახურვა გამართლებული.<sup>150</sup> მიუხედავად იმისა, საჯაროა თუ არა საქმის განხილვა, გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს.<sup>151</sup>

ევროპის ქვეყნებში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ბულგარეთსა და ესპანეთში საქმის საჯაროდ განხილვა არ ხდება, მაშინ როცა საფრანგეთში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი) ბელგიაში, პოლონეთში, იტალიასა და რუმინეთში საჯარო განხილვა დაშვებულია.<sup>152</sup>

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მალდივებში მოქმედი სისტემა შეაფასა როგორც

<sup>148</sup> European Court of Human Rights, CASE OF YURIY VOLKOV v. UKRAINE, (Application no. 45872/06) (2013)

<sup>149</sup> UN Basic Principles on the Independence of the Judiciary, Principles 17

<sup>150</sup> Kyiv Recommendations, par. 26

<sup>151</sup> Beijing Statement of Principles of the Independence of the Judiciary, იხ. ასევე Kyiv Recommendations, par. 26

<sup>152</sup> A comparative analysis of Disciplinary Systems for European judges and prosecutors (2011)

შეუსაბამო საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებთან. ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად მან დაასახელა გამჭვირვალობის ნაკლებობა, აღნიშნა რა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა კომისიის წინაშე წარდგომის შემდეგ, მოსამართლეებს არ ატყობინებენ რა ბედი ეწია მათ საქმეს: შეწყდა, მიმდინარეობს თუ მიღებულია რაიმე სხვა გადაწყვეტილება.<sup>153</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია ცალსახა სტანდარტი, რომ დისციპლინური საქმის განხილვა აუცილებლად ღიად და საჯაროდ უნდა მიმდინარეობდეს. თუმცა, ერთ-ერთ საქმეში, ხორვატიის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უკანონო გათავისუფლებას დისციპლინური სამართალწარმოების გზით, სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის საჯარო სტატუსიდან და საზოგადოებაში მისი მაღალი ცნობადობიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ საქმის განხილვის დროს საზოგადოებაში უკვე გამოთქმული იყო ეჭვები მისი პოლიტიკური მოტივით დევნის თაობაზე, საქმის განხილვის საჯაროობა ნათლად შედიოდა როგორც აპლიკანტის, ასევე ფართო საზოგადოების ინტერესში. ამ პირობებში, სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფოს პოზიცია, რომ საზოგადოებისათვის პროცესის დახურვას ჰქონდა ევროკონვენციის მე-6(1) მუხლით დადგენილი ლეგიტიმური საფუძველი.<sup>154</sup> დაბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ საბჭოს წინაშე საქმის განხილვის არასაჯარო ხასიათი არც მომდევნო ეტაპზე იქნა გამოსწორებული, როცა საქმე განიხილა პარლამენტის შესაბამისმა პალატამ და საკონსტიტუციო სასამართლომ. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტს დაერღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, კერძოდ, მე-6(1) მუხლით გათვალისწინებული უფლება საქმის საჯარო განხილვაზე.<sup>155</sup>

მიღებული გადაწყვეტილების საჯაროობის კონტექსტში, საინტერესოა კალიფორნიის შტატის მაგალითი, აშშ-ის მაგალითები, სადაც გამოიყენება როგორც საჯარო, ასევე კონფიდენციალური სახდელები. ამ უკანასკნელის გამოყენების შემთხვევაში, კომისია ატყობინებს მოსარჩელეს, რომ შესაბამისი ზომები მიღებულ იქნა კონკრეტული მოსამართლის მიმართ, თუმცა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის სანქცია დაეკისრა მოსამართლეს კონკრეტულად, მოსარჩელეს არ მიეწოდება.<sup>156</sup>

## 5.1. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

კალიფორნიის შტატში, კონფიდენციალური სანქციის დაკისრების შესახებ, კომისია ინფორმაციას აქვეყნებს შემოკლებული სახით, მოსამართლის ვინაობის გამხელის გარეშე. კომისიის ყოველწლიურ ანგარიშებში მოცემულია საქმის მოკლე შინაარსი. კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, საქმის სხვა დეტალებიც შეიძლება გამოტოვებულ იყოს ან

<sup>153</sup> Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Gabriela Knaul A/HRC/23/43/Add.3, Mission to Maldives, 21 May 2013, par.46

<sup>154</sup> *Olujić v. Croatia*, par.75

<sup>155</sup> იგივე, par. 76

<sup>156</sup> იხ. კალიფორნიის შტატის მოსამართლეთა ქცევის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი [http://cjp.ca.gov/complaint\\_process.htm](http://cjp.ca.gov/complaint_process.htm)

ბუნდოვნად იყოს მოხსენიებული ანგარიშში. მართალია, ეს შემოკლებული შინაარსი ზოგჯერ ნაკლებ ინფორმატიულია, მაგრამ მათი მიზანი არის ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის და მოსამართლეთა დახმარება, რათა მათ თავი აარიდონ არასათანადო ქცევის ჩადენას. კომისიას მიაჩნია, რომ ამ მიზნისათვის უკეთესია, შემოკლებული სახით მაინც გამოქვეყნდეს საქმეები, ვიდრე ისინი საერთოდ არ გამოქვეყნდეს. საქმეების მოკლე შინაარსი დალაგებულია იმ ზომების მიხედვით, რომელიც დაეკისრა მსამართლეს. ის საქმეები, როცა მოსამართლემ არა ერთი, არამედ რამდენიმე არასათანადო საქციელი ჩაიდინა, მოცემულია ჩამონათვალის ბოლოს.<sup>157</sup>

## თავი 6: მოსამართლის იმუნიტეტი

სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს სისხლის სამართლებრივი დევნისა და სამოქალაქო სამართლებრივი სანქციისაგან მინიჭებული იმუნიტეტი წარმოადგენს.<sup>158</sup> მოსამართლის იმუნიტეტი კონსტიტუციით ან მისი თანაბარი ძალის მქონე აქტით უნდა იყოს გარანტირებული, ხოლო ამ იმუნიტეტის მოხსნის შესაბამისი პროცედურა ასევე გაწერილი უნდა იყოს კანონში.<sup>159</sup>

თუმცა, იმუნიტეტის ფარგლების განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მოსამართლის ქმედება, რომელიც ჩადენილია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს ან მასთან კავშირში, და ქმედება - რომელიც ჩადენილია მოსამართლის, როგორც რიგითი მოქალაქის მიერ, სამოსამართლო უფლებამოსილებისაგან დამოუკიდებლად.<sup>160</sup>

მოსამართლის იმუნიტეტი იმ დოზით, რა დოზითაც მას აღიარებს საერთაშორისო სამართალი, ფუნქციური ხასიათისაა, ე.ი. ვრცელდება მხოლოდ იმ მოქმედებებზე, რომელიც ჩადენილია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან კავშირში.<sup>161</sup> ქმედებისათვის, რომელსაც მოსამართლე სჩადის, როგორც რიგითი მოქალაქე (ე.ი. რომელიც არ არის კავშირში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან, მაგ. ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა), მას ისევე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სამოქალაქო, სისხლის თუ ადმინისტრაციული სამართალით გათვალისწინებული დარღვევისათვის, როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს.<sup>162</sup> რიგ ქვეყნებში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოსამართლისათვის, შეიძლება ასევე გახდეს მისთვის დისციპლინური სანქციის დაკისრების საფუძველი (მაგ. შვედეთი).<sup>163</sup>

<sup>157</sup> იგივე

<sup>158</sup> UN Basic Principles on the Independence of the Judiciary, (1985) Principles 16; Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, A/HRC/11/41, 24 March 2009, par. 66.

<sup>159</sup> Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 24 March 2009, par. 98.

<sup>160</sup> COE Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>161</sup> იგივე;

<sup>162</sup> იგივე. *იხ. ასევე* Magna Carta of Judges (Fundamental Principles) და Consultative Council of European Judges, Opinion no. 3 of the Consultative Council of European Judges (CCJE) to the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behaviour and impartiality [*hereinafter* CCJE (2002) Op. N° 3]

<sup>163</sup> Judicial Independence in Europe The Swedish, Italian and German Perspectives

## 6.1. მოსამართლის სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტი

როგორც უკვე აღინიშნა, როდესაც მოსამართლე სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის როგორც რიგითი მოქალაქე (ე.ი. თავისი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ), მას ჩვეულებრივად ეკისრება პასუხისმგებლობა და იგი არ სარგებლობს იმუნიტეტით.<sup>164</sup> როგორც CCJE-მ თავის ერთ-ერთ მოსაზრებაში განმარტა, როდესაც მოსამართლე სჩადის ქმედებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არის დანაშაული (მაგ. ქრთამის აღება), მას არ შეუძლია მოითხოვოს იმუნიტეტი შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან.<sup>165</sup> მოსამართლეებს აქვთ იმუნიტეტი მხოლოდ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას (ან მასთან კავშირში) ჩადენილი ქმედებებისათვის, გარდა განზრახი დანაშაულებისა (მაგ. კორუფცია)<sup>166</sup> არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი, როცა მოსამართლეს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებისათვის. კერძოდ, (არასწორად) ფაქტებისა თუ კანონის ინტერპრეტაციის ან მტკიცებულებათა შეფასებისათვის მოსამართლეს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, თუ მისი მხრიდან ადგილი აქვს განზრახვას.<sup>167</sup>

არაერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლისათვის სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული, მაგ. გამოძალვა ან კორუფცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სხვ. (მაგ. იტალია).<sup>168</sup>

## 6.2. მოსამართლის იმუნიტეტი ზიანის ანაზღაურების სარჩელებისაგან

მიჩნეულია, რომ კერძო პირს არ უნდა შეემდოს უშუალოდ მოსამართლის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა და კომპენსაციის მოთხოვნა. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მაშინ, როცა საქმე ეხება კერძო პირის მიერ მოსამართლის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას, გამართლებულად მიიჩნია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ. მან განმარტა, რომ სახელმწიფოს მხრიდან, მოსამართლეთა წინააღმდეგ, სარჩელების წარდგენის უფლების შეზღუდვა სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის ვალდებულების ლეგიტიმური მიზანია.<sup>169</sup>

<sup>164</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>165</sup> CCJE (2002) Op. no.3

<sup>166</sup> Venice Commission, Report on the Independence of the Judicial System – Part I: The Independence of Judges, CDL-AD(2010)004, para. 61.

<sup>167</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>168</sup> Judicial Independence in Europe The Swedish, Italian and German Perspectives (იტალიაში მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემისათვის არ გამოიყენება განსაკუთრებული პროცედურა, მხოლოდ არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც ის ვერ გასამართლდება იმ სასამართლოს მიერ, სადაც თავად იყო გამწესებული. საჩივრები, რომლებიც უკავშირდება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ ბრალდებას, ეგზავნება იუსტიციის მინისტრს, რომელსაც თავის მხივ შეუძლია ისინი გამოსადიებლად გადაუგზავნოს მოსამართლეთა ინსპექტორატს.)

<sup>169</sup> European Court of Human Rights, *X v. United Kingdom*, (Application no. [7215/75](#)), *Judgement*, 1981; *Golder v United Kingdom*, Series A, No. 18, 21 February 1975, (1979-80) (J. Fitzmaurice separate opinion,

ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს დისციპლინური სანქცია, ან რომ დაზარალებულ პირს არ აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების თუ სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან ეს უფლება საერთაშორისო სამართლითაა აღიარებული.<sup>170</sup> თუმცა, უფლება, დაიწყოს მოსამართლის წინააღმდეგ სამოქალაქო წარმოება, იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მოუწია მოსამართლის გადაწყვეტილების გამო კომპენსაციის გადახდა, უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს.<sup>171</sup> სახელმწიფოს შეუძლია მოსამართლისაგან მოითხოვოს, შეზღუდულ ფარგლებში და გარკვეული სამართლებრივი პროცედურის დაცვით, ამ ზიანისთვის გაღებული კომპენსაციის ანაზღაურება (ამოღება) მოსამართლისაგან, თუ ამ უკანასკნელის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამოსამართლო ვალდებულების მძიმე (სერიოზულ) და უპატიებელ დარღვევას.<sup>172</sup>

რიგი ქვეყნების კანონმდებლობით, დასაშვებია მოსამართლისათვის როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩადენილი ქმედების გამო. ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს, მაგალითად, იტალიისა და გერმანიის კანონმდებლობები.

**იტალიაში**, მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო სამართლებრივი სანქცია ზიანისათვის, რომელიც პირს მიადგა მოსამართლის გამიზნული ქმედების ან სერიოზული გაუფრთხილებლობის შედეგად, რასაც მოჰყვა მისთვის სამართლის წართმევა (denial of justice). თუმცა, ამასთანავე, მოსამართლეს არ შეიძლება პასუხი მოეთხოვოს კანონის, ფაქტების ან მტკიცებულებების არასწორი ინტერპრეტაციის გამო. ამ შემთხვევაში, გამოსწორების საშუალებას წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება. თუ გასაჩივრების შედეგად დადგინდება, რომ მოსამართლემ მაგ. არასწორად განმარტა კანონი, მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება სახელმწიფოს. სახელმწიფოს თავის მხრივ, უფლება აქვს, ერთი წლის ვადაში, დაზარალებულისათვის გადახდილი თანხა ამოიღოს მოსამართლისაგან. თუმცა, კანონით დადგენილია, რომ ეს თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს მოსამართლის თვითური ხელფასის ნახევარს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოქალაქეს ზიანი მიადგა მოსამართლის მიერ განზრახ ჩადენილი ქმედებით.<sup>173</sup>

**გერმანიაში**, მოსამართლეს, გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო სამართლებრივი სანქცია (ჯარიმა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას, მოსამართლემ ჩაიდინა სისხლისსამართლებრივი დანაშაული (მაგ. მართლმსაჯულების გამრუდება). ამგვარი სისტემა, აწესებს რა ძალიან მაღალ სტანდარტს, მიზნად ისახავს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვას. სახელმწიფოს გადახდილი

---

par.15).

<sup>170</sup> Beijing Statement of Principles of the Independence of the Judiciary in the LAWASIA Region, Introduction, adopted at the 6th Conference of Chief Justices, held in Beijing in August 1997)

<sup>171</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>172</sup> European Charter on the Status of Judges (1998).

<sup>173</sup> Judicial Independence in Europe The Swedish, Italian and German Perspectives

კომპენსაციის მოსამართლისაგან ამოღების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლემ ჩაიდინა განზრახი დარღვევა ან გამოიჩინა უხეში გაუფრთხილებლობა. იმისათვის, რომ მოქალაქეს ჰქონდეს უფლება მოითხოვოს მოსამართლისათვის სამოქალაქო წესით პასუხისმგებლობის დაკისრება, მან უნდა განახორციელოს გარკვეული ქმედებები. კერძოდ, გაასაჩივროს მოსამართლის გადაწყვეტილება ან განახორციელოს სხვა ქმედება, მიმართული მისთვის მიყენებული ზიანის შემცირებისაკენ.<sup>174</sup>

**შვედეთსა და ავსტრიაში**, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, (მაგ. პირის საპატიმროში საკმარსზე დიდი ხნით მოთავსება ან დატოვება) მოსამართლეს შეიძლება ფინანსური სანქცია დაეკისროს (ჯარიმა).<sup>175</sup> თუმცა, ამგვარ პრაქტიკას ცალსახად არ მიესალმებიან საერთაშორისო ექსპერტები.<sup>176</sup> ევროსაბჭოს მიერ შექმნილი ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) აზრით, “მოსამართლე არ უნდა იყოს იძულებული, იმოქმედოს ფინანსური სანქციის შიშის ქვეშ, რომლის არსებობამაც ქვეცნობიერად შესაძლოა მოსამართლის გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.”<sup>177</sup>

საბჭომ ასევე აღნიშნა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კერძო პირების საჩივარი შეიძლება გახდეს მოსამართლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი თუ დისციპლინური სამართალწარმოების წამოწყების საფუძველი, ასევე უნდა არსებობდეს შესაბამისი მექანიზმი. მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი სამართალწარმოება არ დაიწყოს ან შეწყდეს იმ შემთხვევებში, როცა არ არის სათანადო საფუძველი იმის სათქმელად, რომ მოსამართლეს ბრალი მიუძღვის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში.<sup>178</sup>

### 6.3. ქმედება, რომლისთვისაც მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა

მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის, სამართლებრივი შეცდომის, კანონის, ფაქტების თუ მტკიცებულებების (არასწორი) ინტერპრეტაციის, ან იმის გამო, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა.<sup>179</sup>

აღიარებულია, რომ **კანონის, ფაქტისა თუ მტკიცებულების ინტერპრეტაცია** წარმოადგენს მოსამართლის თავისუფალი მოქმედების სფეროს - მასში ჩარევა გაუმართლებელია.<sup>180</sup> დამოუკიდებელი მოსამართლის ფუნდამენტური უფლებაა, მოახდინოს კანონის იმგვარი ინტერპრეტაცია, როგორც მას მიაჩნია სწორად, მოცემულ შემთხვევაში.<sup>181</sup> შესაბამისად, მოსამართლისათვის დისციპლინური (და *a fortiori* სისხლისსამართლებრივი) სანქციების

<sup>174</sup> იგივე

<sup>175</sup> CCJE (2002) Op. N° 3.

<sup>176</sup> იგივე

<sup>177</sup> CCJE (2002) Op. no. 3.

<sup>178</sup> იგივე

<sup>179</sup> *Kyiv Recommendations*, par. 25; Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 24 March 2009, par. 58; Recommendation CM/Rec(2010)12, par. 66.

<sup>180</sup> Recommendation No. R (94) 12, principle 1., para 18 ; Venice Commission Opinion No. 408 / 2006.

<sup>181</sup> Expert Opinion on International Legal Standards Regarding Judicial Independence for the European Court of Human Rights in the case of Baltazar Gazron v. Spain, by Professor Carlos Ayala, Judge Azhar Cachalia, Param Cumaraswamy, Leandro Despouy, Professor Manfred Nowak, Professor Stefan Trechsel, [http://www.interights.org/userfiles/Annex\\_2\\_Judicial\\_Independence\\_files.pdf](http://www.interights.org/userfiles/Annex_2_Judicial_Independence_files.pdf)



დაკისრება, სამოსამართლო გადაწყვეტილების დროს, დაშვებული სამართლებრივი შეცდომისათვის, წარმოადგენს ჩარევას სასამართლოს დამოუკიდებლობაში.<sup>182</sup>

ასევე აღიარებულია, რომ არ შეიძლება მოსამართლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმის გამო, რომ მისი გადაწყვეტილება შეცვალა ან გააუქმა სხვა სასამართლო ინსტანციამ.<sup>183</sup>

#### 6.4. დოქტრინა “მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა”<sup>184</sup>

კანონის თუ ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება გახდეს მოსამართლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს გამონაკლისი აღიარებულია როგორც ევროპის, ასევე ამერიკის კონტინენტის სამართლებრივ სისტემებში. მაგალითად, **ევროსაბჭოს რეკომენდაცია** დასაშვებად მიიჩნევს მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ შემთხვევაში, თუ კანონის ინტერპრეტაციის, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასების დროს, ადგილი აქვს მოსამართლის მხრიდან ბოროტ განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას.<sup>185</sup> ამგვარი მიდგომის ევროპული სახელმწიფოების ეროვნულ სამართალში განმტკიცების მაგალითია უკრაინის კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს, რომ ზემდგომი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების გამო, მოსამართლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება დასაშვებია, როცა გადაწყვეტილება მოიცავს სამართლებრივი ნორმების განზრახ დარღვევას ან ვალდებულებების არასათანადოდ/გულგრილად შესრულებას.<sup>186</sup>

---

<sup>182</sup> Human Rights Committee, General Comment No. 32: Right to equality before courts and tribunals and to a fair trial, U.N. Doc. CCPR/C/GC/32 (2007); იხ. ასევე Human Rights Committee’s Concluding Observations on Vietnam, CCPR/CO/75/VNM(2002), par. 10, Concluding Observations on Uzbekistan CCPR/CO/71/UZB(2001), par. 14.) and Concluding observation on the Democratic People’s Republic of Korea (“the DPRK”) CCPR/CO/72/PRK(2001), para. 8 (მაგ. კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსამართლის მიმართ შესაძლებელი იყო სისხლისსამართლებრივი სანქციის გამოყენება “უსამართლო გადაწყვეტილებების” მიღებისათვის. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტმა განაცხადა: “ამგვარ ჩანაწერს კანონში აქვს უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვაზე და საფრთხის ქვეშ აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას.”

INTER-AMERICAN COURT OF HUMAN RIGHTS, CASE OF APITZ BARBERA ET AL. (“FIRST COURT OF ADMINISTRATIVE DISPUTES”) V. VENEZUELA, Judgment of August 5, 2008, (PRELIMINARY OBJECTION, MERITS, REPARATIONS AND COSTS); see also Principle A, para. 4 (n) 2 of the Principles and Guidelines on the Right to a Fair Trial and Legal Assistance in Africa, adopted as part of the African Commission’s activity report at 2nd Summit and Meeting of Heads of State of the African Union, held in Maputo, Mozambique, from 4 to 12 July 2003. (სასამართლო აღნიშნა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება იმ მოტივით, რომ მან ჩაიდინა “უპატიებელი სამართლებრივი შეცდომა” არღვევს სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფის თაობაზე.) იხ. ასევე UN Human Rights Committee’s Concluding Observations on Syria /C/SYR/CO/1(2010), para. 12; CAT, Concluding Observations on Armenia, (2000), par. 37(c).

<sup>183</sup> Case of *Apitz Barbera et al*, para. 84,

<sup>184</sup> კვლევის ეს თავი ეფუძნება სინტია გრეის სტატიას, რომელშიც მიმოხილულია აშშ-ს შესაბამისი ორგანოების პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. იხ. THE LINE BETWEEN LEGAL ERROR AND JUDICIAL MISCONDUCT: BALANCING JUDICIAL INDEPENDENCE AND ACCOUNTABILITY, Cynthia Gray, HOFSTRA LAW REVIEW (2004); [http://www.hofstra.edu/PDF/law\\_lawrev\\_Gray\\_vol32no4.pdf](http://www.hofstra.edu/PDF/law_lawrev_Gray_vol32no4.pdf) [hereinafter THE LINE BETWEEN LEGAL ERROR AND JUDICIAL MISCONDUCT (2004)]

<sup>185</sup> Recommendation CM/Rec(2010)12 .

<sup>186</sup> High Qualification Commission of Judges of Ukraine, Disciplinary Liability of a Judge, see at

ასევე საინტერესოა მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია, რომელიც ამბობს, რომ თითოეულ ინდივიდს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განსაკუთრებული ფორმალობის გარეშე, წარადგინოს სარჩელი სამართლის გამრუდების შესახებ, დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე. ამ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, საქმე გადასცეს სადისციპლინო ორგანოს, ან იმ ორგანოს, რომელსაც სადისციპლინო ორგანოსათვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.<sup>187</sup>

აშშ-ის კანონმდებლობითა და პრაქტიკით აღიარებულია, რომ სამართლებრივი შეცდომა, ცალკე აღებული, არ შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გარკვეული “დამატებითი ფაქტორები,” ეს უკვე შეიძლება გახდეს საფუძველი, რომ მოსამართლეს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.<sup>188</sup>

ერთ-ერთ საქმეში, მოსამართლეს სანქცია დაეკისრა, სხვა ქმედებებთან ერთად იმის გამო, რომ იგი სამუდამო პატიმრობით ან სიკვდილით დასჯით დაემუქრა პროცესის მონაწილე მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გადაიხდიდნენ დაკისრებულ ჯარიმას. მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ მუქარის გამოყენება, როდესაც ის აჭარბებს მოსამართლის უფლებამოსილებას, მიუღებელია მაშინაც კი, თუ მოსამართლეს სჯერა, რომ ამგვარი მუქარა ერთადერთი გზაა, რომ მხარეს მისი გადაწყვეტილების შესრულება აიძულოს.<sup>189</sup>

ერთ-ერთ საქმეში, მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვინაიდან მსჯელობაში, რომელიც მან გადაწყვეტილებაში დააფიქსირა, აშკარად გამოკვეთილი იყო სტერეოტიპული აზროვნება, რამაც ეჭვის ქვეშ დააყენა მისი მიუკერძოებლობა მხარეთა მიმართ. სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლეს შეუძლია კომენტარი გააკეთოს კონკრეტულ კანონთან დაკავშირებით, მათ შორის, გამოხატოს თავისი უარყოფითი შეხედულებაც, იმ პირობით, რომ ამით მისი პროფესიული მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება არ დაზარალდება.<sup>190</sup>

სხვა საქმეში, მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მან დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა, ჩართულიყვნენ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და კენჭი ეყარათ მოსამართლის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამგვარი საქციელით, მან შექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა რაღაც დამატებითი ფაქტორით, გარდა მის წინაშე წარმოადგენილი მტკიცებულებებისა. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამკისრებელმა ორგანომ განმარტა, რომ მოსამართლის მხრიდან, ამგვარი საქციელი ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი.<sup>191</sup>

ერთ-ერთ საქმეში, ამერიკის სასამართლომ, იმ საქმის განმხილველ მოსამართლესთან

---

<http://www.vkksu.gov.ua/en/disciplinary-proceedings/disciplinary-liability-of-a-judge/>

<sup>187</sup> European Charter on the statute for judges (1998)

<sup>188</sup> THE LINE BETWEEN LEGAL ERROR AND JUDICIAL MISCONDUCT (2004)]

<sup>189</sup> re Hammermaster, 985 P.2d 924 (Wash. 1999)

<sup>190</sup> Gaeta, Order, (N.J. Sup. Ct. May 7, 2003).

<sup>191</sup> In re Best, 719 So. 2d 432, 435 (La. 1998).

დაკავშირებით, რომელიც ზემდგომმა ინსტანციამ შეცვალა, განაცხადა, რომ მართალია მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამართლებრივ შეცდომას, მაგრამ ეს, იმავდროულად, არ იყო მისი მხრიდან დისციპლინური სამართალდარღვევა. სასამართლოს არგუმენტი ამ გადაწყვეტილებისას იყო ის, რომ კანონმდებლობა არ იძლეოდა ნათელ მითითებას, როგორ უნდა მოქცეულიყო იმ შემთხვევაში მოსამართლე და მოსამართლეებს მართლაც შეიძლებოდა სხვადასხვაგვარად გადაეწყვიტათ ეს საკითხი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია იმ საქმეში მოსამართლემ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა, მარამ ეს განპირობებული იყო მოსამართლის კარგი განზრახვით, მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების და თავად ინდივიდის ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია ინდივიდის კონსტიტუციური უფლებების შელახვა.<sup>192</sup>

სამართლებრივი შეცდომა იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დისციპლინური გადაცდომა თუ:

1. **მოსამართლის მოქმედება ეწინააღმდეგება ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ნორმას**, რომლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება ან აზრთა სხვადასხვაობა.<sup>193</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ გონიერი და კომპეტენტური მოსამართლე ჩათვლის, რომ ქმედება, რომელიც განიხილება, ყველა სიტუაციაში არის აშკარად და სერიოზულად არასწორი, მაშინ მისი ჩადენისათვის მოსამართლეს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. სამართლებრივი შეცდომა არ არის დისციპლინური გადაცდომა იმ შემთხვევაში, როცა ის არ არის აშკარად არასწორი ან მის სისწორესთან/კანონიერებასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.<sup>194</sup>
2. **სამართლებრივი შეცდომა წარმოადგენს შეცდომების მთელი წყების ნაწილს**. კერძოდ, თუ მოსამართლე განმეორებით (რამდენჯერმე) უშვებს სამართლებრივ შეცდომას (მაგ. აკისრებს პირს სანქციას, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით), მაშინ მან პასუხი უნდა აგოს დისციპლინური წესით.<sup>195</sup> თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, რამდენი შეცდომაა საჭირო იმის დასადგენად, რომ ჩადენილია შეცდომების მთელი წყება.<sup>196</sup> ერთ-ერთ საქმეში განმარტებულ იქნა, რომ შეცდომათა წყების დადგენისათვის, არ არის აუცილებელი, რომ მოსამართლემ დაუშვას ერთი და იგივე შეცდომა.<sup>197</sup>

<sup>192</sup> In re Curda, 49 P.3d 255 (Alaska 2002).

<sup>193</sup> 705 So. 2d 172 (La. 1997).

<sup>194</sup> 487 A.2d 1158 (Me. 1985).

<sup>195</sup> THE LINE BETWEEN LEGAL ERROR AND JUDICIAL MISCONDUCT (2004) (მაგალითად, ასეთი შეცდომებია: გაცხადება, რომ ბრალდებული თანახმაა უარი განაცხადოს თავის უფლებებზე სწრაფი მართლმსაჯულების მიღების სანაცვლოდ იმ პირობებში, როცა მოსამართლეს არ მიუღია ბრალდებულის დოკუმენტურად დადასტურებული უარი უფლებებზე, არასისხლისსამართლებრივ საქმეებში პირის უკანონოდ ციხეში ჩასმა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის გადახდა, მოსამართლის უმოქმედობა ბრალდებულისათვის სისხლის სამართლის საქმეში განემარტა მისი საპროცესო და კონსტიტუციური უფლებები და სხვ.)

<sup>196</sup> THE LINE BETWEEN LEGAL ERROR AND JUDICIAL MISCONDUCT (2004)

<sup>197</sup> 837 So. 2d 1257 (La. 2003) (ამ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ცალკე აღებული ეს შეცდომები

3. **შეცდომა დაშვებულია ცუდი (არასათანადო) განზრახვით.** ეს ნიშნავს ქმედებას, რომელსაც მოსამართლე სჩადის თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა არასათანადო მოტივით, ანუ მოტივით, რომელიც განსხვავდება სამოსამართლო ვალდებულების კეთილსინდისიერად განხორციელებისაგან. როცა აშკარაა და დამაჯერებლად იკვეთება ის გარემოება, რომ მოსამართლის ქმედება ჩადენილი იყო ცუდი განზრახვით, მიკერძოებით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ფუნდამენტური უფლებების დარღვევით, კანონის განზრახ იგნორირებით ან რაიმე სხვა მოტივით, რომელიც არ არის დაკავშირებული სამოსამართლო უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელებასთან.<sup>198</sup> ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ ჩადენილ იქნას რამდენიმე შეცდომა ასეთი განზრახვით. ერთი სამართლებრივი შეცდომაც კი, რომელიც არასათანადო მოტივითაა ჩადენილი ან წარმოადგენს კანონის განზრახ დარღვევას, წარმოადგენს დისციპლინური სანქციის დაკისრების საფუძველს.<sup>199</sup>
4. **შეცდომა არის აშკარა/მძიმე/გამოუსწორებელი (egregious legal mistake)** - ეს არის ისეთი ტიპის შეცდომა, რომლისათვისაც გამართლებულია როგორც მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება, ასევე მოსამართლისათვის დისციპლინური სანქციის დაკისრების მოთხოვნა.<sup>200</sup> აშკარა/გამოუსწორებელი შეცდომა სუბიექტური ტერმინია და შემდგომ განმარტებას საჭიროებს. ყველაზე ნათელი მაგალითი ამ შეცდომის არის პირისთვის კონსტიტუციური უფლების წართმევა.<sup>201</sup> ერთი ასეთი შეცდომაც კი შესაძლოა გახდეს დისციპლინური გადაცდომა.<sup>202</sup>

დაბოლოს, დოქტრინა “მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა” აღიარებული აქვს ასევე ინტერ-ამერიკულ სსამართლოს თავის ერთ-ერთ საქმეში, რომელმაც განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემფასებელი დაასკვნის, რომ მოსამართლის მიერ დაშვებულია უპატიებელი სამართლებრივი შეცდომა, ცალკე აღებული ასეთი შეცდომა ვერ გახდება მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად - სამართლებრივ შეცდომასთან ერთად - უნდა გამოიკვეთოს სხვა ავტონომიური საფუძველი.<sup>203</sup>

---

არ იყო მძიმე ან ჩადენილი ბოროტი განზრახვით, მაგრამ ერთად აღებული ისინი შეადგენდნენ შეცდომების ერთსადაიმთხვე ტიპს - მოსამართლემ ამ შეცდომების დაშვებით ვერ დაიცვა და გამოიყენა კანონი.) იხ. ასევე *In re Quirk*, 705 So. 2d 172, 178 (La. 1997).

<sup>198</sup> 975 P.2d 663 (Cal. 1999).

<sup>199</sup> *Comm'n on Judicial Performance v. Lewis*, 830 So. 2d 1138 (Miss. 2002)

<sup>200</sup> EFFREY SHAMAN, ET AL., *JUDICIAL CONDUCT AND ETHICS*, § 2.02 (3d ed. 1995).

<sup>201</sup> *THE LINE BETWEEN LEGAL ERROR AND JUDICIAL MISCONDUCT* (2004)

<sup>202</sup> See *Quirk*, 705 So. 2d at 178. ავტორი, *In re Landry*, 789 So. 2d 1271 (La. 2001), *illiams*, *Determination* (N.Y. State Comm'n on Judicial Conduct Nov. 19, 2001); *Radcliffe*, *Order* (Ill. Cts. Comm'n Aug. 23, 2001). მაგალითად, ასეთი შეცდომაა, როცა მოსამართლე პროცესს წარმართავს საპროცესო ნორმების დარღვევით, მაგ. სამოქალაქო პროცესის წარმართვა შეჯიბრებითობის პრინციპის უგულვებელყოფით/დარღვევით, ან როცა მოსამართლე პროცესზე დამსწრე ბრალდებულს არ მისცემს პოზიციის დაფიქსირების უფლებას.

<sup>203</sup> *Inter-American Court of Human Rights Case of the Constitutional Court v. Peru*, Judgment of January 31, 2001

(*Merits, Reparations and Costs*, paras. 74 -85.

## 6.5. ზღვარი მოსამართლის დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის

ვენეციის კომისიის რეკომენდაცია მხარს უჭერს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მკაცრად გამიჯვნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემისაგან.<sup>204</sup> ეს ასევე გულისხმობს, რომ დისციპლინურ ორგანოს უნდა შეეძლოს თავად, სისხლისსამართლის საქმისაგან დამოუკიდებლად დაადგინოს ფაქტები ამა თუ იმ საქმეში.<sup>205</sup> მეორე მხრივ, მართალია, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას გაამართლებენ სისხლის სამართლის საქმეზე ან მის მიმართ მიმდინარე საქმე შეწყდება, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, დისციპლინურმა სამართალწარმოებამ მოსამართლის მიმართ არ უნდა შელახოს მოსამართლის უდანაშაულობის პრეზუმფცია.<sup>206</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის ან ფაქტის არასწორი ინტერპრეტაცია ან გამოყენება (შეფარდება), გარკვეული დამატებითი გარემოებების არსებობა, შეიძლება გახდეს მოსამართლის არამხოლოდ დისციპლინური, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან ფინანსური სანქციის დაკისრების საფუძველი. პასუხისმგებლობის რომელი სახის გამოყენებაა უპრიანი (დასაშვები) ამგვარ სიტუაციაში, ამაზე გარკვეული მითითებაა მოცემული ევროსაბჭოს რეკომენდაციაში; რეკომენდაცია აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაცია, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება შეიძლება გახდეს დისციპლინური ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მხრიდან ჩადენილია უხეში გაუფრთხილებლობა (gross negligence) ან განზრახვა (malice).<sup>207</sup> კანონის ინტერპრეტაცია, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება შეიძლება გახდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს განზრახვას (malice).<sup>208</sup>

## თავი 7: სხვა საკითხები

### 7.1. მოსამართლის მიჩნევა სახდელდაუდებლად, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ

დისციპლინური სანქციის დაკისრების შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, აისახება მოსამართლის პირად საქმეში. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, გარკვეული დროის შემდეგ, ეს ინფორმაცია იშლება საქმიდან. მაგალითად, **ბულგარეთში** დისციპლინური სანქცია, გარდა თანამდებობიდან გათავისუფლებისა, მისი მოხდიდან ერთ წელიწადში იშლება. დისციპლინური სანქციის დამკისრებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, შეიძლება უფრო ადრეც წაიშალოს, თუმცა სანქციის დაკისრებიდან არანაკლებ 6 თვისა, იმ პირობით, რომ დროის მოცემულ მონაკვეთში, მოსამართლეს სხვა დარღვევა არ ჩაუდენია. **გერმანიაში** ასევე ხდება

<sup>204</sup> Venice Commission Opinion no. 755 / 2014

<sup>205</sup> European Court of Human Rights, *Allen v. the United Kingdom [GC]*, no. 25424/09 [GC], (2013)

<sup>206</sup> Venice Commission Opinion no. 755 / 2014

<sup>207</sup> Recommendation CM/Rec(2010)12

<sup>208</sup> იგივე

ამ ინფორმაციის წაშლა ფაილიდან. მაგალითად, ქვემო საქსონიაში (Lower Saxony), ჯარიმის დაკისრების შესახებ ინფორმაცია 3 წლის შემდეგ იშლება, ხოლო მოსამართლის თანამდებობრივი დაქვეითების შესახებ ინფორმაცია - 7 წლის მერე და სხვ. ჩებეთში, დისციპლინური სახდელდაკისრებული პირი 5 წლის გასვლის შემდეგ აღარ ითვლება სახდელდადებულად. ანალოგიურ შესაძლებლობას ითვალისწინებს უკრაინის კანონმდებლობაც.

სასურველია, კანონი ითვალისწინებდეს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მოსამართლე ჩაითვალოს სახდელდაუდებლად, თუ ამ პერიოდის განმავლობაში მას არ ჩაუდენია სხვა დისციპლინური გადაცდომა.<sup>209</sup>

ზემოაღნიშნულის მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ თუ მოსამართლე ითვლება სახდელდადებულად, ამას გარკვეული უარყოფითი გავლენა აქვს მის კარიერაზე. მაგალითად, უნგრეთში, დაუშვებელია სახდელდადებული მოსამართლის დაწინაურება, ხელფასის მომატება, უფრო მაღალი სამოსამართლო სტატუსის მინიჭება, პრემიების და სხვა წამახალისებელი ღონისძიებების მიღება.<sup>210</sup> მოლდოვის კანონმდებლობის შეფასებისას, რომელიც კრძალავდა სახდელდადებული მოსამართლის გადაყვანას სხვა სასამართლოში, მის დაწინაურებას სხვა სასამართლოში ან თავისივე სასამართლოში სასამართლოს თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ დანიშვნას, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ დაწინაურების აკრძალვა ასეთ შემთხვევაში სავსებით გასაგები იყო, განსხვავებით სხვა სასამართლოში გადაყვანის აკრძალვისაგან.<sup>211</sup>

## **7.2. უკანონოდ გათავისუფლებული მოსამართლის თანამდებობაზე აღდგენის ვალდებულება**

საერთაშორისო სამართლით აღიარებულია, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი მისი უფლებამოსილების ვადის ხელშეუხებლობა (Security of tenure) და მოსამართლის მოხსნის აკრძალვაა (irremovability), გარდა ძალიან მცირე გამონაკლისებისა (მაგ. დისციპლინური გადაცდომის ჩადენა).<sup>212</sup>

ამგვარად, ვადის ამოწურვამდე, მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა გარანტირებული უნდა ჰქონდეს. ამ პრინციპზე დაყრდნობით, ინტერამერიკულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს იმ მოსამართლეთა აღდგენა თანამდებობაზე, რომლებიც თვითნებურად და/ან უკანონოდ ჩამოაშორეს უფლებამოსილებას. აღდგენა

<sup>209</sup> Comparative EU Law Study on Courts Inspection Service and Disciplinary Liability

<sup>210</sup> Comparative EU Law Study on Courts Inspection Service and Disciplinary Liability, Higgins, John, European Journal of Comparative Law, Vol. 12 (2011), [*hereinafter* Comparative EU Law Study on Courts Inspection Service and Disciplinary Liability]

<sup>211</sup> Recommendation CM/Rec(2010)12, იხ. ასევე, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) DIRECTORATE OF HUMAN RIGHTS (DHR) OF THE DIRECTORATE GENERAL OF HUMAN RIGHTS AND RULE OF LAW OF THE COUNCIL OF EUROPE, OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR), JOINT OPINION ON THE DRAFT LAW ON DISCIPLINARY LIABILITY OF JUDGES OF THE REPUBLIC OF MOLDOVA, Opinion no. 755 / 2014

<sup>212</sup> იხ. მაგ Recommendation CM/Rec(2010)12)

უნდა მოხდეს იმავე თანამდებობაზე, რომელიც გათავისუფლებულ მოსამართლეს ეკავა გათავისუფლებამდე. მას უნდა აღუდგეს იგივე ჩინი თუ კლასი, ხელფასი და სოციალური გარანტიები, რაც გათავისუფლებამდე ჰქონდა.<sup>213</sup> თუ ამგვარი ვალდებულება არ იარსებებს, სახელმწიფოებს ექნებათ შესაძლებლობა ჩაერიონ სასამართლო ხელისუფლებაში კონტროლის გარეშე და ისე, რომ ამისათვის არ გადაიხადონ მძიმე საფასური. ამასთან, ამგვარ საქციელს, სახელმწიფოს მხრიდან, შეუძლია შიში დათესოს სხვა მოსამართლეებს შორის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი კოლეგები უკანონოდ იქნებიან გათავისუფლებული, არ მოხდება მათი თანამდებობებზე აღდგენა. ამ შიშმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, რადგან ამგვარი გარემოს გამო, მოსამართლეებმა შეიძლება შეასრულონ მითითებები/ინსტრუქციები ან თავი შეიკავონ იმ ორგანოებისაგან განსხვავებული პოზიციის დაფიქსირებისაგან, რომელიც აქვთ დისციპლინური სამართალწარმოების დამწყებ ორგანოს და იმ ორგანოს, რომელიც აკისრებს სანქციებს. ამგვარად, საშუალებას, რომელსაც შეუძლია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების უკანონობა დაადგინოს, აუცილებლად უნდა მოჰყვეს თანამდებობაზე აღდგენა.<sup>214</sup>

---

<sup>213</sup> *Apitz-Barbera et al. ("First Court of Administrative Disputes") v. Venezuela*, IACHR, Merits, Reparations and Costs, 5 August 2008, par. 55

<sup>214</sup> *Case of Reverón Trujillo v. Venezuela* Judgment of June 30, 2009, IACHR, (*Preliminary Objection, Merits, Reparations, and Costs*), par. 83

### ნაწილი III

#### მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზი

კვლევის ეს თავი შეეხება მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზს. ანალიზი მიზნად ისახავს, ბოლო წლებში განვითარებული ტენდენციების იდენტიფიცირებას და გაანალიზებას, რაც მოსამართლის პასუხისმგებლობის სისტემის უკეთ გააზრებისთვის საჭირო კომპონენტია.


მოსამართლის პასუხისმგებლობა, ამ თავის მიზნებისთვის, მოიცავს როგორც მოსამართლის დისციპლინურ, ისე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში, წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია როგორც დისციპლინური, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრაქტიკის შესახებ.

პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზისთვის, საინტერესოა რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2012 და 2013 წლებში, სასამართლო სისტემიდან პირადი განცხადების საფუძველზე არ წასულა არც ერთი მოსამართლე. მაშინ, როცა წინა წლებში, კერძოდ 2004 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, მოსამართლეთა გარკვეული რაოდენობა ყოველ წელს ტოვებდა სისტემას, საკუთარი განცხადებით.<sup>215</sup> კანონის მიხედვით, მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტა წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.<sup>216</sup> კანონის ამგვარი დანაწესი, შესაძლოა, გასათვალისწინებელი იყოს სტატისტიკური მონაცემების გააზრებისას.

<sup>215</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 29 იანვრის წერილი #163/1754/1755/122-03-ო

<sup>216</sup> “მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლი





თავი 1: მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა 2012-2013 წლებში

დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკის ანალიზი ყოველთვის განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიდა იმის გამო, რომ დისციპლინური საქმის როგორც პროცესი, ისე შედეგები, კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენდა. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის კონფიდენციალურობა გამორიცხავდა ნებისმიერი სახის ზედამხედველობას მონიტორინგს პროცესზე. კვლევის ავტორებთან ინტერვიუში, არამოსამართლე რესპონდენტის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შეფასებისას აღინიშნა, რომ „დისციპლინურ სამართალწარმოებაზე (2005-2011 წლებში) აკადემიური და ექსპერტული შეფასებები არ არსებობს, ვინაიდან ეს იყო დახურული სისტემა და ძალიან ეპიზოდური და ფრაგმენტული კომენტარები არსებობს ამ სისტემაზე“.

კანონმდებლობაში, 2012 წლის მარტში, განხორციელებული ცვლილებებით, შესაძლებელი გახდა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობა, ვინაიდან კანონმა შესაბამისი სუბიექტები დაავალდებულა გამოექვეყნებინათ გადაწყვეტილებები. 2012 წელს განხორციელებული ცვლილება არსებითად მნიშვნელოვანი და გამართლებული სამართლებრივი რეფორმა იყო, რამაც ღია გახადა სისტემა გარე მეთვალყურეობისა და საზოგადოებრივი კონტროლისთვის. თუმცა, პრობლემად დარჩა დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკის განვითარების ტენდენციების კვლევა. საჯაროდ არსებული მასალა არ ქმნის საკმარის შესაძლებლობას, რომ შეფასდეს როგორ იცვლებოდა პრაქტიკა წლების განმავლობაში. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, შეუძლებელია იმის განსაზღვრა შეუწყო თუ არა ხელი სისტემის გახსნილობამ დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში დასაბუთებისა და ობიექტურობის გაზრდას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევის განხორციელების დროს, სადისციპლინო კოლეგიის ორმა არამოსამართლე წევრმა მოამზადა პრაქტიკის განხორციელების

დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2007-2013 წლების პრაქტიკას. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დისციპლინური პრაქტიკის ყველაზე ვრცელ ანალიზს, რომლის შედეგად ასევე გამოყენებულია მოცემულ კვლევაში. თუმცა, პრაქტიკის გაანალიზება ემყარება იმ საჯაროდ ხელმისაწვდომ გადაწყვეტილებებს, რომელიც 2012 წლიდან ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

**2012 წლიდან დღემდე, საჯაროდ გამოქვეყნებულია სადისციპლინო კოლეგიის 6 გადაწყვეტილება. აქედან, 4 გამოქვეყნებულია 2012 წელს, 2 კი - 2013 წელს.**

მიუხედავად იმისა, რომ გასაანალიზებელი მასალა მწირია, ის მაინც აჩვენებს პრაქტიკის ძირითად მიმართულებებს. მნიშვნელოვანი გარემოება დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არის ის, რომ 2012-2013 წლებში, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები მიღებულია კოლეგიის არამოსამართლე წევრების მონაწილეობის გარეშე. გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ ისინი მიღებულია მხოლოდ კოლეგიის მოსამართლე წევრების მონაწილეობით.

### *1.1. 2012 წლის დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკა*

2012 წელს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შევიდა 844 საჩივარი. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, შესწავლილი განცხადებებიდან მხოლოდ 11 საქმეზე ჩამოერთვათ მოსამართლეებს ახსნა-განმარტება. 201 დისციპლინურ საქმეზე შეწყდა დისციპლინური დევნა, 600 ერთეულზე მეტი საჩივარი/განცხადება კი სხვა დოკუმენტაციასთან გაერთიანდა. ხოლო რამდენიმე ერთეული საქმის შესწავლა 2013 წელში გადავიდა. იმ 11 საქმიდან, რომელშიც მოსამართლეს ახსნა-განმარტება ჩამოერთვა, 4 შემთხვევაში მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისმგებაში და შესაბამისად, აღნიშნული საქმეების განხილვა გაგრძელდა სადისციპლინო კოლეგიის ფორმატში.<sup>217</sup>

კანონმდებლობის მიხედვით, საბჭოში საქმეთა განხილვის ეტაპი საჯარო არ არის. შესაბამისად, უცნობია იმ საქმეთა სპეციფიკა, რომელმაც სადისციპლინო კოლეგიამდე ვერ მიაღწია. გამომდინარე იქედან, რომ შესული საჩივრების დიდი ნაწილი საბჭოში განხილვის ეტაპზევე სრულდება, ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესია საქმეთა ამ ნაწილის მიმართ. თუმცა, ამ ეტაპზე, საბჭოს არ აქვს ამ საქმეებთან მიამრთებით ინფორმაციის დამუშავებისა და გამოქვეყნების ვალდებულება, ან საჯაროობის სხვა ფორმებით უზრუნველყოფის ვალდებულება. მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ შექმნას ამ საქმეების შესახებ ინფორმაციის დამუშავების ერთიანი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მათ შორის, ეს შეიძლება იყოს პრაქტიკის განხორციელების პერიოდული ანგარიშები.

#### **➤ დისციპლინური გადაცდომის სახეები**

2012 წელს, სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული 4 საქმიდან, **3 შემთხვევაში დისციპლინური დევნის საფუძვლად საბჭომ გამოიყენა მოსამართლის მოვალეობების**

<sup>217</sup> სტატისტიკური ინფორმაცია იხილეთ აქ: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/statistika%20%202012.pdf>

არაჯეროვნად შესრულება. 1 შემთხვევაში კი, როდესაც კოლეგიამ შეწყვიტა დისციპლინური საქმის წარმოება, დისციპლინური გადაცდომის საფუძველად მითითებული იყო მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა.<sup>218</sup> სამივე საქმეში, რომელშიც მოსამართლის დევნა მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების საფუძველზე მიმდინარეობდა, სადისციპლინო კოლეგიამ დაადგინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და მოსამართლის ბრალეული ქმედება. ერთ შემთხვევაში კი, პირის რეზერვიდან ამორიცხვის გამო, შეწყვიტა საქმის წარმოება.

იმ სამი საქმიდან, რომელიც არაჯეროვნად შესრულებას ეხებოდა, ორ საქმეში დავის საგანი იყო საქმის განხილვის ვადები. ორივე საქმეში, კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევას.

საინტერესოა ტენდენცია, რომელიც დისციპლინური გადაცდომის საფუძველებს უკავშირდება. 2012 და 2013 წლებში, განხილული საქმეების სრული უმრავლესობა (6 საქმიდან 5 საქმე) მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების საფუძველს ემყარება. ეს არის დისციპლინური გადაცდომის საფუძველი, რომელსაც დღეს სასამართლო სისტემის არაერთი წარმომადგენელი აკრიტიკებს და მოითხოვს, რომ გადაცდომის ეს სახე შეიცვალოს ან ამოღებული იქნას. ამ დისკუსიაში, ნორმის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი მის ბუნდოვანებაში მდგომარეობს. კერძოდ, ისინი ვინც ამ საფუძველის გაუქმებას მოითხოვენ, ფიქრობენ, რომ ამგვარი ფორმულირების კანონში არსებობა ქმნის შესაძლებლობას, რომ დისციპლინური ორგანო შეიჭრას სამოსამართლო უფლებამოსილების თავისუფლების ფარგლებში და შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან/და ნორმის ინტერპრეტაცია. აღნიშნული საფრთხეები სავსებით რეალურია, თუმცა დისკუსიის დროს, გასათვალისწინებელია ის სტატისტიკური მონაცემიც, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ბოლო 2 წლის პრაქტიკა მიუთითებს, რომ მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება დისციპლინური დევნის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს. მაშინაც კი, როდესაც საქმის გარემოებები ვადების გაჭიანურების პრობლემებზე მიუთითებდა, საქმის კვალიფიკაცია სწორედ არაჯეროვანი შესრულებით ხდებოდა. ამ კვლევის მიზანი კვალიფიკაციის სიზუსტის შემოწმება არ არის, მითუმეტეს იმ მწირი მასალის ფონზე, რაც კვლევის ავტორებს გააჩნიათ. თუმცა, ფაქტია, რომ თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ისე როგორც სადისციპლინო კოლეგიის 3 მოსამართლე წევრი, ყველაზე აქტიურად სწორედ ამ საფუძველით განიხილავდა საქმეს და ადგენდა კიდევ ამ ტიპის დისციპლინური გადაცდომის ჩადენას.

იმ დისკუსიის ფარგლებში, რომელიც დისციპლინური გადაცდომის საფუძველებთან დაკავშირებით მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური საქმეების განხილვაში ჩართულმა პირებმა (როგორც კოლეგიის, ისე საბჭოს ძველმა და ახალმა წევრებმა) განმარტონ გადაცდომის რომელ სახეს რა მნიშვნელობა ენიჭებოდა და რატომ იყო საჭირო საქმეთა უმეტესობის კვალიფიკაცია “მოვალეობების არაჯეროვან შესრულებად”. სხვა შემთხვევაში რთული იქნება შინაარსობრივი დისკუსია ამ თემაზე.

➤ *მოსამართლის მონაწილეობა საქმის განხილვაში*

<sup>218</sup> 2012 წლის 27 მარტის ცვლილებებამდე, კანონის უხეში დარღვევა წარმოადგენდა დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს

გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების ანალიზიდან არ იკვეთება, რომ სადისციპლინო კოლეგიამ დაიბარა და მოუსმინა მოსამართლეს, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა დევნა, მაშინ როდესაც, ყველა გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ კოლეგიამ “განიხილა დისციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, **მოუსმინა დისციპლინური ბრალდების მხარეს**, დადგენილად მიიჩნია დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი მხარე”. კანონის თანახმად, “მოხსენების მოსმენის შემდეგ, სიტყვა ეძლევათ მხარეებს, პირველად – მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი ორგანოს წარმომადგენელს დისციპლინური ბრალდების წასაყენებლად, შემდეგ – **დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, წაყენებულ ბრალდებაზე საპასუხოდ.**” კანონი მოსამართლეს აძლევს უფლებას დაიცვას საკუთარი თავი და ინტერესები და სურვილის შემთხვევაში, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებითაც. წარმომადგენდნენ თუ არა მოსამართლეები თავად საკუთარ ინტერესებს კოლეგიის წინაშე, ამის თქმა ცალსახად რთულია, ფაქტია, რომ კოლეგიის გადაწყვეტილებები მითითებას არ აკეთებს მოსამართლის მოწვევის და მის მიერ განმარტებების გაკეთების შესახებ.

ანალოგიური მითითება გააკეთა, აღნიშნულ საკითხზე, ერთ-ერთმა რესპონდენტმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ *“მინუსია ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებაში ვერ ვკითხულობთ ახსნა-განმარტებას, იშვიათია გადაწყვეტილება, სადაც წერია თუ რა თქვა მოსამართლემ. კანონი ითხოვს, რომ მოსამართლის ახსნა-განმარტება იყოს გადაწყვეტილების ნაწილი, ვინც წაიკითხავს, იცოდეს თუ რა იყო მოსამართლის პოზიცია, ძალიან ბევრ გადაწყვეტილებაში არ ჩანს მოსამართლის პოზიცია, მოსამართლემ ცნო თუ არა თავი ბრალეულად, შეეწინააღმდეგა, წარმოადგინა კონტრარგუმენტები.*“ რესპონდენტის აზრით, ეს არის გადაწყვეტილების ხარვეზი.

შესაძლოა მოსამართლეებს მონაწილეობა მიეღოთ საქმეების განხილვაში, თუმცა მათი პოზიციები და განმარტებები გადაწყვეტილებებში საერთოდ არ ფიქსირდება. შესაბამისად, გადაწყვეტილების ტექსტები მხოლოდ დევნის მხარის არგუმენტებზე მიუთითებს. რაც შეეხება პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის ინტერესების წარმოდგენას დამცველის მეშვეობით, სადისციპლინო კოლეგიიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2007 წლიდან დღემდე, დამცველის დახმარებით არ უსარგებლია არც ერთ მოსამართლეს.<sup>219</sup>

#### ➤ მტკიცების სტანდარტი დისციპლინურ საქმეებში

კიდევ ერთი თემა, რომელიც გადაწყვეტილებების ანალიზიდან იკვეთება, არის მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხი. გადაწყვეტილებების შინაარსი არ მიუთითებს რა მტკიცებულებების გამოკვლევა მოხდა სადისციპლინო კოლეგიის მიერ, რა სტანდარტით იქნა დამტკიცებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენა ან რა მტკიცებულებებს დააყრდნო კოლეგიამ საკუთარი გადაწყვეტილება. ზოგადად, ბუნდოვანია რა მტკიცებულებათა სტანდარტით ხელმძღვანელობდა კოლეგია გადაწყვეტილებების მიღების დროს. ერთ-ერთი მოსამართლე რესპონდენტი, აღნიშნავს, რომ *„მისი დისციპლინური საქმის გამოკვლევის დროს, არც ერთ შემთხვევაში, საბჭომ არ გამოარკვია,*

<sup>219</sup> საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის წერილი, # 7/03

რა იყო პატივსადები მიზეზი ვადების გადაცილების, არც ის გამოკვლეულა სულ რამდენი საქმე ჰქონდა 3 წლის მანძილზე, საბჭოს არაფერზე არ უმსჯელია. არც იმაზე იმსჯელა, რომ რთული საქმე იყო და მართლა პრეცედენტული, არც იმაზე, ვადა როგორ უნდა ათვლილიყო. სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იყო საბჭოს მიერ დევნის აღძვრის დადგენილების კოპირება. საბჭოს მიერ გამოტანილ დევნის აღძვრის დადგენილებაში, მისი არც ერთი არგუმენტი არ იყო გაბათილებული”.

## 1.2. 2013 წლის დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკა

2013 წელს, საბჭოში, სათანადო ფორმის დაცვით, შევიდა 239 დისციპლინური საჩივარი.<sup>220</sup> ეს რიცხვი მკვეთრად განსხვავდება წინა წლებში შესული საჩივრების რაოდენობისგან და დამატებითი ანალიზი სჭირდება. საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 213 საქმეზე სამართალწარმოება ჯერ დასრულებული არ არის, რაც 2013 წელს საქმეთა განხილვის საკმაოდ დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

საინტერესოა, რატომ შენედა საბჭოში დისციპლინური საქმეების განხილვა. მსჯელობისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის კონტექსტი, რაც 2013 წელს შეიქმნა. მათ შორის, ახალი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირება, საბჭოში ცალკეული გადაწყვეტილების მიღებისას კრიზისული მდგომარეობა და ახალი საბჭოს შემადგენლობის კონსენსუსუნარიანობის მინიმალური მაჩვენებელი და სხვა. ასევე, უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დისციპლინური გადაცდომის ყველა საფუძვლის გაუქმებას, გარდა ეთიკის ნომრების დარღვევისა. ამ კანონპროექტის მიხედვით, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მიღებამდე ყველა სხვა საფუძვლით დაწყებული საქმეები შეწყდებოდა. ცხადია, ცალკე-ცალკე აღებული, არც ერთი გარემოება არ არის საკმარისი დისციპლინური საქმეების მიმართ, საბჭოს ინერტულობის ანალიზისთვის, თუმცა ერთიანობაში, ეს გარემოებები ქმნის კონტექსტს, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა საქმეთა განხილვის მაჩვენებელზე.

### ➤ არსებითი განსხვავებები კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში

2013 წლის განმავლობაში, მხოლოდ 4 დისციპლინურ საქმეში ჩამოერთვა ახსნა-განმარტება მოსამართლეს. აქედან, კოლეგიამ განიხილა 2 დისციპლინური საქმე და ორივე მათგანზე გადაწყვეტილება 2013 წლის 12 აპრილს იქნა მიღებული.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გადაწყვეტილება ერთსა და იმავე დღეს, კოლეგიის ერთი და იმავე შემადგენლობამ მიიღო, თვალშისაცემია რადიკალური განსხვავება გადაწყვეტილების სტრუქტურას, შინაარსს, დასაბუთებასა და მოყვანილ არგუმენტაციას შორის.

2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში, საქმეზე №1/03-12, სადისციპლინო კოლეგია იმეორებს 2012 წელს მიღებული გადაწყვეტილებების სტრუქტურას, მიჰყვება მსჯელობის იმავე ხაზს და მთავარ არგუმენტად უთითებს: “მართალია გადაწყვეტილების განმარტებისას მოსამართლე გასცდა გადაწყვეტილების შინაარსს, მაგრამ ზემოაღნიშნულ ქმედებას რაიმე უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია, კერძოდ: მხარეების უფლებებსა და კანონიერ

<sup>220</sup> <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/Disciplinuri%20Statistika%202013%20clis.pdf>

ინტერესებს ზიანი არ მისდგომია.” ეს წარმოადგენს კოლეგიის ძირითად მოტივაციას და შედეგის განმაპირობებელ ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ კოლეგია ადგენს მოსამართლის მიერ კონკრეტული ქმედების ჩადენას, ქმედებას აკვალიფიცირებს დისციპლინურ გადაცდომად და ადგენს მოსამართლის ბრალეულ ქმედებას. მოყვანილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, კოლეგია საჭიროდ არ მიიჩნევს ამ სახის გადაცდომისთვის სახდელის გამოყენების საჭიროებას და მიმართავს დისციპლინური ზემოქმედების ზომას, კერძო სარეკომენდაციო ბარათის სახით.

თუმცა, სრულიად განსხვავებულია, ამავე დღეს, კოლეგიის მიერ მიღებული მეორე გადაწყვეტილება, საქმეზე №1/04-12. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სადისციპლინო კოლეგიამ ძირეულად შეცვალა კოლეგიის დადგენილი პრაქტიკა, მსჯელობის მიმართულება და საქმის განხილვისთვის მანამდე არსებული სტანდარტები. ამ საქმეში კოლეგიამ მსჯელობა დაიწყო დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის არსებულ განსხვავებაზე და ჩამოაყალიბა კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ შემთხვევას ერთმანისგან განასხვავებს. კოლეგიის გადაწყვეტილების მიხედვით, **“შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი არის ძირითადი ფაქტორები, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის”**. აქვე, კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის გამო. ის არ შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცეს სამართლებრივი შეცდომისთვის. თუმცა, გადაწყვეტილებაში ცალსახად აღნიშნული არ ყოფილა ნახსენები კრიტერიუმების კუმულატიურობის ან ალტერნატიულობის თაობაზე. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს კრიტერიუმები ალტერნატიული ხასიათისაა, მაშინ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა ძალა ენიჭება თითოეულს და რომელი გადაწონის სხვა დანარჩენს.

გაუგებარი რჩება, რატომ არ გამოიყენეს კოლეგიის მაშინდელმა წევრებმა მსჯელობის ასეთივე მიმართულება, იმავე დღეს მიღებულ მეორე გადაწყვეტილებაში. თუმცა, ფაქტია, რომ 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, საქმეზე №1/04-12, კოლეგიამ დაიწყო მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლითაც ერთგვარად დისციპლინურმა ორგანომ შეიბოჭა საკუთარი თავი, მომავალში საქმეთა განხილვის დროს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ მიჯნას, ერთი მხრივ, ინსტიტუციური განმტკიცება და მეორე მხრივ, პრევენდენტად ჩამოყალიბება ესაჭიროება.

### 1.3. გასაჩივრება სადისციპლინო პალატაში

რაც შეეხება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას, როგორც უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, 2012 და 2013 წლებში კოლეგიის არც ერთი გადაწყვეტილება სადისციპლინო პალატაში არ გასაჩივრებულა.<sup>221</sup> სადისციპლინო პალატის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა რესპონდენტმა (ყოფილი მოსამართლე) აღნიშნა, „*რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სადისციპლინო პალატა, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ბეჭედადამსმელი ორგანო იყო და ეს იყო ცენტრალიზებული სისტემა: საბჭომ თქვა, კოლეგიამ უნდა*

<sup>221</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის წერილი # ვ-1324-13

გაიმეოროს და პალატამაც კვერი დაუკრას”.

#### 1.4. დასკვნები 2012-2013 წლების დისციპლინური პრაქტიკის შესახებ

2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, არაერთი შეკითხვის მიუხედავად, მიუთითებს დისციპლინური პრაქტიკის განვითარებაზე. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც განვითარებას ინსტიტუციური საფუძველი არ გააჩნია, მისი მიმართულება მუდმივად საფრთხისა და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. **2012 და 2013 წლების პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რამდენად უწესრიგოა დისციპლინური საქმის განხილვის სისტემა და რამდენად არის ის დამოკიდებული სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორზე. ამგვარი უწესრიგობა კი ტოვებს სივრცეს როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი მოქმედებისთვის.** მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა, დისციპლინური საქმის განხილვის დროს, სათანადო სიცხადით ვერ აყალიბებს საქმის განხილვის სამართლიან პროცედურებს (მათ შორის მოსამართლის უფლებებს), ცხადი არ არის მტკიცების სტანდარტი, მტკიცებულებების მოპოვების, დასაშვებობის, იურიდიული ძალის საკითხი, დისციპლინური გადაცდომის არსი, დისციპლინური დარღვევების განმარტებები და სხვა, არ ქმნის გარანტიას, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის პრაქტიკა განვითარების სწორ გზას შეინარჩუნებს. არსებულ მოცემულობაში, მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხები ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეს კოლეგიის წევრთა კეთილსინდისიერ მოქმედებასა და განმარტებაზე დამოკიდებული.

#### თავი 2: მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრაქტიკის ტენდენციები

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრაქტიკის კვლევა ეფუძნება მხოლოდ სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს, რამდენადაც საქმის სრულყოფილი მასალები მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.


ამდენად, წარმოდგენილი კვლევა არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების სიღრმისეული ანალიზი. კვლევის მიზანი იყო, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის გაანალიზების პროცესში, მხედველობაში ყოფილიყო მიღებული წარსული პრაქტიკული გამოცდილება და ის შესაძლო რისკები, რაც ჯერ კიდევ შეიძლება არსებობდეს. ამისათვის, კვლევის ავტორებმა მოიძიეს და გაანალიზეს, 2000 წლიდან დღემდე, მოსამართლეთა წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენები.

კვლევის განხორციელების დროს, მოხდა მოსამართლეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ საჯარო ინფორმაციის რამდენიმე უწყებიდან გამოთხოვა. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პროკურატურას სტატისტიკური ინფორმაცია თანამდებობის პირების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ მოეპოვება მხოლოდ 2012 წლიდან. 2012 და 2013 წელს კი მოსამართლეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.<sup>222</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად კი, 2000-2013 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 22 მოსამართლის მიმართ.


<sup>222</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 31 იანვრის წერილი #13/5736

## 2005-2010 წლებში მოსამართლეთა მიმართ გამოტანილი განაჩენები



აქედან, 12 მოსამართლე მსჯავრდებული იქნა - სსკ 338-ე მუხლით (ქრთამის აღება), 3 მოსამართლე - სსკ 336-ე მუხლით (უკანონო განაჩენი), 2 მოსამართლე - სსკ 180-ე მუხლით (თაღლითობა), 2 მოსამართლე - სსკ 342-ე მუხლით (გულგრილობა), 1 მოსამართლე - სსკ 193-ე მუხლით (ცრუ მეწარმეობა), 1 მოსამართლე - სსკ 19-109 მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), 1 მოსამართლე - სსკ 276-ე მუხლით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა).<sup>223</sup>

## 2000-2013 წლებში მოსამართლეთა მიერ ჩადენილი დანაშაულები



<sup>223</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის წერილი #303



კვლევის ავტორებმა მიმართეს შესაბამის სასამართლოებსა და საარქივო სამსახურებს ყველა განაჩენის მისაღებად. თუმცა, ინფორმაციის სრულყოფილად მოპოვება ვერ მოხერხდა. საერთო ჯამში, წარმოდგენილი ანალიზი მომზადდა 35 სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სასამართლოს მოსამართლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განსხვავებული დანაშაულების-თვის. აღნიშნული 35 სასამართლო აქტი მოიცავს როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს და განჩინებებს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

სხვადასხვა სასამართლოდან მიღებულ განაჩენებში, მათ შორის, დაფიქსირდა არასამო-ხელეო დანაშაულის შემთხვევები, (მაგ. მკვლელობის მცდელობა). თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მკვლევრებმა გააანალიზეს მხოლოდ სამოხელეო დანაშაულის შემთხვევებთან დაკავშირებული განაჩენები.

შესწავლილი განაჩენების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს საკითხთა რამდენიმე ძირითადი ჯგუფი, რომელთა ირგვლივ განვითარებული პრაქტიკაც საყურადღებოა მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის კვლევისთვის:

- უკანონო განაჩენებთან დაკავშირებით განვითარებული პრაქტიკა;
- მოსამართლის გულგრილობისა და უფლებამოსილების გადამეტების ინტერპრე-ტაცია;
- ქრთამი და თაღლითობა;

განაჩენების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

ა) განაჩენის გამოტანის პერიოდები;

განაჩენების მიხედვით, უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც გათვალისწინებული იყო სსკ-ის 336-ე მუხლით, აქტუალური იყო 2005-2006 წლებში. გულგრილობის ფაქტზე მოსამართლის პასუხისმგებლობის 2 შემთხვევა დაფიქსირდა, შესაბამისად, 2007 და 2008 წელს. ქრთამის აღების ფაქტზე მოსამართლის პასუხისმგებლობა რეგულარულად ხდებოდა 2005 წლიდან მოყოლებული, ყოველი წლის განმავლობაში. აღნიშნულ დანაშაულზე მოსამართლის პასუხისმგებლობის ბოლო ფაქტი დაფიქსირდა 2010 წელს.

ბ) შესწავლილი განაჩენების ზოგადი შეფასება;

ზოგადი შეფასებისათვის შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილი განაჩენები არ არის საკმარისად ნათლად ჩამოყალიბებული, დასაბუთებული და ლოგიკურად დალაგებული, რომ ადვილად იკითხებოდეს და დაინტერესებული პირისთვის აღქმებოდეს.

ტექნიკური და სტილისტური თვალსაზრისით, განაჩენის ტექსტები მნიშვნელოვნად დასახვეწია. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, დამტრიხვის არსებული მოდელი საერთოდ შეუძლებელს ხდის არსებული ტექსტის წაკითხვასაც კი.

ამას გარდა, განაჩენების გარკვეულ ნაწილში, რთულად აღსაქმელია სასამართლოს

მსჯელობა და მოტივაცია.სამოტივაციო ნაწილში მეორდება აღწერილობითი ნაწილის დიდი ნაწილი, ფაქტობრივი გარემოებები და სხვა, თუმცა ბუნდოვანია უშუალოდ სამართალშეფარდების ნაწილი.

ამას გარდა, რამდენიმე შესწავლილ განაჩენში, მითითებული არ არის მტკიცებულებების შესახებ. ასეთია გორის რაიონული სასამართლოს მიერ, 2006 წლის 15 სექტემბრის განაჩენი, ხაშურის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მიმართ. საქმე შეეხებოდა ქრთამის აღების ფაქტს. სასამართლომ დამნაშავედ ცნო მოსამართლე, თუმცა განაჩენში არ მიუთითებია კონკრეტული მტკიცებულებების შესახებ.

ანალოგიურად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ, 2006 წელს მიღებულ განაჩენში, საუბარი არ არის კონკრეტულ მტკიცებულებებზე. განაჩენში აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: “მიმაჩნია, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები ასაბუთებენ [სახელი და გვარი] მიმართ წარდგენილ ბრალდებას.”

გ) ქმედებები, რომლებიც დაკვალიფიცირდა უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანად;

შესწავლილი განაჩენებიდან სამ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მოსამართლის მსჯავრდებას უკანონო განაჩენის გამოტანის საფუძველით. აღნიშნული საქმეები განიხილა წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ 2006 წელს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, ასევე 2006 წელს და ფოთის საქალაქო სასამართლომ, 2005 წელს.

➤ *წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის საქმე*

წყალტუბოს სასამართლოს მიერ 2006 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, უკანონო განაჩენის გამოტანად განხილულია პატიმრობის ვადის ათვლა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებისგან განსხვავებულად.

განაჩენის მიხედვით, პასუხისგებაში მიცემულმა მოსამართლემ 2005 წელს გამოიტანა განაჩენი, რომელშიც პატიმრობის ვადის დაწყების თარიღად მიუთითა დანაშაულის ჩადენის დღე. განაჩენის გამოტანის შემდგომ, გადაწყვეტილების მიმღებმა მოსამართლემ, ერთპიროვნული დადგენილებით, ორჯერ შეიტანა ცვლილება დოკუმენტში. პირველი ცვლილებით, მოსამართლემ სასჯელის ათვლის დროდ მიუთითა პატიმრობის შეფარდების თარიღი, ხოლო იმავე დღეს განხორციელებული მეორე ცვლილებით, მოსამართლე დაუბრუნდა თავდაპირველ ვერსიას და სასჯელის ათვლის დროდ მიუთითა დანაშაულის ჩადენის დღე.

განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სასჯელი გაამკაცრა და ცვლილება შეიტანა სასჯელის ათვლის ნაწილში და მისი ათვლა დაუკავშირა პატიმრობის შეფარდების თარიღს.

პირველი ინსტანციით განაჩენის გამომტანი მოსამართლის მიმართ, პროკურატურამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, სსკ-ის 336-ე მუხლის საფუძველზე. საქმის განხილვის დროს, ბრალდებული აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომ სასამართლოს. ბრალდებული

არ იზიარებდა, რომ სახეზე იყო დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა. ბრალდებული ასევე მიუთითებდა თავის, როგორც მოსამართლის, შინაგან რწმენაზე და ასევე დამდგარი ზიანის ფაქტის არარსებობაზე. განაჩენში დაფიქსირებულია, რომ მოსამართლე საუბრობდა ზეწოლაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან. განაჩენში აღინიშნა, რომ მოსამართლის მხრიდან ვადის არასწორად ათვლა მოხდა განზრახ, რათა პირი გასულიყო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან, საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტამდე, რომ მას მისცემოდა პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა. **თუმცა, განაჩენში ნათლად და უტყუარად არ არის დასაბუთებული მსგავსი განზრახვის არსებობა მოსამართლის მხრიდან.** მეტიც, განაჩენი არაფერს ამბობს, რა პირადი ინტერესი ან სარგებელი შეიძლება ჰქონოდა საქმის განმხილველ მოსამართლეს ამგვარი შედეგების მიმართ. განაჩენში ასევე არ არის საუბარი არსებობდა თუ არა მოსამართლის წინასწარი კომუნიკაცია ბრალდებულთან/დაცვის მხარესთან. ამის მიუხედავად, სასამართლომ დამნაშავედ ცნო წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე და შეუფარდა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ეს გადაწყვეტილება დაცვის მხარემ გაასაჩივრა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით. სასამართლოებმა მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთეს, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

➤ *ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის საქმე*

2005 წელს, ფოთის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ფოთის ყოფილი მოსამართლე, მის მიერ 2001 წელს გამოტანილი დადგენილების გამო. განაჩენის თანახმად, მოსამართლემ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ მიღებული დადგენილებით, შპს “კოლხს” საკუთრების უფლებით გადასცა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, სახელმწიფოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი, 61 000 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი.

ამას გარდა, განაჩენის მიხედვით, იმავე მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეებში დაარღვია პირობითი მსჯავრის გამოყენების წესი. უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანად სასამართლომ მიიჩნია შემდეგი ფაქტი: მოსამართლემ ორი პირის მიმართ გამოიყენა პირობითი მსჯავრი, მაშინ როცა მათ განზრახი მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი გამოსაცდელ ვადაში.

ყოფილმა მოსამართლემ არც ერთ ნაწილში არ ცნო თავი დამნაშავედ. იურიდიული ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, მოსამართლე აღნიშნავდა, რომ შპს “კოლხის” განცხადებაზე უარი გამოიწვევდა სამართალწარმოებაზე უარის თქმას და მის მიმართ დისციპლინურ დევნას. თუმცა, მოსამართლის მიმართ გამოტანილ განაჩენში აღინიშნა, რომ ადგილი ჰქონდა უხემ პროცესუალურ დარღვევას, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, განაჩენში მითითებულია, რომ სასამართლო გამორიცხავს გაუფრთხილებლობას და შეცდომას მოსამართლის ქმედებაში და რომ სახეზეა პირდაპირი განზრახვა.

თუმცა, განაჩენიდან ბუნდოვანი რჩება, რა სახის განზრახვაზეა საუბარი და რითი მტკიცდება აღნიშნული განზრახვის არსებობა. მართალია, განაჩენში აღნიშნულია, რომ

ბრალდებულის სტატუსის მქონე მოსამართლე უთითებს, რომ ის საკუთარ მოქმედებაში შეცდომას ვერ ხედავს. თუმცა, ის ფაქტი, რომ მოსამართლე იაზრებს მის მიერ განახორციელებულ ქმედებას, არ გულისხმობს, რომ მოსამართლეს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების მართლწინააღმდეგობა, ამგავრი ქმედების შედეგი და შედეგის დადგომის სურვილი, რაც პირდაპირი განზრახვის აუცილებელი ელემენტებია.

რაც შეეხება პირობით მსჯავრს, მოსამართლე უთითებდა, რომ კანონმდებლობა ცალსახად არ კრძალავდა ხელმეორედ პირობითი მსჯავრის გამოყენებას. ამასთან, მოსამართლე აღნიშნავდა, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას მან იხელმძღვანელა ჰუმანიზმის პრინციპებით, რადგან ერთ-ერთ ბრალდებულს პირველად მოპარული ჰქონდა 15 კგ ჯართი, შემდეგ კი თანხა - 2,50 თეთრი. ხოლო მეორე ბრალდებული იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ჰყავდა უმუშევარი მეუღლე.

განაჩენი, ამ შემთხვევაშიც, საკმარისად ცხადი და ნათელი არ არის იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინტერესი ან განზრახვა გააჩნდა მოსამართლეს პირობითი სასჯელის გამოყენების სანაცვლოდ.

➤ *ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის საქმე*

2006 წელს, ზუგდიდის რაიონული სასამართლომ მიიღო განაჩენი ამავე სასამართლოს მოსამართლის მიმართ, რომლითაც ეს უკანასკნელი ცნეს დამნაშავედ სსკ-ის 336 მუხლით, უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისთვის.

უკანონო განაჩენის გამოტანად სასამართლომ მიიჩნია ყოფილი მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვა პროკურორის მონაწილეობის გარეშე, დახურულ პროცესზე. მაშინ, როცა ბრძანების დედანსა და სხდომის ოქმში დაფიქსირებული იყო პროკურორის მონაწილეობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბრძანება აღკვეთი ღონისძიების შესახებ გამოტანილ იქნა 2000 წელს, მოსამართლის მიმართ საბრალდებო დასკვნა კი შედგა 2005 წელს. ამასთან, უნდა აღინიშნოს მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემიც. პროკურორი, რომლის მონაწილეობის საკითხიც გახდა სადავო, 2005 წლამდე რამდენიმე წლით ადრე, მის მიერ ოლქის ყოფილი პროკურორისთვის მიცემულ წერილობით ახსნა-განმარტებაში, ადასტურებს პროცესში მონაწილეობას. თუმცა, მოსამართლის მიმართ დევნის დაწყების შემდეგ, პროკურორის პოზიცია შეიცვალა. განაჩენის მიხედვით, პროკურორმა საკუთარი მონაწილეობა წლების წინ დაადასტურა იმისათვის, რომ მოსამართლესთან არ სურდა ურთიერთობის გაფუჭება. პროკურორის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით განაჩენში აღნიშნულია, რომ ახსნა-განმარტება სისხლის სამართლის პროცესში არ არის დაშვებული მტკიცებულებად.

**დ) ქმედებები, რომლებიც დაკვალიფიცირდა გულგრილობად;**

➤ *გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის საქმე*

2007 წელს, გორის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი გორის

სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მიმართ, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით. განაჩენის თანახმად, ფსიქიატრიული საავადმყოფოდან პაციენტის გამოჯანმრთელების შესახებ მიღებული დასკვნის მიუხედავად, მოსამართლეს არ განუხილავს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების და საქმის წარმოების საერთო წესით განახლების საკითხი. განაჩენის მიხედვით, მსგავსი გულგრილობის შედეგად, ფსიქიატრიული დაწესებულებიდან პატიმარი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოთავსდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ბრალდებულთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება. სამწუხაროდ, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ იკითხება ყოფილი მოსამართლის არგუმენტაცია ან/და განმარტებები განაჩენში აღწერილ შემთხვევასთან დაკავშირებით. თუმცა, ცნობილია, რომ აღნიშნულ მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა შეუწყდა 2005 წლის ივლისში. მის წინააღმდეგ განაჩენი კი დადგა 2007 წელს.

ამასთან, განაჩენის თანახმად, სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად, პირი უკანონოდ მოხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. თუმცა, განაჩენში არ არის მსჯელობა იმ ფაქტზე, მოსამართლის ბრძანების გარეშე, როგორ მოხდა პატიმრის შესახლება კონკრეტულ დაწესებულებაში. ასევე, არ ჩანს განაჩენის მიხედვით დადგა თუ არა კონკრეტული დაწესებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი ამ ფაქტთან დაკავშირებით. ნათელია, რომ სამსახურებრივი გულგრილობის შემადგენლობისთვის მნიშვნელოვანია კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევის ფაქტი. ამასთან, ინტერესების დარღვევა უნდა იყოს მოსამართლის მხრიდან საკუთარი უფლებამოსილებების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შედეგი. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, განაჩენით არ იკითხება ნათელი და უტყუარი კავშირი თვეების განმვალობაში პირის უკანონო პატიმრობასა და მოსამართლის უმოქმედობას შორის.

➤ *ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის საქმე*

2008 წელს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, სამსახურებრივი გულგრილობის საქმეში. განაჩენის მიხედვით, მოსამართლის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო, პირი უკანონო პატიმრობაში აღმოჩნდა საპატიმრო ვადის ამოწურვის შემდგომ, 3 თვისა და 19 დღის განმავლობაში. განაჩენის მიხედვით, მოსამართლემ თავი ცნო დამნაშავედ და აღნიშნა, რომ სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებდა მარტო. წარმოებაში ჰქონდა სამივე კატეგორიის საქმე, მათ შორის, რთული კატეგორიის საქმეები.

ეს საქმე აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია სპეციალიზაცია მოსამართლეებს შორის. განაჩენიდან იკვეთება, რომ მოსამართლე სხვადასხვა პირთან კომუნიკაციის გზით ცდილობს დაადგინოს საპროცესო ვადების საკითხი სისხლის სამართლის პროცესში. ნათელია, რომ სპეციალიზაციის არარსებობა თავიდანვე ქმნის საფრთხეს, რომ მოსამართლეების მხრიდან დაშვებული იქნას მექანიკური შეცდომები, რაც იმოქმედებს ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. ასევე, არსებული მდგომარეობა მოსამართლეებს ამყოფებს მუდმივ სტრესში, რამდენაც მოსამართლეებს უწევთ განიხილონ იმ კატეგორიის

საქმეები, რომელიც არ წარმოადგენს მათ სპეციალიზაციას. აღნიშნული განაჩენის გათვალისწინებით, კიდევ ერთი თემაა საპროცესო ვადების დარღვევის ფაქტებზე მოსამართლის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. მოსამართლის პასუხისმგებლობა გულგრილობის ფაქტზე, თავისთავად გულისხმობს, რომ მოსამართლეს არ ამოძრავებდა ბოროტი განზრახვა პირის პატიმრობაში ყოფნის მიმართ. შესაძლებელია საპროცესო ვადის დარღვევა გამოეწვია მოსამართლის დატვირთულობას, მოსამართლეზე დაწერილი საქმეების რაოდენობასა და კატეგორიებს, სპეციალიზაციის არარსებობას და სხვა. თუმცა, განაჩენში აღნიშნულ ფაქტებზე მსჯელობა არ ყოფილა. თავისთავად, საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევა დაკვალიფიცირდა გულგრილობად მოსამართლის მხრიდან.

#### ე) ქრთამისა და თაღლითობის საქმეები

მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემა ყველაზე ხშირად ქრთამის დანაშაულისთვის ხდებოდა. სულ 12 ასეთი შეთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც 7 საქმეზე მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. დანარჩენ 5 შემთხვევაში, მხოლოდ ერთმა ბრალდებულმა აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ხოლო 4 საქმეში დაცვის მხარე აპელირებდა სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე, მტკიცებულებების გაყალბებასა და დანაშაულის პროვოკაციაზე.

განაჩენების შესწავლისას, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქმის განმხილველი მოსამართლეები, როგორც წესი, არსებითი გადამოწმების გარეშე ცნობდნენ დასაშვებად იმ მტკიცებულებებს, რომელთა კანონიერებასა და ავთენტურობას დაცვის მხარე ეჭვქვეშ აყენებდა სამართალდამცავთა უკანონო მოქმედების გამო. ყველა განაჩენში წარმოდგენილია მსგავსი მტკიცებულებათა ერთობლიობა: დაკავებისა და ჩხრეკა/ამოღების ოქმები, იმ სამართალდამცავებისა და ექსპერტების ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ იყენენ ჩართულნი დაკავებისა თუ ქრთამის სახით გადაცემული ფულის ამოღების ოპერაციებში. ბრალდების მხარისთვის მნიშვნელოვან მოწმეს წარმოადგენს პირი, რომელმაც ითანამშრომლა გამოძიებასთან და ოპერატიული ოპერაციისას გადასცა ქრთამი მოხელეს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პირები, ან მათი ახლობლები, ზოგიერთ შემთხვევაში, არიან ბრალდებულები სხვა სისხლისსამართლებრივ საქმეზე. ზოგადი შეფასებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ იმგვარი მოწმის ობიექტურობა, რომელიც მოსალოდნელი მძიმე სასჯელის შიშით შეიძლება სამართალდამცავების მხრიდან ზეგავლენის ქვეშ მარტივად მოექცეს, ხშირად საეჭვოა.

- *თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის საქმე (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)*

განაჩენის მიხედვით, მოსამართლეს მსჯავრი დაედო 10 000 ლარის თაღლითურად მისაკუთრების გამო. აღნიშნული საქმე უკავშირდებოდა თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარე, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეს, სადაც პროკურორი ბრალდებულის მიმართ ითხოვდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, რომელიც პირს ჩაეთვლებოდა პირობითად, 5-წლიანი გამოსაცდელი ვადით. განაჩენის თანახმად, ბრალდებულმა საპატიმრო სასჯელისგან თავის დაზღვევის მიზნით, დასახმარებლად მიმართა თავის ნათესავს - რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა საქმის განმხილველ მოსამართლესთან. მსჯავრდებულმა ნათესავს

დახმარებაზე უარი არ უთხრა, თუმცა მოგვიანებით განუცხადა, რომ საჭირო იყო საქმის განმხილველი მოსამართლისათვის 10 000 ლარის მიცემა, ქრთამის სახით. განაჩენის მიხედვით, მოსამართლეს თავიდანვე განზრახული ჰქონდა, რომ აღნიშნულ თანხას თავად მიისაკუთრებდა. აღნიშნულზე დაზარალებულმა განცხადებით მიმართა შესაბამის ორგანოებს და დაიგეგმა მოსამართლისათვის ფულის გადაცემის სპეცოპერაცია. „დაზარალებულმა“ კონვერტში ჩადებული 10 000 ლარი თავის სამუშაო ოთახში გადასცა მოსამართლეს, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება.

მოცემულ საქმეში არასაკმარისადაა წარმოდგენილი გამამტყუნებელი განაჩენისათვის აუცილებელი მტკიცებულებები. კერძოდ, არ ჩანს, უშუალოდ კონვერტის გადაცემისას რა საუბარი შედგა „დაზარალებულსა“ და მოსამართლეს შორის, რა მიზნით დატოვა დაზარალებულმა კონვერტი კაბინეტში და იცოდა თუ არა მოსამართლემ, რა ოდენობის თანხა იდო მასში, ან საერთოდ იდო თუ არა თანხა. მართალია, მსჯავრდებულის ხელზე, ულტრაიისფერი სხივების დანათებით, აღმოჩნდა ის უხილავი საღებავი, რომლითაც დამუშავებული იყო გადაცემული კუბიურები, მაგრამ ხელებზე საღებავი შეიძლება გადასულიყო კონვერტთან კონტაქტის შედეგადაც. გაუგებარია თავად დაზარალებულის მოტივაციაც, რომლის მიმართაც პროკურორი ისედაც არ ითხოვდა საპატიმრო სასჯელს და მას ელოდა 5-წლიანი პირობითი მსჯავრი. ამ ფონზე, ალოგიკურია მსჯავრდებულის განზრახვა - მოტყუებით მიესაკუთრებინა ნათესავისგან ფული, რათა ის დაეზღვია საპატიმრო სასჯელისგან მაშინ, როდესაც მას ასეთი სასჯელი არც ემუქრებოდა.

ამ საქმეში, ერთ-ერთ უმთავრეს მტკიცებულებას წარმოადგენდა გამოძიებისას მიცემული დაზარალებულის ჩვენებები, რომლის საქმეც განიხილებოდა რუსთავის საოლქო სასამართლოში. თუმცა, სასამართლოს წინაშე მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა მისი მიმალვაში ყოფნის გამო. საქმის განხილვისას, დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა დაზარალებულის წერილი, სადაც ის საუბრობს, რომ სამართალდამცავები მას აიძულებდნენ ეთანამშრომლა გამოძიებასთან, მოეხდინა დანაშაულის პროვოკაცია და მიეცა გამოძიებისთვის სასურველი ჩვენებები. ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, როდესაც საქმის მთავარი მოწმე ვერ დაიკთხა სასამართლოს წინაშე, ხოლო მის მიერ გამოძიებისას მიცემული ჩვენებების ჭეშმარიტება დადგა ეჭვქვეშ, შესაძლოა მოცემულ საქმეში მართლაც ჰქონოდა ადგილი დანაშაულის პროვოკაციას..

➤ *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის საქმე (სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილი)*

განაჩენის მიხედვით, მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა საქმე, სადაც პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 333-ე და 160-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. საქმის წარმოებაში მიღებისას, მოსამართლემ განიზრახა ქრთამის აღება და სენაკის ადვოკატურის ადვოკატის მეშვეობით, ბრალდებულის ბიძას მოსთხოვა 3 000 აშშ დოლარი, რათა სასჯელის სახედ არ გამოეყენებინა თავისუფლების აღკვეთა. მას შემდეგ, რაც ბრალდებული დარწმუნდა, რომ ქრთამის გადახდის გარეშე, მოსამართლე არ მიიღებდა მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას, დაუკავშირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას და განაცხადა მოსამართლის მიერ ადვოკატის მეშვეობით ქრთამის მოთხოვნის თაობაზე. აღნიშნულის საფუძველზე, ბრალდებულს გადაეცა სპეციალურად დამუშავებული

კუპიურები 3 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც მან მისცა ადვოკატს. ადვოკატმა, თავის მხრივ, ქრთამის სახით, იმავე დღეს გადასცა აღნიშნული ფული მოსამართლეს. მოსამართლე იმავე დღეს, საკუთარ სახლში დააკავეს, მას შემდეგ, რაც იგი დაშორდა ადვოკატს.

მსჯავრდებული თავს უდანაშაულოდ თვლიდა. მისი მტკიცებით, ეს ბრალდება იყო ერთგვარი შურისძიება, რამდენიმე თვით ადრე, აბაშის რაიონის სოფელ ზანათაში კანონის უხეში დარღვევით ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების დაკანონებაზე უარის თქმის გამო. მისივე თქმით, საქმეში ადგილი ჰქონდა მტკიცებულებების გაყალბებას, რადგან მას არანაირი ქრთამი არ მოუთხოვია და მითუმეტეს არ აუღია. საქმეში არ დევს ზუსტი ინფორმაცია, თუ სად და რა ვითარებაში მოხდა ქრთამის სახით 3 000 დოლარის გადაცემა, თავად ადვოკატმაც აღიარა, რომ მისთვის მოსამართლეს არანაირი ქრთამი არ მოუთხოვია. კანონის უხეში დარღვევით მოხდა მისი დაკავება და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს 3 000 აშშ დოლარი.

მიუხედავად საქმეში არსებული ბუნდოვანებებისა, სასამართლომ მაინც დასაბუთებულად მიიჩნია წარდგენილი ბრალდება. დაკავებული ადვოკატის ჩვენება, რომ მისთვის მოსამართლეს არ მოუთხოვია ქრთამი, სასამართლომ არ ჩათვალა დამაჯერებლად და სანდოდ. ამასთან, ბრალდებულის მოსამართლის აპელირება უკანონო დაკავებასა და ჩხრეკა/ამოღებაზე სასამართლომ გააბათილა იმ არგუმენტით, რომ, თითქოს, მოსამართლეს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, ანუ ქრთამის აღების დროს. თუმცა, განაჩენიდან ირკვევა, რომ უშუალოდ ქრთამის გადაცემის მომენტი საერთოდ არა არის ცნობილი და ფულის ამოღება მოხდა მოგვიანებით, მსჯავრდებულის საცხოვრებელი სახლიდან. შესაბამისად, ამ დროისათვის უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის ეტაპი და მოსამართლის დაკავების, მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისთვის აუცილებელი იყო შესაბამისი თანხმობა, რაც სამართალდამცავებს არ გააჩნდათ.

➤ *თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის საქმე (სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილი)*

მოსამართლეს მსჯავრი დაედო, 1 000 აშშ დოლარის ოდენობით, ქრთამის აღებაში. განაჩენის მიხედვით, მის წარმოებაში არსებულ საქმეზე, აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის გამოყენების სანაცვლოდ, მან განსასჯელის ადვოკატს მოსთხოვა 1 000 აშშ დოლარი. ამის შესახებ ადვოკატმა შეატყობინა შესაბამის ორგანოებს და დაიგეგმა ოპერაცია, რა დროსაც მოხდა სპეციალურად დამუშავებული ფულის გადაცემა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა არ აღიარა დანაშაული და განაცხადა, რომ ადვოკატთან აკავშირებდა დიდი ხნის ნაცნობობა და მისგან არასდროს მოუთხოვია ქრთამი. უშუალოდ დაკავების მომენტში, ადვოკატის მიერ შეთავაზებული ფული ჯიბეში ჩადების ნაცვლად, დადო მაგიდაზე, რითიც დასტურდება, რომ მას ქრთამის აღება არ ჰქონდა განზრახული. საქმის მთავარმა მოწმემ, ადვოკატმა, რომელიც განაჩენის მიხედვით, თავად დაუკავშირდა სამართალდამცავებს მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე, სასამართლო განხილვისას არსებითად შეცვალა გამოძიებისას მიცემული ჩვენებები და აღნიშნა, რომ სამართალდამცავები იყენებდნენ იძულების მეთოდებს, მის მიმართ. ის ერთხელ უკვე იყო დაკავებული ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, შემდეგ




სამართალდამცავებმა მოტყუებით მოაწერინეს ხელი ყალბ დოკუმენტზე და ამ ქმედებისთვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მუქარით დაიყოლიეს იგი, განეხორციელებინა ქრთამის დანაშაულის პროვოცირება, მოსამართლის მიმართ.

სასამართლომ მოწმის ჩვენება არ მიიჩნია დამაჯერებლად და საკმარისად, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა წარდგენილი ბრალდების რეალურობა და კანონიერება. გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო გამომძიებლების ჩვენებებს, აგრეთვე სხვა მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც უბრალოდ ადასტურებენ, რომ მსჯავრდებულს ნამდვილად ჰქონდა წარმოებაში შესაბამისი საქმე.

რაც შეეხება ქრთამის გადაცემის ფაქტს, ქრთამის გადაცემისას ადვოკატი აღჭურვილი იყო აპარატურით, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ვიდეო- და აუდიოჩაწერა. ჩანაწერში, პირდაპირ, არსად არაა ნახსენები ქრთამი, გადაცემული ფულის ზუსტი ოდენობა, ან ფულის გადაცემის მიზანი. მხოლოდ დაშიფრული ჩანაწერის ინტერპრეტირების შედეგად გახდა შესაძლებელი იმის დამტკიცება, რომ მოსამართლე რეალურად ქრთამის აღების მიზნით შეხვდა ადვოკატს, თუმცა აღნიშნული ინტერპრეტაცია არა არის ცალსახა.

### ვ) გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციებში

უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მოსამართლეთა წინააღმდეგ მიღებული განაჩენების გასაჩივრების სტატისტიკა ასეთია:



მოსამართლეთა მიმართ მიმდინარე, სისხლის სამართალწარმოება ხასიათდება განსაკუთრებული რისკებით და შესაბამისად მაღალი ინტერესით. მოსამართლეთა პასუხისმგებლობაში მისაცემად აუცილებელია დანაშაულის ცალსახა ნიშნების არსებობა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სსკ-ის XXXIX თავით გათვალისწინებულ სამოხელეო დანაშაულის ჩადენისთვის ბრალის წარდგენას. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, რა გავლენები ჰქონდა პროცესებზე გასაჩივრების მექანიზმებს და რამდენად იყენებდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული მოსამართლეები სამართლებრივი

დაცვის ამგვარ საშუალებებს.

შესწავლილი განაჩენებიდან, 8 შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, საიდანაც მხოლოდ ერთ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჩივარი და სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ სასჯელის ნაწილს გადახედა. საკასაციო წესით გასაჩივრდა 4 საქმე. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ 3 საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. ერთ შემთხვევაში კი, უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ძირითად შემთხვევებში, საჩივრდებოდა სსკ-ის 336-ე (უკანონო განაჩენი) და სსკ-ის 338-ე (ქრთამის აღება) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენები. აღნიშნული მუხლებით მსჯავრდებულ აპელანტებს განსახვავებული არგუმენტაცია ჰქონდათ.

ქრთამის დანაშაულში მსჯავრდებული პირები ძირითადად აპელირებდნენ დანაშაულის პროვოკაციაზე და მტკიცებულებების გაყალბებაზე. აპელანტის პოზიცია ხშირად გამყარებული იყო იმით, რომ საქმის მთავარი მოწმე, ვისი დახმარებითაც ჩატარდა ქრთამის გადაცემის ოპერატიული ოპერაცია, სასამართლოში საქმის განხილვისას ან ვეღარ იკითხებოდა, ან არსებითად ცვლიდა მის მიერ გამოძიებისას მიცემულ ჩვენებას.

აღსანიშნავია, რომ არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონდებლობით, მხარეებს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე დავა შეუძლიათ მხოლოდ წინასასამართლო სხდომის დროს. თუკი აღნიშნულ ეტაპზე სასამართლოს მიერ რომელიმე მტკიცებულების დასაშვებად ცნობას მხარე არ ეთანხმება, მტკიცებულების კანონიერებაზე დავის ერთადერთ სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს მისი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება განაჩენთან ერთად. აღნიშნული საკანონმდებლო რეალობა კიდევ უფრო ზრდის სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის მნიშვნელობას და სასამართლოს ავალდებულებს, მეტი ყურადღებით მოისმინოს ის პრეტენზიები, რომლებიც შეეხება მტკიცებულებების კანონიერებასა თუ ავთენტურობას. შესწავლილ განაჩენებში სააპელაციო კოლეგიამ არც ერთ შემთხვევაში არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მტკიცებულების უკანონობაზე. განაჩენებში არ ჩანს, თუ რა ხარისხის ინტერესი გამოამყდევნა სასამართლომ მხარის პრეტენზიებზე იმის დასადგენად, რეალურად მართლაც უკანონო იყო თუ არა მტკიცებულებები. განაჩენებში იკითხება ისეთი შაბლონური ფრაზები როგორცაა, მაგალითად, “სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას მტკიცებულებების თაობაზე”, “საქმეში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად” და ა.შ.

უკანონო განაჩენის გამოტანისთვის მსჯავრდებული პირები, საჩივარში, ფაქტობრივ შეუსაბამობებზე მეტად, კანონის ინტერპრეტაციასა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობაზე აპელირებენ. ამ ფონზე, ზემდგომ სასამართლოებს კიდევ უფრო მეტი გამოწვევა ჰქონდათ, გაეკეთებინათ მნიშვნელოვანი განმარტებები და დამატებითი არგუმენტებით გაემყარებინათ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, ან პირიქით, დაეკმაყოფილებინათ აპელანტის საჩივარი. თუმცა, კვლევის ავტორების შეფასებით, ზემოდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული

გადაწყვეტილებების ანალიზი მიუთითებს, რომ არსებული გამოწვევის მიუხედავად, სასამართლოები თავს იკავებდნენ მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთებისგან. როგორც წესი, ზემდგომი სასამართლოები ფორმალურად, არსებითი გამოკვლევის გარეშე, ადასტურებდნენ პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოს რამდენჯერმე ჰქონდა შესაძლებლობა, გაეკეთებინა განმარტება სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, მისი სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებზე და იმაზე, თუ რა ფაქტორი განასხვავებს ამ დანაშაულს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა თუ უფლებამოსილების გადამეტებისგან, სასამართლო თავს იკავებდა ამ შესაძლებლობის გამოყენებისგან. უკანონო განაჩენის შემადგენლობა მხოლოდ მას შემდეგ განიმარტა, რაც აღნიშნული დანაშაული (სსკ-ის 336-ე მუხლი) ამოღებულ იქნა სსკ-დან. უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტებით, უკანონო განაჩენის მიღება წარმოადგენდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების კერძო შემთხვევას<sup>224</sup>, შესაბამისად, ამ დანაშაულის კოდექსიდან ამოღებით არ მომხდარა ქმედების დეკრიმინალიზაცია. თავისთავად, ასეთი განმარტება მოითხოვს მეტ არგუმენტაციასა და დასაბუთებას, თუმცა საკასაციო სასამართლო არ მიუთითებს, კონკრეტულად საიდან გამომდინარეობდა გაუქმებული ნორმის სპეციალურობა სამოხელეო დანაშაულების სხვა ნორმებთან მიმართებით. მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს ამგვარი ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ მოსამართლეთა პასუხისმგებლობა დღესაც შეიძლება დადგეს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით იმ ქმედებისთვის, რაც წლების წინ უკანონო განაჩენის გამოტანად ითვლებოდა.

იმ ფონზე, როდესაც სასამართლო იდგა გარდამტეხი მომენტის წინაშე, სამოხელეო დანაშაულების მოსამართლეებზე გავრცელების, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და გარე ზეგავლენისგან დაცვის საჭიროების წინაშე, გადამწყვეტი როლი უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის სასარგებლო განმარტებებს და პრაქტიკის განვითარებას უნდა ეთამაშა. გასათვალისწინებელია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ უკანონო განაჩენზე გაკეთებული განმარტება დღესაც ძალაშია. შესაბამისად, კვლავაც არსებობს იმის საფრთხე, რომ მოსამართლის მიერ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია, რომელიც შესაძლოა ემყარებოდეს მის შინაგარ რწმენასა და წარმოდგენებს, გახდეს ამ მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

დასკვნის სახით, კვლევის ავტორების შეფასება მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლეთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნისას, ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმები არ ტოვებდა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ეფექტურობის განცდას. ზემდგომი სასამართლოები მოქმედებდნენ თვითშეზღუდვის პრინციპით და იყვნენ თავშეკავებულები მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინა ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობასა და სიძლიერეზე.

<sup>224</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0-0-0---0prompt-10--.%2e-4---4--0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-OutfZz-8-00-0-11-1-OutfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL4.10&d=HASH3f43836ff6f20fc572d7e3.3.4>